საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი

გიგლა გაბაიძე

მეურნეობრიობის ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ფუნქციონირებისა და მართვის სრულყოფის გზები აგრარულ სექტორში (აჭარის არ-ის მაგალითზე)

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სპეციალობა 34 – ბიზნესი და მართვა

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ზურაბ ელიზბარაშვილი,**

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
პროფესორი **მელიტონ ბახია**

თბილისი

2008

შინაარსი

შესავალი;
თავი I. აგრარული რეფორმა და საწარმოთა ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ჩამოყალიბების აქტუალური საკითხები საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრების პერიოდში;

1.1. საბაზრო ეკონომიკა – აგრარული რეფორმის განხორციელების ძირითადი საფუძველი;

1.2. მიწის პრივატიზაცია და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რესტრუქტურიზაცია სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებელი პირობა;

1.3. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, მათი ჩამოყალიბების სოციალურ-ეკონომიკური და იურიდიული საფუძვლები;

თავი 2. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ფუნქციონირებისა და განვითარების თავისებურებები აჭარის არ-ში;

2.1. აჭარის სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების ძირითადი მიმართულებები;

2.2. მეურნეობრიობის ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები აჭარის არ-ში და მათი საქმიანობის ანალიზი;

2.3. გადამამუშავებელ მრეწველობასთან ინტეგრირებული ერთობლივი საწარმოების შექმნის შესაძლებლობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში;

თავი 3. მეურნეობრიობის ახალი, პროგრესული ფორმების
განვითარების პერსპექტივები და მართვის
სისტემის სრულყოფის მიმართულებები აჭარის არ-ში;
3.1. აგრარული მეწარმეობის ორგანიზაციული ფორმებისა და
აგრობიზნესის სრულყოფის გზები;
3.2. საწარმოო პერსონალის მართვისა და ხელმძღვანელობის
სტილის სრულყოფის საკითხები სასოფლო_სამეურნეო
საწარმოთა ახალ ორგანიზაციულ_სამართლებრივ
ფორმებში;
3.3. წვრილი კერძო,ოჯახური მეურნეობების გამსხვილებისა
და ინტეგრირების შესაძლებლობანი;
3.4. სოფლის საკრედიტო კავშირებისა და
საკონსულტაციო სამსახურის მნიშვნელობა
აგრარული მეწარმეობის განვითარებაში;
დასკვნები და წინადადებები;
გამოყენებული ლიტერატურა.

შესავალი

<u>თემის აქტუალობა.</u> საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან ერთად ძირეულად უნდა გარდაიქმნას საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელიც მოიცავს არა მარტო საკუთრების, არამედ საწარმოო ურთიერთობათა სხვა ფორმებსაც. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობაში ეკონომიკური პროცესების ორგანიზაცია, რომლის შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენს საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, მათი სწორად შერჩევა, დაფუძნება და ოპტიმალურად ფუნქციონირების პირობების შექმნა. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოს (მისი ერთ-ერთი რეგიონის – აჭარის) აგრარულ სექტორში, რომელიც რიგი თავისებურებებით, განვითარების ტენდენციებით, მეურნეობრიობის გამოცდილებითა და სხვა ფაქტორებით არსებითად განსხვავდება ეროვნული მეურნეობის სხვა სექტორებისაგან (სფეროებისაგან).

ცნობილი ფაქტია, რომ საბაზრო ურთიერთობათა ფორმირება რთული და ხანგრძლივი პროცესია. იგი განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება სოფლის მეურნეობაში, რომლის რეფორმაც ძირითადში განხორციელდა ორი მიმართულებით: 1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზაციით (მათი განსახელმწიფოებრიობით) და 2. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა არსებული ორგანიზაციული ფორმების (სახელმწიფო მეურნეობები, კოლმეურნეობები, სამეურნეობათაშორისო საწარმოები და სხვა) რეორგანიზაცია-რესტრუქტურიზაციით.

როგორც ვხედავთ, ქვეყნის აგრარულ სფეროში საბაზრო მექანიზმების ამოქმედება, მისი განვითარება და განმტკიცება სხვადასხვა

სახის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებზე, მათ ეფექტიან საქმიანობასა და მართვის ორგანიზაციაზე.

საბაზრო ეკონომიკაზე მყოფი ყველა ქვეყნისათვის და მათ შორის საქართველოსათვის, რომლის სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და ეროვნული მეურნეობის აღორძინების პროცესი უაღრესად მძიმე ექსტრემალურ პირობებში მიმდინარეობს, უპირველესი მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენს მოსახლეობის სურსათზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ამ პრობლემის ნაწილობრივი გადაწყვეტა და სიღარიბის დაძლევა პრაქტიკულად შეუძლებელია ეროვნული ეკონომიკისა და მისი ერთ-ერთი ძირითადი რგოლის – აგროსასურსათო სექტორის საბაზრო ეკონომიკის პრინციპებთან ადაპტირების, ინტენსიური და მდგრადი განვითარების გარეშე.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ თანამედროვე მსოფლიოს სასურსათო ბაზარზე ჩამოყალიბებული ტენდენციები და სურსათზე ფასების ზრდის დინამიკა, ჩვენს ქვეყანაში სასურსათო ბაზრის დღევანდელი მდგომარეობა და საგარეო ვაჭრობის ბალანსის მნიშვნელოვანი დეფიციტი (რომელიც არსებითად სურსათის იმპორტითაა განპირობებული), საფრთხეს უქმნის არა მარტო აუცილებელი ფიზიოლოგიური ნორმებით მოსახლეობის გამოკვებას, არამედ პრაქტიკულად გამორიცხავს ქვეყნის შემდგომ ინტეგრირებას მსოფლიო ეკონომიკაში და იმას, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების სწორად მოწყობით, მათი სამეწარმეო

საქმიანობისათვის ხელშემწყობი გარემო პირობების შექმნითა (რომელიც დამოკიდებულია ხელისუფლების პოლიტიკაზე და ნებაზე) და მათი საწარმოო პოტენციალის ეფექტიანი გამოყენებით, მაშინ საკვლევი თემის აქტუალობა, ჩვენი აზრით, ეჭვს არ იწვევს.

<u>პრობლემის შესწავლის მდგომარეობა.</u> საქართველოს აგროსასურსათო სექტორის საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის, აგრარული რეფორმის და სასურსათო უსაფრთხოების ცალკეულ საკითხების გამოკვლევა უკანასკნელ წლებში ბევრმა ქართველმა მეცნიერმა ჩაატარა, მათ შორის აღსანიშნავია: რ. ანდღულაძე, რ. ასათიანი, მ. ბახია, შ. ბენია, ვ, ბურკაძე, ჰ. გიორგაძე, რ. გოგოხია, ზ. ელიზბარაშვილი, ო. ვაშაკიძე, ა. კიკნაველიძე, პ. კოღუაშვილი, თ. კუნჭულია, თ. ლაჭყეპიანი, ლ. მარშანია, ნ. ქარქაშაძე, ო. ქეშელაშვილი, ს. ყამარაული, გ. ყუფუნია, ნ. ჭითანავა, ე. ხარაიშვილი და სხვა. მრავალი საინტერესო შრომა და გამოკვლევა მიეძღვნა. აღნიშნული საკითხები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე გარკვეულწილად გაშუქებულია რ. მანველიძის, ს. თურმანიძის, ჯ. თურმანიძის, ე. ფუტკარაძის, ნ. ჯაბნიძის და სხვათა სამეცნიერო სტატიებსა და მონოგრაფიებში. მაგრამ საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების დამკვედრებისა და აგრარული რეფორმის წარმატებულად გატარებისათვის ისეთი აუცილებელი საკითხი, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ძველი ორგანიზაციული ფორმების რესტრუქტურიზაციისა და ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ჩამოყალიბებისა და მათი ფუნქციონირების საკითხები აჭარის რეგიონში ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად შესწავლილი. ამიტომ, აღნიშნული საკითხი სპეციალურ გამოკვლევასა და სათანადო მეცნიერულ დამუშავებას საჭიროებს, სასოფლო-სამეურნეო

საწარმოთა ოპტიმალური რაოდენობის და სიდიდის დადგენის, მათი სხვა საწარმოებთან ინტეგრაციის, სტრუქტურული ცვლილებების და მართვის სტრუქტურის სრულყოფის მიზნით.

<u>კვლევის მიზანი და ამოცანები.</u> კვლევის მიზანს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ჩამოყალიბების თეორიული, პრაქტიკული და იურიდიული საფუძვლების მეცნიერულად შესწავლა, ამ ფორმების სწორი შეთანაწყობის აუცილებლობის დასაბუთება და ქვეყნის სოფლის მეურნეობაში, განსაკუთრებით კი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მათი შემდგომი განვითარების გზების დასახვა.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე დაისახა შემდეგი ამოცანები:

- სოფლის მეურნეობის, როგორც ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგის, პრიორიტეტულობის განსაზღვრა აჭარის რეგიონის ეკონომიკაში;

- საბაზრო ეკონომიკის სისტემაში იმ მექანიზმების გამოვლენა, რომლებიც უზრუნველყოფს კერძო გლეხური (ოჯახური) მეურნეობების ნორმალურ ფუნქციონირებას და განვითარებას;

- სასოფლო-სამეურნეო წარმოების მდგომარეობის მეცნიერული შეფასება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში;

- სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ჩამოყალიბების სოციალურ-ეკონომიკური და იურიდიული საფუძვლების შესწავლა;

- იმ შესაძლებლობების დადგენა და გამოვლენა, რომლებიც უზრუნველყოფენ კერძო გლეხური (ოჯახური) მეურნეობების გამსხვილებასა და გაერთიანებას;

- სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მომხდარი სტრუქტურული ცვლილებების დადგენა და მათი გავლენის განსაზღვრა საწარმოთა ახალ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებზე, ამ უკანასკნელთა საწარმოო მიმართულებისა და მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის მიზნით.

<u>კვლევის ობიექტი და საგანი</u>. კვლევის ობიექტს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგროსასურსათო სექტორი და მისი ძირითადი დარგი – სოფლის მეურნეობა, თავისი საკუთრების და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებით, გადამამუშავებელი საწარმოებით, გლეხური (ოჯახური) მეურნეობებით.

კვლევის საგანს წარმოადგენს სოფლის მეურნეობაში განხორციელებული რეფორმის შემდგომ აჭარის სოფლის მეურნეობაში ფორმირებულ საწარმოთა ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, მათი ფუნქციონირებისა და ინტეგრაციის პირობები.

<u>კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდიკა.</u> კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს შეადგენს საბაზრო ეკონომიკისა და აგრარული რეფორმის საკითხებზე არსებული ქართველი და საზღვარგარეთელი მკვლევარების მეცნიერული ნაშრომები, პრეზიდენტის განკარგულებები, მთავრობის დადგენილებები და ნორმატიული აქტები, საქართველოს პარლამენტის მიერ საკითხთან დაკავშირებით მიღებული კანონები, მსოფლიო ბანკის მიერ სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწვრლობის დარგში ჩატარებული გამოკვლევები და რეკომენდაციები.

ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის, აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკისა და მართვის,

ვ. მელქაძის სახელობის სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო შრომათა კრებულები, საქართველოს და მ.შ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს, მიწის მართვის, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალები.

კვლევის პროცესში კონკრეტული ამოცანის გადაჭრისას გამოყენებულია ანალიზის, მათემატიკური სტატისტიკის, მონოგრაფიული, სტატისტიკური დაჯგუფების, საბალანსო, ნორმატიული და სხვა მეთოდები.

<u>ნაშრომის მეცნიერული სიახლე</u> მდგომარეობს შემდეგში:

- მეცნიერულ დონეზე შესწავლილია საბაზრო ურთიერთობების პირობებში სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების შერჩევისა და დაფუძნების თეორიული და პრაქტიკული საკითხები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში;

- დაზუსტებული და დასაბუთებულია საკვლევ რეგიონის სოფლის მეურნეობაში ახალ საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ფუნქციონირების საკითხები, სოციალურ-ეკონომიკური და იურიდიული საფუძვლები;

- გამოვლენილია ის ნაკლოვანებები, რომელსაც ადგილი ჰქონდა და აქვს რეგიონში აგრარული რეფორმის მიმდინარეობისას და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ჩამოყალიბებისას;

- დეტალურად (საფუძვლიანად) გაანალიზებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის თანამედროვე

მდგომარეობა და დასახულია მისი შემდგომი განვითარების მიმართულებები;

- შემუშავებულია აგრარული მეწარმეობის სრულყოფისა და აგრობიზნესის შემდგომი განვითარების პრაქტიკული წინადადებები;

- დასაბუთებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გასატარებელი სტრუქტურული ცვლილებები და დასახულია არსებულ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებში მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის გზები.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომში წარმოდგენილ დებულებებს, დასკვნებს და რეკომენდაციებს შეუძლიათ არსებითი წვლილის შეტანა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, განსაკუთრებით მისი მთიანი რეგიონის სოფლის მეურნეობაში საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრებისა და განმტკიცებისათვის. მნიშვნელოვანია მისი როლი აგრეთვე, აგრარულ
სექტორში ეკონომიკურ ურთიერთობათა სრულყოფის საქმეში.

რამდენადაც ნაშრომი წარმოადგენს პრობლემასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეცნიერულ გამოკვლევას მთის რეგიონის სოფლის მეურნეობის და მთლიანად აჭარის აგროსასურსათო სექტორის სფეროში, ამდენად მას, თეორიული ცოდნის დონის ამაღლებასთან ერთად, შეუძლია პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინოს მსგავსი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების მქონე რეგიონებსა და ზონებს მეურნეობრიობის ახალი პროგრესული ფორმების შერჩევასა და ჩამოყალიბებაში, მათ ორგანიზაციულ-სამეურნეო მოწყობასა და შემდგომ განვითარებაში.

კვლევის შედეგების პუბლიკაცია და აპრობაცია. კვლევის ძირითადი დებულებები, შედეგები და ცალკეული სახის რეკომენდაციები გამოქვეყნებულია

ავტორის მიერ ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებულებში, ჟურნალ "ეკონომიკის" სხვადასხვა ნომრებსა და საქართველოს ს/მ-ის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ "მოამბე"-ში.

კვლევის ძირითადი შედეგები პერიოდულად იხილებოდა საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენციებზე. კვლევის საბოლოო შედეგები მოხსენებული იქნა ამავე უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის, ორგანიზაციისა და მართვის დეპარტამენტის სხდომაზე.

<u>სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.</u> ნაშრომი მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 158 გვერდს. შედგება შესავლის, სამი თავის, დასკვნებისა და წინადადებებისაგან. მას თან ერთვის 102 დასახელების გამოყენებული ლიტერატურის სია.

თავი 1. აგრარული რეფორმა და საწარმოთა ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ჩამოყალიბების აქტუალური საკითხები საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში

1.1. საბაზრო ეკონომიკა – აგრარული რეფორმის განხორციელების (ჩატარების) ძირითადი საფუძველი

ეროვნული მეურნეობის დარგების (მ.შ. აგროსასურსათო სექტორის) საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში

ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს მეცნიერულად დასაბუთებული და საერთაშორისო გამოცდილებით დამტკიცებული ის ძირითადი დებულებები, რომლებიც არავითარ დავას არ იწვევენ და რომლებიც მიღებული უნდა იქნეს ფართო მასების მიერ. ეს ძირითადი დებულებებია:

1. ნამდვილი საბაზრო ეკონომიკა არის შეზღუდული რესურსებით მატერიალური დოვლათის მაქსიმალური წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების სისტემა, რომელშიც მაქსიმალური მოგების მიღების მიზანი წარმოადგენს შრომითი და ფულად-მატერიალური რესურსების ეკონომიურად გამოყენების მძლავრ სტიმულს, ხოლო მკაცრი კონკურენცია ბაზარზე აიძულებს მწარმოებლებს სრულყონ წარმოების ტექნოლოგია ისეთი ახალი და ხარისხიანი პროდუქციის საწარმოებლად, რომელიც უფრო სრულყოფილად დააკმაყოფილებს მომხმარებელთა მოთხოვნილებებს. ასე რომ, საბაზრო ეკონომიკას გააჩნია წარმოების სტრუქტურული გარდაქმნის მექანიზმი, რაც მოთხოვნილებების ცვლილებებისადმი სწრაფი ადაპტაციის საშუალებას იძლევა. [17]

2. ბაზრის გარეშე არ არსებობს ისეთი ეკონომიკა, რომელიც

უფრო მოქნილი და მგრძნობიარეა სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების, საზოგადოებრივი მოთხოვნილების სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებებისადმი და ამავე დროს არის სოციალურად ორიენტირებული. ამ თვალსაზრისით ბაზარი არის არა როგორც რომელიმე სოციალური სისტემის გაგრძელება, არამედ როგორც მეურნეობრიობის გაძღოლის ეფექტიანი და ქმედითი ინსტრუმენტების ბუნებრივი შერჩევის, სამეწარმეო საქმიანობის გამოცდილების დაგროვების შედეგი.

3. საერთაშორისო გამოცდილებით დამტკიცებულია და მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ მსოფლიო პრაქტიკაში არ არსებობს საბაზრო ურთიერთობების დეკრეტით ან საყოველთაო კენჭისყრის საფუძველზე ძალისმიერი დანერგვის მაგალითი. ამ გზით საბაზრო ეკონომიკა არსად და არასდროს შექმნილა. იგი ყოველთვის ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პროდუქტია. საჭიროა ხანგრძლივი დრო შესაბამისი საბაზრო სტრუქტურების ფორმირებისა და სამართლებრივი ბაზის შესაქმნელად, კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად, მასობრივ შეგნებაში სტერეოტიპების, ფასეულობათა სისტემების, მოქმედების მოტივების გადასაფასებლად და გარდასაქმნელად. სხვაგვარი ფიქრი ან საბაზრო ეკონომიკაზე სწრაფი და ერთდროული გადასვლის იმედი ნიშნავს იმას, რომ არ გესმის საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბების უმთავრესი პრინციპები და კანონზომიერებანი.

4. რეალური ბაზარი ყოველთვის და ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე ასახავს ამა თუ იმ ქვეყნის ნაციონალურ ტრადიციებს და თავისებურებებს, კულტურის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტიპს და სხვა მრავალ ეროვნულ თვისებას. საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლისას ეს თავისებურებაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული.

5. ბაზარი ეს კრებსითი ცნებაა. იგი არასდროს არ მოიცავს ეკონომიკური, მით უფრო სოციალური ურთიერთობების ყველა სფეროს. თანამედროვე პირობებში მაღალეფექტიანი შეიძლება იყოს მხოლოდ რეგულირებადი, სოციალურად ორიენტირებული ბაზარი. მხოლოდ მას შეუძლია უზრუნველყოს სისტემის სოციალურ-პოლიტიკური მდგრადობა. დღეს არსად აღარ არსებობს "წმინდა" საბაზრო ეკონომიკა. საქმე გვაქვს ე.წ.

“შერეულ” საბაზრო ეკონომიკასთან, სადაც თავისუფალ ბაზართან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფოც, რომელიც იცავს საზოგადოების ყველა წევრის – მწარმოებლის და მომხმარებლის ინტერესებს, უნდა უზრუნველყოფდეს შემოსავლების სამართლებრივ განაწილებას, იძლეოდეს ბაზარზე არჩევითობის შესაძლებლობას როგორც მწარმოებლისათვის, ისე მომხმარებლისთვისაც, ანუ არ უშვებდეს მონოპოლიზმს.

ამჟამად, თანამედროვე მსოფლიოში აშკარად გამოიკვეთა ბაზრის ორი ტიპი, რომელთაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ ლიბერალურ-ამერიკული და სოციალურ-ევროპული. პირველი ტიპისათვის, რომელიც რეალიზებული იქნა აშშ-ში, დამახასიათებელია სახელმწიფო საკუთრების თითქმის არ არსებობა, ხოლო მეორე ტიპისათვის, რომელიც ყველაზე რელიეფურადაა წარმოდგენილი დასავლეთ ევროპაში, იაპონიაში, სამხრეთ კორეაში, დამახასიათებელია სახელმწიფოს მნიშვნელოვანი როლი ეკონომიკაში, კერძო საკუთრების პრინციპების გარკვეული შეზღუდვა, განვითარებული სოციალური დაცვის სისტემა. ხატოვნად რომ ვთქვათ, პირველ მოდელში ყველაფერი (საქონელი და საწარმოც კი თავისი მუშებით) იყიდება, ხოლო მეორე მოდელში კი საწარმოს გაყიდვა ასე ადვილად არ ხდება და საჭიროა პროფკავშირების თანხმობა. პირველ მოდელში წამყვან როლს თამაშობენ პიროვნებები და ინიციატივა, მეორეში კი –

ინსტიტუტები და შუამავალი ინსტიტუტები.

დღეისათვის ნათელია, რომ საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა დაიწყო ყოველგვარი მოსამზადებელი სამუშაოების გარეშე და მოხდა მისი ლიბერალურ-ამერიკული მოდელის უკიდურესი ფორმით

რეალიზება, რომლის საფუძველზეც განხორციელდა მოსახლეობის მცირე ნაწილის ხელში უზარმაზარი ქონების დაგროვება.

სპეციალისტების აზრით, არც სოციალურ-ფსიქოლოგიურად და არც ისტორიულად ქვეყანა და მისი მოსახლეობა (შესაბამისად ხელისუფლებაც) მზად არ იყო ასეთი მოდელისათვის, რაც განვლილმა პერიოდმა სავსებით დაადასტურა. დღეს აუცილებელია შემუშავებული იქნას საბაზრო მოდელის განვითარების ისეთი კონცეფცია, სადაც გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს საშუალო მესაკუთრეთა მრავალრიცხოვანმა კლასმა, რომელიც შედგება: 1. კვალიფიციური მუშათა ფენისაგან; 2. კერძო ოჯახური გლეხური მეურნეობის მეპატრონეებისაგან; 3. წვრილ მეწარმეთა მზარდი კლასისაგან; 4. ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილისაგან; 5. მმართველობითი ფენებისაგან, რომლებიც მოწოდებულნი არიან ქვეყნის სტაბილიზაციისა და განვითარებისათვის.

საქართველოში გამოყენებული საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მოდელი ითვალისწინებს: ფასების ლიბერალიზაციას, სუბსიდიებზე უარის თქმას (რაც, ჩვენი აზრით, ჯერჯერობით დაუშვებელია), ლიბერალურ სავაჭრო პოლიტიკას, ვალუტის კონვერტირებას, დემონოპოლიზებას, სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზებას, უცხოელი ინვესტორების მოზიდვას, არარენტაბელური საწარმოების დახურვას, მკაცრი ფულად-საკრედიტო, საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკის განხორციელებას და ამ უკანასკნელის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტად გამოცხადებას.

ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი პერიოდის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე სახელმწიფო იღებს ორიენტაციას

ბაზარზე (რაც სავსებით ლოგიკური და მისაღებია), მაგრამ თვითონ ვერ არეგულირებს საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის რთულ პროცესებს (რაც ყოვლად მიუღებელია). ამიტომ საქართველოს ეკონომიკის (შესაბამისად მისი აგრარული სექტორის) განვითარების დღევანდელი ეტაპი ხასიათდება საბაზრო ეკონომიკაზე სტიქიურად გადასვლის ნიშანდობლივი თვისებებით. აღნიშნული სიტუაციიდან გამოსავალი ცივილიზებული, სრულყოფილი საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებაა და სხვა ალტერნატივა არ არსებობს. როგორც ცნობილია, საბაზრო ეკონომიკა კი მაშინ არის ცივილიზებული, თუ ის ადამიანის კეთილდღეობას ემსახურება, აძლიერებს წარმოების სტიმულებს, სრულად ითვალისწინებს მწარმოებლისა და მომხმარებლის ინტერესებს, ოპტიმალურად არეგულირებს წარმოებასა და მოთხოვნილებას შორის რაციონალურ თანაფარდობას, ქმნის საფუძველს არსებული ორგანიზაციული ეკონომიკურ-საწარმოო პოტენციალისა და შესაბამისი მმართველობითი ფუნქციების ეფექტიანად გამოყენებისათვის.

საქართველოში, ისე როგორც ყოფილ საბჭოთა სხვა რესპუბლიკებში, ორი ისტორიული პროცესი დაემთხვა ერთმანეთს – ქვეყნის პოლიტიკური თავისუფლების (დამოუკიდებლობის) მოპოვება და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. დროსა და სივრცეში ამ ორი ისტორიული, თავისი ბუნებით, განვითარების თავისებურებებით ერთმანეთისაგან განსხვავებული პროცესის ერთდროულად დაწყება მოითხოვდა ერის მატერიალური და სულიერი პოტენციალის მაქსიმალურად ამოქმედებას და ეროვნული ეკონომიკის ახალ თვისობრიობაში ნაკლები დანაკარგებით გადასვლას. სამწუხაროდ, ამ

ამოცანის შესრულებისათვის ერი, სახელმწიფო სტრუქტურები და პოლიტიკური ძალები მზად არ აღმოჩნდნენ. [75]

როგორც განვლილმა პერიოდმა გვიჩვენა, დამოუკიდებლობის აღდგენის პირველსავე წლებში საქართველოს საზოგადოებრივ ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციის პროცესში განვითარებულმა მოვლენებმა, ეკონომიკის სხვა დარგებთან ერთად, ქვეყნის აგროსამრეწველო და სასურსათო სექტორსაც უდიდესი ზიანი მიაყენა.

რეფორმის ეფექტიანი განხორციელების მნიშვნელოვანი პირობა მისი ეტაპებად სწორი დაყოფაა. რეფორმატორული ღონისძიებები ცალკეულ ეტაპების თავისებურებებს უნდა ითვალისწინებდეს. სხვანაირად ეს ღონისძიებები ოპტიმალურად შერჩეული ვერ იქნება. ეტაპიზაცია უნდა ეყრდნობოდეს შემდეგ თეორიულ დებულებებს: სისტემური გარდაქმნები ქვეყანაში აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს მათ თავისებურებებს და ეროვნულ ინტერესებს; მთავარი პასუხისმგებლობა რეფორმის გასატარებლად მთავრობას ეკისრება. ამ კრიტერიუმების მიხედვით საქართველოში ეკონომიკური რეფორმის ორი ძირითადი ეტაპი გამოიყოფა: პირველი ეტაპი 1990-1996 წლები და მეორე ეტაპი, რომელიც 1997 წლიდან გრძელდება დღემდე.

პირველი ეტაპის მთავარი დამახასიათებელი ნიშნებია: საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობის დასაბუთება და გათვითცნობიერება, კონცეფციის შემუშავება; რეფორმის რეალური დაწყება; ეკონომიკის სტაბილიზაციის წანამძღვრების ჩამოყალიბება, რაც პირველ ხანებში გამოიხატა ეკონომიკის დაცემაში, შემდგომ კი სტაბილიზაციის კურსის შექმნასა და დამკვიდრებაში.

ეკონომიკური რეფორმის პირველი ეტაპი ხასიათდება როგორც

დადებითი, ისე უარყოფითი ტენდენციებით. დადებითი ტენდენციებიდან მთავარია: სოციალისტური მეურნეობრივი სისტემის ლიკვიდაცია და ძირითადად საბაზრო მეურნეობის ურთიერთობების ჩამოყალიბება; ეროვნული სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ფორმირება, ლიბერალური საზოგადოების ზოგადი საფუძვლების საბაზრო მეურნეობების უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტების ჩამოყალიბება და საბაზრო მექანიზმების დაშვება; ინფლაციის მაღალი ტემპების, წარმოების დაცემის დაძლევა და ერთობლივი მოთხოვნის, მოსახლეობის რეალური შემოსავლების, ეკონომიკური ზრდის პირობების უზრუნველყოფა; მომდევნო მეორე ეტაპისათვის რეფორმის ევოლუციური გზით განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

ხოლო 1997 წლიდან საქართველოში ეკონომიკური რეფორმის მეორე ეტაპის მთავარი მიზანია გარდამავალი პერიოდის დასრულება, კონკურენტუნარიანი და მაღალეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის ფორმირება. მისი დამახასიათებელი ნიშანია: საშინაო და საგარეო პოლიტიკის ლიბერალიზაციის გაღრმავება, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება, მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრაციის გაგრძელება, ინსტიტუციური და სტრუქტურული ტრანსფორმაციის თანდათანობით განხორციელება, სამართლებრივი რეფორმების გატარება, ეკონომიკური აგენტების საბაზრო ქცევის, კონკურენტული ბაზრების თანდათანობით ჩამოყალიბება, საწარმოების პრივატიზაციისა და რესტრუქტურიზაციის პროცესის გაგრძელება.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური რეფორმის მეორე ეტაპი (1997 წლიდან) ობიექტურად, უპირატესად, ევოლუციური გარდაქმნებით

ხორციელდება. რეფორმის პირველ წლებში დაშვებულმა სერიოზულმა შეცდომებმა 1992 წლიდან საქართველო იძულებული გახადა ფორსირებული გზით გამოეყენებინა “დიდი გარღვევა”, რამაც ქვეყანას მოუტანა რიგი სასიკეთო ძვრა. ამ პერიოდში საქართველოში ეკონომიკური რეფორმების წარმატებით მიმდინარეობას ადასტურებს 1995-1997 წლების მთავარი მაკროეკონომიკური მახასიათებლების დინამიკაც. კერძოდ, დასაბამი მიეცა და შენარჩუნებული იყო ეკონომიკური ზრდის ტემპები; მეურნეობის დარგები გამოცოცხლდა, ხოლო ინფრასტრუქტურის სფერო მკვეთრი აღმავლობის გზას დაადგა, ფულადი საშუალებების პოზიტიურმა ცვლილებებმა გარკვეული სიმყარე შემატეს სავალუტო ბაზარს, დანაზოგების, მოხმარებისა და ინვესტიციების პროპორციებმა იწყო დაბალანსებულობა და ა.შ.

ეკონომიკურ ზრდას მნიშვნელოვანი ბარიერი შეუქმნა 1998 წელს ქვეყანაში ჩამოყალიბებულმა ჯერ საბიუჯეტო, ხოლო შემდეგ საბიუჯეტო-სავალუტო კრიზისმა. კრიზისის მიზეზებიდან უმთავრესი იყო მსოფლიო გლობალური კრიზისის (1997-1998 წლების) ზეგავლენა (მათ შორის რუსეთში დაწყებული პროცესები), სახელმწიფოებრივი ფინანსური მენეჯმენტის ხარვეზები; ჯერ კიდევ სუსტი საბანკო სისტემა, მოუმზადებლობა მნიშვნელოვანი პოზიტიური ძვრებისათვის; ინფლაციურ-ანალიტიკური სამსახურების ემბრიონალური მდგომარეობა (სისუსტე) და სხვა). ყოველივემ გამოიწვია 1998 წელს ეკონომიკური ზრდის საგრძნობი შენელება, რის გამოც ამ წელს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა შეადგინა მხოლოდ 102,9 პროცენტი.

ამასთან, ეკონომიკურმა რეფორმამ სასურველი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები ვერ მოიტანა. ქვეყანაში გამეფდა ეკონომიკური

კრიზისი და ქაოსი. ბუნებრივია, იბადება კითხვა: რა ობიექტურმა და სუბიექტურმა მიზეზებმა განაპირობა ეკონომიკური კრიზისი და რა ფაქტორებმა შეუშალა ხელი ეკონომიკური რეფორმების ნორმალურ წარმართვას?

ძნელია ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებისა და პირობების რაოდენობრივი გამოსახვა, მაგრამ ჩვენ ვეცდებით იმ ძირითადი მომენტების ლოგიკურ დასაბუთებას, რომლებიც ამუხრუჭებენ ეკონომიკურ განვითარებას. რეფორმის ხელისშემშლელი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთშია გადაჯაჭვული და ურთიერთგანპირობებულია. მაგრამ გარკვევით შეიძლება ერთმანეთისაგან გამოცალკევდეს შეცდომები, რომლებიც დაშვებული იქნა ეკონომიკური რეფორმების სტრატეგიაში, მათი ძირითადი მიმართულებების განსაზღვრასა და ტაქტიკური ღონისძიებების ფორმირებასა და რეალიზაციის დროს. ასეთი მიდგომა მიზანშეწონილია იმის გამო, რომ მომავალი რეფორმების დროს თავიდან ავიცილოთ ის ფაქტორები, რომლებმაც ხელი შეუშალეს ეკონომიკურ გარდაქმნებს.

საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური კრიზისების გამომწვევ და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის დამმუხრუჭებელ მიზეზებს შორის უნდა გამოიყოს შემდეგი:

1. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საქართველოსათვის მისაღები მოდელის არასწორად შერჩევის პრობლემა;

2. იმპერიის დაშლის შედეგად ეკონომიკური კავშირების რღვევა;

3. ეკონომიკური გარდაქმნისათვის საზოგადოების ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა;

4. სახელმწიფოს როლის იგნორირება ეკონომიკის რეგულირებასა და მართვაში;

5. ეკონომიკური გარდაქმნისათვის საკანონმდებლო ბაზის მოუმზადებლობა;

6. კადრების არაკომპეტენტურობა;

7. არასპეციალისტთა ჩართვა ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში;

8. არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება;

9. არასწორი საგადასახადო პოლიტიკა;

10. ეროვნული მეცნიერული პოტენციალის იგნორირება;

11. საფინანსო-სამეურნეო კონტროლის, აღრიცხვისა და სტატისტიკური ანგარიშის მოშლა;

12. დაპირისპირება საკანონდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის;

13. საომარი მოქმედებანი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად, სამოქალაქო კონფლიქტები;

14. კრიმინოგენური სიტუაციის გამწვავება, ყაჩაღობა, საბოტაჟი, ქურდობა და კორუფციის განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელი. [59]

თუ პოსტსაბჭოური საქართველოს გარდამავალ ეკონომიკას ზოგადისა და სპეციფიკური ერთიანობის ასპექტში განვიხილავთ, ზემოთ აღნიშნული მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე შესაძლებელია მათში მთელი რიგი რთული და სიღრმისეული წინააღმდეგობების გამოყოფა და დახასიათება, წინააღმდეგობათა ერთ ჯგუფს წარმოადგენს ცენტრალიზებულად მართვადი, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკიდან, როგორც გარდამავალი ეკონომიკის ამოსავალი

მდგომარეობიდან გადმოსული წინააღმდეგობანი, რომლებიც განიცდიან გარკვეულ მოდიფიცირებას, მაგრამ მათი ბუნება და არსი შენარჩუნებულია.

მეორე ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ გადასვლის მომენტის ის წინააღმდეგობანი, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ერთი ეკონომიკური სისტემის მეორით შეცვლასთან. ჩვენს შემთხვევაში კი ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკა საბაზრო ეკონომიკით იცვლება.

მესამე ჯგუფს წარმოადგენს ის წინააღმდეგობანი, რაც გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ახალ ეკონომიკური ფორმების დამკვიდრებასთანაა დაკავშირებული. საქმე იმაშია, რომ ეს უკანასკნელნი "ცარიელ ადგილას" კი არ წარმოიშობიან, არამედ თანაარსებობენ ძველ ეკონომიკურ ფორმებთან და აქედან გამომდინარეობს წინააღმდეგობა ძველ და ახალ ეკონომიკურ ფორმებს შორის, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ქვეყნის ეკონომიკის საბაზრო პირობებთან ადაპტაციის დროს.

და ბოლოს, სუბიექტური მიზეზებით წარმოშობილი წინააღმდეგობანი, რომლებიც დაკავშირებულნი არიან გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს (მთავრობის) მიერ ამა თუ იმ ტიპის მცდარი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებასთან. საქართველოს ეკონომიკას ახასიათებდა გლობალური დაუბალანსებულობა, რაც კიდევ უფრო გაღრმავდა ეკონომიკური რეფორმის დროს სამეურნეო კავშირების მოშლის შედეგად.

მიუხედავად ამისა, რეფორმის პირველი ეტაპის (1990-1996 წწ.) მთავარი ამოცანა (რომ გაცნობიერებულიყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობა და სოციალისტური სისტემიდან დიდი ნგრევის გარეშე გამოსასვლელად პირობების მომზადება) მიღწეულია. იგი

იყო და არის პოლიტიკური და სოციალური ეტაპი, რადიკალური რეფორმების ეტაპი, რომელმაც საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა, სოციალისტური მეურნეობრივი სისტემის ლიკვიდაცია და საბაზრო სისტემის (ძირითადად) ფორმირება განაპირობა, თუმცა, უკიდურესად მაღალი სოციალური ფასით.

რეფორმის მეორე ეტაპი (1997 წლიდან) უპირატესად ევოლუციური ეტაპია, რომელმაც გარდამავალი პერიოდი მაღალეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებით უნდა დააგვირგვინოს. მისი ხანგრძლივობა საქართველოს მხრიდან უხეში შეცდომების და საგარეო ვითარების უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების უნარზეა დამოკიდებული. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გაჯანსაღებისა და ეკონომიკური ზრდის ამოცანის საერთო სახელმწიფოებრივი ხასიათიდან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარების ეკონომიკური პროგრამა ხელსაყრელი ბუნებრივი და ადამიანური რესურსების გამოყენებას უნდა დაეფუძნოს. მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებზე მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილება კი უნდა გახდეს ფართომასშტაბიანი სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- სახელმწიფო პოლიტიკის კონცენტრირებას ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისათვის;

- სიღარიბის გამომწვევი ფაქტორების დადგენას, დაძლევას და მის სახელმწიფო პოლიტიკაში გათვალისწინებას;

- იმ ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებას, რომლებიც მაქსიმალურ ზეგავლენას იქონიებს სიღარიბის შემცირებაზე.

თუ საბაზრო მექანიზმში სახელმწიფო დაიწყებს ჩარევას და ფასების დაწესებას, მაშინ საბაზრო მექანიზმი ფაქტიურად არ იმუშავებს. ამგვარი ინტერვენცია უარყოფითად იმოქმედებს ბაზარზე.

ხელისუფლების ინტერვენციას ძირითადად ბაზრის ფასების წონასწორობის დარღვევა იწვევს. ეს კი მაშინ ხდება, როდესაც საბაზრო მექანიზმი ვერ უზრუნველყოფს მიწოდებას, რასაც გაუმართლებელ ფასებამდე მივყავართ. ბაზრის არსიდან გამომდინარე, ფასები კონიუნქტურის მიხედვით ყალიბდება. თუ საქონლის მიწოდება მეტია მოთხოვნაზე – ფასები დაბალია და პირიქით, თუ საქონლის მიწოდება მცირეა, მაშინ მოთხოვნა მასზე დიდია და შესაბამისად ფასიც მაღალია. თუ ბაზრის ფასების ამ წონასწორობაში სახელმწიფო უშუალოდ ჩაერევა (ე.ი. დააწესებს ფასებს), მაშინ იგი მბრძანებლურ-გამანაწილებელი სისტემის აღდგენას გამოიწვევს, რაც ყოვლად დაუშვებელია. ითვალისწინებენ რა აღნიშნულ არგუმენტებს, სპეციალისტები საზოგადოდ პირდაპირი ინტერვენციის წინააღმდეგები არიან და მხარს უჭერენ არაპირდაპირ ინტერვენციას. სწორედ ეს უკანასკნელი მიდგომა უნდა იქნეს მიჩნეული მართებულად ჩრდილოვანი ეკონომიკის დაძლევისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ძირითად ღონისძიებად. ეს მიდგომა უნდა იქნეს ასკ-ის სისტემაში გამოყენებული მეურნეობის რეფორმის ამ გარდამავალ ეტაპზე. [37]

როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, სახელმწიფოს არაპირდაპირი ინტერვენციის გამოყენება არ არღვევს საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს და ამავე დროს, სახელმწიფოს იმ მიზნების განხორციელების საშუალებას აძლევს, რომელიც მოცემულ მომენტში საზოგადოებრივად

მნიშვნელოვანია და აუცილებელია ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციისათვის და კორუფციის მასშტაბების შესამცირებლად.

აღნიშნულის სარეალიზაციოდ უნდა განხორციელდეს შემდეგი გადაუდებელი ღონისძიებები:

1. სახელმწიფო შესყიდვის სისტემის რეფორმის ახალი ეტაპი;

2. ფალსიფიკაციასთან ბრძოლის, სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოების კონტროლის და სტანდარტებისადმი შესატყვისობის სისტემის რეფორმა;

3. აგრობიზნესის ლეგალიზაციის მიზნით საგადასახადო სისტემის კიდევ უფრო მეტი ოპტიმიზაცია, მცირე და საშუალო ბიზნესისადმი აუცილებელი მხარდაჭერა;

4. მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე სახელმწიფო ზედამხედველობის სისტემის გაძლიერება;

5. აგრარული რეფორმის საჯაროობისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციის საკითხებში საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემის ფორმირება.

დღეს საქართველოს ეკონომიკასა და მის აგრარულ სექტორში მიმდინარეობს ფართო მასშტაბის სამუშაოები საბაზრო ეკონომიკისა და თავისუფალი კონკურენციის დამკვიდრებისათვის, რითაც შესაძლებლობა იქმნება ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციისა და კორუფციის მინიმუმამდე შემცირებისათვის.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მასშტაბების გაზრდა აუცილებელი გახდა იქიდან გამომდინარე, რომ იგი ძალზე საშიშ ფენომენად იქცა ეროვნული ეკონომიკისათვის და მან საფრთხე შეუქმნა სახელმწიფოს დამოუკიდებლობას.

საქართველოში განხორციელებული ინსტიტუციური და სტრუქტურული რეფორმების უმთავრესი მიზანი სოციალურად ორიენტირებული, თვითმყოფადი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება და ამის საფუძველზე ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებაა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობაში მიწის 80%-მდე გლეხებს კერძო საკუთრებაში გადაეცა, მან მიზანს ვერ მიაღწია.

აღნიშნული მიზნის უალტერნატივობასთან ერთად, არ შეიძლება ხაზი არ გაესვას მისი განხორციელების არაერთგვაროვან ხარისხს. კერძოდ, ხშირად ვერ ხერხდებოდა რეფორმების როგორც ფინანსური, ასევე ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა, რისი კომპენსირებაც კერძო მეწარმის შეზღუდვის – ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის განვითარების ხარჯზე ხდებოდა.

დღევანდელი აგრარული პოლიტიკა მნიშვნელოვანწილად ადმინისტრირების მაღალ ხარისხს დაექვემდებარა და ფისკალური ადმინისტრირება ეკონომიკური პოლიტიკის ქვაკუთხედად იქცა. აქედან გამომდინარე, სასურსათო წარმოებისა და მარაგების მასშტაბების შემცირების პროცესში პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა იქცეს აგრარული პოლიტიკის სრულყოფა და შესაბამისი აღსრულების მექანიზმით მისი უზრუნველყოფა.

ამრიგად, როგორც პრაქტიკულად, ასევე თეორიული თვალსაზრისით, მეტად აქტუალურია საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების გატარებისა და ამის საფუძველზე ქვეყანაში სასურსათო უზრუნველყოფის ღონისძიებების დასახვა და ამ პრობლემის გადაჭრა.

საქართველოსათვის აგრარული სექტორის განვითარება და მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფა არის ქვეყნის ეროვნული უშიშროების განმტკიცების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი და იგი უნდა დარჩეს ქვეყნის განვითარების მთავარ სტრატეგიულ მიმართულებად უახლოეს და შორეულ პერსპექტივებში. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული უნდა იქნეს ქვეყნის ეკონომიკის ზრდისა და მისი მდგრადი განვითარებისათვის.

1.2. მიწის პრივატიზაცია და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რესტრუქტურიზაცია სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებელი პირობა

მიწა უნიკალური რესურსია, რაც განასხვავებს მას სხვა სასოფლო-სამეურნეო თუ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების რესურსისაგან. ეს უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ მიწა არ ცვდება და არ გამოდის ხმარებიდან, თუ მოხდება მისი სწორად გამოყენება და გატარდება შესაბამისი კონსერვაციის ზომები. მიზანმიმართული ექსპლუატაცია და აგროტექნიკური პირობების დაცვა შესაძლებლობას იძლევა არა მარტო შენარჩუნებული იქნეს მიწისათვის დამახასიათებელი ნაყოფიერება, არამედ მნიშვნელოვნად გაიზარდოს კიდეც. აქედან გამომდინარე, მიწის სწორად გამოყენებასა და მართვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი ნაყოფიერების შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის.

მიწის მართვის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მისი რეფორმა, რომელიც ეკონომიკური (მ.შ აგრარული) რეფორმების საფუძველთა

საფუძველს წარმოადგენს. იტალიელი პროფესორი ფაბიო სანტუჩი განასხვავებს მიწის რეფორმის შემდეგ ტიპებს:

საშუალო კლასის მიწის რეფორმა. რეფორმას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მიწა მცირე მფლობელობიდან გადადის ან იყიდება ახლად ჩამოყალიბებულ ვაჭრებზე, ან ე.წ. "თეთრსაყელოიან" (ნოტარიუსები, ექიმები და ა.შ.) მოსახლეობაზე. ევროპაში (საფრანგეთი, იტალია, საბერძნეთი) მე-19 საუკუნის ბოლოს ეკლესიას ჩამოერთვა მილიონობით ჰექტარი მიწა და მიეყიდა იგი ზემოთ დასახელებულ პირებს. ეს განახორციელა არსებულმა ხელისუფლებამ და მიღებული შემოსავალი გამოიყენა სახელმწიფო ვალის დასაფარავად.

გლეხთა მიწის რეფორმა. ამ დროს მიწის რამდენიმე მფლობელს ჩამოერთმევა მიწა და დაუბრუნდება იგი უმიწო ოჯახებსა და გლეხებს საკუთრების (განკარგვის) უფლების გარეშე.

კომუნისტური მიწის რეფორმა. ამ რეფორმის დროს მიწა ჩამოერთმევა მსხვილ მიწათმფლობელებს და მასზე ხდება ორი სხვადასხვა ტიპის საწარმოო ერთეულის (სახელმწიფო მეურნეობა, კოლექტიური მეურნეობა) შექმნა.

პოსტკომუნისტური მიწის რეფორმა (დეკოლექტივიზაცია). ამ ტიპის რეფორმა მიმდინარეობს ყოფილ კომუნისტურ და სოციალისტურ ქვეყნებში, როდესაც ადგილი აქვს სახელმწიფო და კოლექტიური მეურნეობების დაშლას და მიწა გადადის მოსახლეობის ხელში საკუთრების, განკარგვის, თუ სარგებლობის ფორმით. [7]

ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ყველა ქვეყანაში იწყება მიწის რეფორმით, რომლის ხასიათს ბევრად განსაზღვრავს მოცემული ქვეყნის ბუნებრივ-

ეკონომიკური პირობები და აქედან გამომდინარე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურებები. თავის მხრივ აღსანიშნავია ისიც, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ისტორიულად ჩამოყალიბებული წესი განსაზღვრავს ერის მენტალიტეტს, მის დამოკიდებულებას წარმოების სხვადასხვა წესისადმი, საერთოდ სიახლეებისა და მით უფრო ეკონომიკური რეფორმებისადმი.

ამდენად, მიწის რეფორმა ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო საკითხია საბაზრო ეკონომიკის ფორმირების გზაზე, მით უფრო რთულია იგი სსრკ-ს ყოფილ რესპუბლიკებსა და აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტურ სახელმწიფოებში, რომლებშიც ძალდატანებით იქნა შეწყვეტილი სოფლად საბაზრო ურთიერთობათა განვითარების ბუნებრივი პროცესი, მოხდა მიწის ნაციონალიზაცია – სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადება და კოლმეურნეობებზე, საწარმოო კოოპერატივებსა და სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებზე უფასოდ ხანგრძლივვადიან სარგებლობაში გადაცემა. საწინააღმდეგო პროცესზე, რომელიც ამ ქვეყნებში ახლა მიმდინარეობს, დამამუხრუჭებლად მოქმედებს საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე ადამიანების შეცვლილი ფსიქოლოგია, დამოუკიდებელი შრომის უნარის მოდუნება, სოციალური და ისტორიული სამართლიანობის აღდგენის მცდელობა.

სოციალისტური ქვეყნებიდან მიწის რეფორმა (იგულისხმება მიწის მოსარგებლეთა სხვადასხვა სუბიექტის გაჩენა) პირველად 1978 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დაიწყო. მიწა დარჩა სახელმწიფო საკუთრებაში და იგი ხანგრძლივი ვადით გამოყენების უფლებით დაურიგდათ სოფლის მაცხოვრებლებს. ამჟამად მიმდინარეობს მიწის

რეფორმის მეორე ეტაპი. ნაკვეთების გამსხვილების მიზნით ხდება მიწის მოსარგებლეთა გაერთიანება სხვადასხვა სახის კოოპერატივებში.

დამოუკიდებლობის მოპოვების პირველსავე წლებში ჩვენს ქვეყანაშიც განხორციელდა მიწის რეფორმა, რომელიც მოიცავს ორ ეტაპს. პირველი ეტაპი დაიწყო "საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ" საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილებით. იმავე წლის თებერვალ-მარტში დამატებით მიღებული იქნა მინისტრთა კაბინეტის ორი დადგენილება, ხოლო 1993 წლის 16 იანვარსა და 24 თებერვალს - კიდევ ორი დადგენილება. ამ დადგენილებებში შეტანილი იქნა ის ცვლილებები და დამატებები, რომლებიც პირველი დადგენილების განხორციელების პროცესში წამოიჭრა. მოკლე დროის განმავლობაში რამდენიმე დადგენილების მიღება მიგვანიშნებს, რომ პირველი დოკუმენტი მიღებული იქნა მოუმზადებლად და ნაჩქარევად. თუმცა, იმ პირობებში უკეთესი დოკუმენტის მომზადება თითქმის შეუძლებელი იყო ორი მთავარი მოტივით: პირველი – მიწის რეფორმა თავისთავად რთული საკითხია და მეორე – ასე ფართომასშტაბიანი ღონისძიების განხორციელების პრაქტიკა ჩვენში არ არსებობდა. [57]

ზემოთ აღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული იყო მიწის რეფორმის პირველი რიგის სამუშაოების ჩატარება – საკარმიდამო ნაკვეთების გაფართოება, რისთვისაც საზოგადოებრივ მეურნეობებზე უვადო სარგებლობაში გადაცემული მიწებიდან გამოიყო რეფორმის ჩატარებისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო სავარგული (ე.წ. რეფორმის ფონდი), ამასთან განისაზღვრა სავარგულთა ის კატეგორიები, რომლებიც

არ შეიძლებოდა ჩარიცხულიყო რეფორმის ფონდში და უნდა დარჩენილიყო სახელმწიფო საკუთრებაში.

განისაზღვრა მეურნეობათა ის კატეგორიები, რომელთა მიწებიდან არ შეიძლებოდა რეფორმის ფონდისათვის მიწების გამოყოფა. ასეთ მეურნეობათა რიცხვს განეკუთვნა ექსპერიმენტული მეურნეობები, საცდელი სადგურები, სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებზე მიმაგრებული მიწები, მეთესლეობის, სანერგე, სანაშენე-საჯიშე მეურნეობები, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის მსხვილი კომპლექსები, სასათბურე კომბინატები, სასაზღვრო და საგარეუბნო ზოლში გაადგილებული მეურნეობები.

მიწის განაწილების სუბიექტად მიჩნეული იქნა კომლი, ხოლო თვით კომლები დაიყო კატეგორიებად. საკარმიდამო ნაკვეთის ზღვრული ნორმა დიფერენცირებული იქნა კომლების კატეგორიების, ბარისა და მთის რაიონების მიხედვით.

სოფლად მუდმივად მცხოვრები და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოქალაქეებისათვის და სოფლად მცხოვრები სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისათვის საკარმიდამო ნაკვეთის ზღვრული ნორმა განისაზღვრა ბარისა და ზეგნის რაიონებში 1,25 ჰექტრამდე, მთის რაიონებში – 5 ჰექტრამდე (მ.შ. დამუშავებაში მყოფი მიწა 1 ჰექტრამდე); სოფლად მუდმივად მცხოვრები სხვა სფეროს მუშა-მოსამსახურეებისათვის მთისა და ზეგნის რაიონებში – 0,75 ჰექტრამდე, ხოლო მთის რაიონებში – 5 ჰექტრამდე (მ.შ. დამუშავებაში მყოფი მიწა 1 ჰექტრამდე); ქალაქად მცხოვრებთათვის, რომელთაც სოფლად საკუთრების უფლებით მიღებული აქვთ საცხოვრებელი სახლი, ან მისი ნაწილი და ქალაქად მცხოვრები იმ მოქალაქეებისათვის, რომელთაც სურთ სოფლად მიიღონ საკარმიდამო

მიწის ნაკვეთები საგარეუბნო ზონებში – 0,15 ჰექტრამდე, ბარისა და ზეგნის რაიონებში – 0,25 ჰექტრამდე, ხოლო მთის რაიონებში – 1 ჰექტრამდე (მ.შ. დამუშავებაში მყოფი მიწა 1 ჰექტრამდე); რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა და დაბების დამტკიცებულ საზღვრებში მუდმივად მცხოვრებ და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მოქალაქეებისათვის – 0,75 ჰექტრამდე, ხოლო სხვა სფეროს მუშა-მოსამსახურეებისათვის (რომლებიც ცხოვრობენ სასოფლო-სამეურნეო საწარმოზე მიმაგრებულ მიწებზე) – 0,5 ჰექტრამდე. დადგენილებით შეიქმნა მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის სახელმწიფო კომიტეტი, რომელსაც დაევალა მიწის რეფორმის პირველი რიგის სამუშაოების ჩატარება შესაბამისი ავტონომიური, რაიონული (საქალაქო) და თვითმართველობის ადგილობრივი კომისიების მეშვეობით.

მიწის რეფორმის პირველი ეტაპის დასრულებისას (1998 წლისათვის) ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები შეადგენდა 2991100 ჰა-ს (მ.შ. პრივატიზებული – 789700 ჰა, ანუ 26,4%). სახნავი ფართობი სულ შეადგენდა 785000 ჰა-ს (მ.შ. პრივატიზებული – 431,9 ათასი ჰა, ანუ 55%), მრავალწლიანი ნარგავები – 277,5 ათასი ჰა (მ.შ. პრივატიზებული – 185,7 ათასი ჰა, ანუ 66,9%), სათიბი – 140,6 ათასი ჰა (მ.შ. პრივატიზებული – 47,6 ათასი ჰა, ანუ 33,9%). სოფლის მეურნეობაში იჯარით აღებულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 25,3%, სახნავის – 32,6%, მრავალწლიანი ნარგავების – 11,2%, სათიბის – 20,3%, საძოვრის – 24,7%. რაც შეეხება გაუნაწილებელ მიწებს და იმ ნაკვეთებს, რომელთა მიმართ ინტერესი (მათი დაბალი ნაყოფიერების გამო) ფაქტობრივად არ არსებობს, უჭირავთ სავარგულების საერთო მოცულობაში 48,3%, სახნავი ფართობის – 12,4%, მრავალწლიანი ნარგავების – 21,9%, სათიბის – 45,8%,

საძოვრის 68,4%. როგორც ჩანს, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების თითქმის ნახევარი კონკრეტულ მეწარმეზე მიმაგრებული არ იყო, ისინი მიკუთვნებული იყო "საერთო სარგებლობის" მიწების კატეგორიას და ხასიათდებიან დაბალი ნაყოფიერებით. აღსანიშნავია ისიც, რომ სავარგულები დაქუცმაცებული იქნა წვრილ ნაკვეთებად. სახნავი ფართობის ორი მესამედი 5 ჰექტრამდე ნაკვეთზე მოდის, მათ შორის თითქმის ნახევარს ერთ ჰექტრიანი ნაკვეთები შეადგენს. მიწის პეივატიზაციის შედეგად საშუალოდ ერთ კომლზე მიწის საერთო ფართობი მნიშვნელოვანწილად გაიზარდა და ნაცვლად 0,26 ჰექტრისა (1990 წ.), შეადგინა 0,9 ჰექტარი (1998 წ.).

აღნიშნულ პერიოდში სოფლად მცხოვრებ 693,4 ათას კომლს საკუთრებაში ჰქონდა 713,3 ათასი ჰა მიწის ფართობი (საშუალოდ ერთ ჰექტარზე ცოტა მეტი), ხოლო ქალაქად მცხოვრებ 326,4 ათას ოჯახს – 72,4 ათასი ჰა (საშუალოდ 0,22 ჰა). აღსანიშნავია, რომ 1992-1995 წლებში რესპუბლიკაში სახნავი ფართობი 36,1 ათასი ჰექტრით შემცირდა, მრავალწლიანი ნარგავებისა კი – 25,3 ათასი ჰა-თი. ამავე პერიოდში სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან გამოვიდა 61,4 ათასი ჰა დამუშავებაში მყოფი მიწა, 4,9 ათასი ჰა დაჭაობდა, ხოლო 2,4 ათასი ჰა კი დაბუჩქდა. [74]

2003 წლის მონაცემებით (ცხრილი 1.2.1), 7628,4 ათასი ჰექტარი მიწის ფართობიდან კერძო საკუთრებაში იყო 944,1 ათასი ჰექტარი, ანუ 12,4%, 3023,5 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულიდან კი პრივატიზებულია 763,2 ათასი ჰექტარი, ანუ 25,2%. ამავე პერიოდში 798,7 ათასი ჰექტარი სახნავიდან კერძო საკუთრებაშია 436,3 ათასი ჰექტარი, ანუ 54,6%; 264,9 ათასი ჰექტარი მრავალწლიანი ნარგავებიდან – 181,4 ათასი ჰექტარი, ანუ 68,5%; 143,2 ათასი ჰექტარი სათიბიდან –41,9 ათასი ჰექტარი,

ანუ 29,3% და 1796,9 ათასი ჰექტარი საძოვრიდან – 83,7 ათასი ჰექტარი, ანუ 4,7%. როგორც ვხედავთ, ქვეყანაში არსებული 1940,1 ათასი ჰექტარი სათიბ-საძოვრიდან (მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 64,2%) კერძო საკუთრებაშია მხოლოდ 125,5 ათასი ჰექტარი, ანუ მთელი სავარგულის 4,2% და სათიბ-საძოვრების 6,5%. სათიბ-საძოვრების პრივატიზების დაბალი ხვედრითი წილი განპირობებულია იმით, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ეს კატეგორია ნაკლებ შემოსავლიანია და შესაბამისად მათზე მოთხოვნილება მოსახლეობის მხრიდან ძალზე დაბალია.

და მაინც, სწორი იყო თუ არა მიწის რეფორმის განხორციელება? თუ გავითვალისწინებთ, რომ:

- ეკონომიკური რეფორმები საქართველოში უნდა დაწყებულიყო სოფლის მეურნეობიდან და პირველ რიგში მიწის რეფორმით;
- მიწის რეფორმა არის არა მარტო აგრარული რეფორმის, არამედ მთლიანად ეკონომიკური რეფორმის აუცილებელი პირობა;
- საქართველოში არსებობს სოფლად ინდივიდუალური მეურნეობის გაძღოლის დიდი ტრადიცია;
- მიწის რეფორმის პირველი რიგის სამუშაოების ჩატარებამ დააგროვა გამოცდილება, რომელიც აუცილებელი იყო სხვა სფეროებში რეფორმების განხორციელებისათვის, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ მიწის რეფორმას საქართველოში მხოლოდ დადებითი შედეგები უნდა მოეტანა.

სხვა საკითხია, რომ თვითონ რეფორმის განხორციელების მომენტი ვერ იქნა სწორად შერჩეული. როცა პრაქტიკულად დაკარგული იყო ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მართვის სადავეები, როცა ქვეყანა იმყოფებოდა იზოლაციაში და სუფევდა სრული ქაოსი და განუკითხაობა,

რასაც დაემატა შიდა აშლილობა რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში, საომარი მოქმედება აფხაზეთში, სამაჩაბლოში და სხვა. რა თქმა უნდა, ასეთ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ სიტუაციაში არა თუ მიწის რეფორმა, არამედ არავითარი რეფორმის განხორციელება არ შეიძლებოდა. რეფორმების გატარება ასეთ პირობებში მხოლოდ პოლიტიკური პოპულიზმით შეიძლებოდა ყოფილიყო ნაკარნახევი.

როგორც ყველა ქვეყანაში, ასევე საქართველოში მიწის რეფორმა დაწყებულია რევოლუციური ენთუზიაზმით და ხასიათდება შემდეგი ხარვეზებით:

- უმეტეს რაიონებში მიწის რეფორმის კომისიები როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე არაკვალიფიციური პირებით დააკომპლექტეს, სუსტად იმუშავეს მიწათმოწყობის სამსახურებმაც;

ცხრილი 1.2.1

მიწისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობების განაწილება და სტრუქტურა საკუთრების ფორმების მიხედვით საქართველოში

დასახელება	ზომის ერთ.	წლები							
		1986	1991	1999	2000	2001	2002	2003	2004
1. მიწის საერთო ფართობი: 1.1.ყველა კატეგორიაში	ათ. ჰა %	7272,6 100	7272,3 100	7009,0 100	6949,0 100	6949,4 100	7628,4 100	7628,4 100	7628,4 100
1.2. კერძო საკუთრებაში	ათ. ჰა %	199,0 2,7	211,4 2,9	919,6 13,1	932,5 13,4	942,3 13,6	943,4 12,4	944,1 12,4	948,9 12,4
1.3. სახელმწ. საკუთრებ.	ათ. ჰა %	7073,6 97,3	7060,9 97,1	6089,4 86,9	6016,5 86,6	6007,1 86,4	6685,0 87,6	6684,3 87,6	6679,5 87,6
2. სას.სამ. სავარგული: 2.1. ყველა კატეგორიაში	ათ. ჰა %	3267,1 100	3275,4 100	3063,5 100	3018,4 100	3019,7 100	3022,7 100	3023,5 100	3025,8 100
2.2. კერძო საკუთრებაში	ათ. ჰა %	183,6 5,6	195,3 6,0	750,1 24,5	762,1 25,2	762,1 25,2	763,0 25,2	763,0 25,2	767,3 25,4
2.3. სახელმწ. საკუთრებ.	ათ. ჰა	3073,5	3080,1	2313,	2256,	2257,	2259,	2260,	2258,

	%	94,4	94,0	4 75,5	3 74,8	6 74,8	7 74,8	5 74,8	5 74,6
3. სახნავი: 3.1. ყველა კატეგორიაში	ათ. ჰა %	783,2 100	790,4 100	791,9 100	790,4 100	792,9 100	795,3 100	798,7 100	801,8 100
3.2. კერძო საკუთრებაში	ათ. ჰა %	96,4 12,3	95,9 12,1	431,7 54,5	433,9 54,9	434,1 54,7	436,6 54.9	436,3 54,6	438,5 54,7
3.3. სახელმწ. საკუთრებ.	ათ. ჰა %	686,8 87,7	694,5 87,9	360,2 45,5	356,5 45,1	358,8 45,3	358,7 45,1	362,4 45,4	363,3 45,3
4.მრავალწლიანი ნარგავ.: 4.1. ყველა კატეგორიაში	ათ. ჰა %	357,0 100	336,9 100	269,8 100	270,1 100	269,3 100	267,9 100	264,9 100	263,8 100
4.2. კერძო საკუთრებაში	ათ. ჰა %	84,7 23,7	97,6 29,0	181,8 67,4	182,3 67,5	182,5 67,8	181,1 67,6	181,4 68,5	180,5 68,4
4.3. სახელმწ. საკუთრებ.	ათ. ჰა %	272,3 76,3	239,3 71,0	88,0 32,6	87,8 32,5	86,8 32,2	86,8 32,4	83,5 31,5	83,3 31,6
5. სათიბი: 5.1. ყველა კატეგორიაში	ათ. ჰა %	176,3 100	158,4 100	142,7 100	142,5 100	142,3 100	142,5 100	143,2 100	143,8 100
5.2. კერძო საკუთრებაში	ათ. ჰა %	2,5 1,4	1,8 1,1	39,6 27,7	41,5 29,1	41,3 29,0	41,9 29,4	41,9 29,3	44,0 30,6
5.3. სახელმწ. საკუთრებ.	ათ. ჰა %	173,8 98,6	156,6 98,9	103,1 72,3	101,0 70,9	101,0 71,0	100,6 70,6	101,3 70,7	99,8 69,4
6. საძოვარი: 6.1. ყველა კატეგორიაში	ათ. ჰა %	1947,7 100	1983,7 100	1839, 7 100	1796, 0 100	1795, 8 100	1797, 7 100	1796, 9 100	1796, 6 100
6.2. კერძო საკუთრებაში	ათ. ჰა %	- -	- -	77,6 4,2	85,0 4,7	84,8 4,7	83,6 4,7	83,6 4,7	84,5 4,7
6.3. სახელმწ. საკუთრებ.	ათ. ჰა %	1947,7 100	1983,7 100	1762, 1 95,8	1711, 0 95,3	1711, 0 95,3	1713, 6 95,3	1713, 3 95,3	1712, 1 95,3

წყარო: საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები

- სერიოზული შეცდომები იქნა დაშვებული კომლების კატეგორიების განსაზღვრისას, კომლების სიაში შეიტანეს ამ სტატუსის არ მქონე პირები;

- მიწები გამოუყვეს პირებს, რომლებსაც მოცემულ სოფლებთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ;

- მიწები გამოეყო სოფლის "პრივილეგირებულ" პირებს, მათ შორის სხვაგან მცხოვრებთ, იმ დროს, როდესაც სოფლის ძირითადი მოსახლეობისათვის მიწები არ გაუნაწილებიათ;

- ძალით დატაცებული და განიავებულია იმ კატეგორიის მეურნეობათა მიწები, რომელთა გამოყოფა დადგენილებით გათვალისწინებული არ იყო;

- მიწის ყოფილი მეპატრონენი ძალით იტაცებენ მათი წინაპრების კუთვნილ მიწებს;

- არენდატორები არ თმობენ მიწის ნაკვეთებს და ამის გამო ვერ ხერხდება მიწების რეფორმის ფონდის გამოყოფა;

- სოფელი უფლებას არ იძლევა მის ყოფილ საზღვრებში მიწები გამოეყოს მეზობელი სოფლების კომლებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ნორმით გათვალისწინებული ნაკვეთები მიღებული აქვთ. ქალაქის მოსახლეობას, რომელსაც დადგენილებით ეკუთვნის ნაკვეთები, აიძულებენ მიატოვონ იგი;

- კომლებზე მიწის განაწილება მოხდა კენჭისყრის გარეშე. ზოგიერთ სოფლებში კომლებს ნორმაზე მეტი მიწა აქვთ მიტაცებული;

- საკარმიდამო მიწების შევსება მოხდა არა კომლების, არამედ კომლის სულადობის მიხედვით, რასაც დადგენილება არ ითვალისწინებდა;

- მიწის რეფორმა ჩატარდა საკარმიდამო მიწის ნაკვეთების ინვენტარიზაციის გარეშე, მიწების განაწილება დაიწყეს ისე, რომ გამოყოფილი არ ჰქონდათ მიწის რეფორმის ფონდი.

მიწის რეფორმის მეორე ეტაპს საფუძველი ჩაეყარა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებისა და იჯარის შესახებ 1996 წლის 22 მარტისა და 28 ივნისის კანონებით, რომელთა მიღებითაც სახელმწიფომ საკანონმდებლო საფუძველზე გამოხატა უმნიშვნელოვანესი

უმაღლესი პოლიტიკური ნება მიწაზე კერძო საკუთრების დამკვიდრების შესახებ.

კანონით "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ", აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის №48 დადგენილებისა და მიწის პრივატიზების შესახებ სახელმწიფოს მიერ შემდგომში მიღებული სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე, საქართველოს მოქალაქეთა, კომლებისათვის (ოჯახებისათვის) გადაცემული მიწის ნაკვეთები, 1992 წლამდე კანონით მათ სარგებლობაში არსებული საკარმიდამო ფართობების ჩათვლით, მიჩნეულია მათ კერძო საკუთრებად.

კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოქალაქეებს მიწის ნაკვეთები უფორმდებათ არა "სარგებლობის", არამედ "საკუთრების" უფლებით.

სახელმწიფო საკუთრებაში რჩება მხოლოდ ის სასოფლო-სასმეურნეო სავარგულები, რომელთა აბსოლუტური უმეტესობა, ობიექტური მიზეზების გამო, არ ექვემდებარება პრივატიზებას. რამდენადაც სახელმწიფოში საზოგადოებრივი წყობის შეცვლის საფუძველს წარმოადგენს საადგილმამულო ურთიერთობათა შეცვლა, საქართველოს მოქალაქეთა კომლების (ოჯახების) საკუთრებაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების უსასყიდლოდ გაცემის გამო, განხორციელდა მიწის სახელმწიფო მონოპოლიური საკუთრების ფორმის სახელმწიფო და კერძო იურიდიული, აგრეთვე ფიზიკური პირების საკუთრების ფორმით შეცვლა, რაც ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის გზით განვითარების ძირითადი პირობაა.

კანონით "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" და კანონით "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის

შესახებ” აღიარებულია მიწაზე კერძო საკუთრება და მიწის გრძელვადიანი იჯარა. სახელმწიფოში შეიქმნა გლეხური (ფერმერული), ინდივიდუალური და სახაზინო მეურნეობების ჩამოყალიბების, მიწის გირავნობის და ინვესტიციების მოზიდვის იურიდიული პირობები და მათ საფუძველზე მიწის, როგორც უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი რესურსის, წარმოების ძირითადი და განსაკუთრებული საშუალების რაციონალური გამოყენების საფუძველი.

აღსანიშნავია, რომ ისეთი ფუნდამენტური კანონების მიღებით, როგორიცაა “კანონები მიწის საკუთრებისა და იჯარის შესახებ”, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მიწის რეფორმების საკანონმდებლო ბაზა. მაგრამ ამავე კანონების მოთხოვნით, მიწათსარგებლობაში მომხდარი ყველა ცვლილება (საკუთრების დამკვიდრება, მემკვიდრეობით გაცემა, ყიდვა-გაყიდვა, იჯარით გაცემა, დაგირავება და სხვა) იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ ამ ქმედებების საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.

ამრიგად, მიწის რეფორმის მიმდინარეობის შესწავლა-ანალიზი ცხადყოფს, რომ, მიუხედავად უამრავი ნაკლოვანი მხარეებისა, მიწის რეფორმის პირველი ეტაპი შედგა, მიწაზე დამკვიდრდა კერძო საკუთრება. რაც შეეხება მიწის რეფორმის სრულყოფას, რომელიც უნდა განხორციელდეს მის მომდევნო ეტაპებზე, იგი მოითხოვს მიწების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ამსახველი გეგმურ კარტოგრაფიული და სხვა სახის საკვლევ-საძიებო მასალების შექმნას, საჭირო რაოდენობით სამიწათმოწყობო კადრების მომზადებას, ტექნიკურ-იურიდიული დოკუმენტაციის შედგენა-გაფორმების მექანიზმის სრულყოფას და სხვა.

1996 წლის 22 მარტის №165 კანონით “სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ”, 1996 წლის 23 ივნისის №129 კანონით “სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ”, 1996 წლის 14 ნოემბრის №49 კანონით “მიწის რეგისტრაციის შესახებ”, 1998 წლის 29 ოქტომბრის №1662 კანონით “სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ”, 1998 წლის 28 ოქტომბრის №1663 კანონით “ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ”, 1998 წლის 30 ოქტომბრის №1670 კანონით “საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო ურთიერთობათა შესახებ”, 1997 წლის 9 ივნისს გამოქვეყნებული კანონის “მიწის გადასახადის შესახებ” და სხვა საკანონმდებლო აქტების შესწავლა-ანალიზი ცხადყოფს, რომ მიწის მიმდინარე რეფორმა, თანმდევი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებით, დინამიური და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც საჭიროებს სისტემატურ შემოქმედებით შრომას.

საქართველოში პრივატიზების სახელმწიფო პროგრამა მიღებულ იქნა 1992 წელს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მიერ 1992 წლის 18 აგვისტოს, № 123 დადგენილებით, რითაც საკანონმდებლო საფუძველი ჩაეყარა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზაციას.

ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპის უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა ის, რომ ქვეყნის აგრარულ სექტორში დამკვიდრდა კერძო საკუთრება და იგი დღეს ქვეყნის ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს. ეს არის აგრარული რეფორმის მნიშვნელოვანი

სოციალურ-ეკონომიკური შედეგი.

აგრარული რეფორმების ცენტრალური საკითხია მიწის პრივატიზება, რომლის განხორციელებამ მიწაზე კერძო საკუთრება დაამკვიდრა. მიწა ქონებრივი უფლებით დაკანონდა. იგი გირაოდაც ჩაიდება და მასზე დაწესდა გადასახადი, რომელიც ახლა ადგილობრივი და ქვეყნის ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო გახდა, თუმცა მიწაზე გადასახადის ამოღების მექანიზმი ჯერ კიდევ სრულყოფილი როდია.

აგრარულმა რეფორმამ სრულად ვერ გადაჭრა ქვეყანაში კერძო საკუთრების უპირატესობის ამუშავების მექანიზმი. კერძო საკუთრება, მართალია, წამყვანი გახდა, მაგრამ სრულად ვერ იყენებს მის ხელში არსებული მიწის, კაპიტალის, შრომისა და სამეწარმეო უნარის პოტენციურ შესაძლებლობებს. სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი მიწა ამჟამად თითქმის გამოუყენებელია.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზაციამ, მათ გადაცემამ კერძო საკუთრებაში ინდივიდუალურ მფლობელებზე თავისი ზეგავლენა მოახდინა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა არსებულ ორგანიზაციულ ფორმაზე (სახელმწიფო მეურნეობები, კოლმეურნეობები, სამეურნეობათაშორისო საწარმოები და გაერთიანებები და სხვა). მოხდა მათი დაქუცმაცება და დაშლა წვრილ ერთპიროვნულ კერძო მეურნეობებად.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კანონი “მეწარმეთა შესახებ” ჩვენს ქვეყანაში საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებად აწესებს ინდივიდუალურ საწარმოს, სოლიდარული პასუხისმგებლობის

საზოგადოებას (სპს), კომანდიტურ საზოგადოებას (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს), სააქციო საზოგადოებას (სს) და კოოპერატივს, დღის წესრიგში დააყენა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა არსებული ორგანიზაციული ფორმების რეორგანიზაციის აუცილებლობის საკითხი.

1995 წლის დასაწყისისათვის ანუ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რეორგანიზაციის დაწყებამდე, საქართველოს აგრარულ სექტორში სულ ფუნქციონირებდა 1744 საზოგადოებრივი საწარმო, მ.შ. სახელმწიფო მეურნეობა – 692, კოლმეურნეობა – 799 და სამეურნეობათაშორისო საწარმო – 253. მათგან 1998 წლის 01 აპრილისათვის რეორგანიზებულია: სახელმწიფო მეურნეობა – 614, კოლმეურნეობა – 672 და სამეურნეობათაშორისო საწარმო – 157. აღნიშნული (რეორგანიზებული) სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ბაზაზე შეიქმნა: სააქციო საზოგადოება – 67, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება – 276, სახაზინო საწარმო – 193 და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი – 402. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, 46 სახელმწიფო მეურნეობა, 90 კოლმეურნეობა და 16 სამეურნეობათაშორისო საწარმო გარდაიქმნა მეურნეობრიობის სხვა თანამედროვე ორგანიზაციულ ფორმად. უნდა აღინიშნოს, რომ 1995-1997 წლებში 1744 საზოგადოებრივი მეურნეობიდან საერთოდ ლიკვიდირებულია 353, მ.შ. სახელმწიფო მეურნეობა – 139, კოლმეურნეობა – 185 და სამეურნეობათაშორისო საწარმო – 29. როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, საანალიზო პერიოდში სულ რეორგანიზებულია 1443 საზოგადოებრივი საწარმო, ანუ 82,7%. ძველი ორგანიზაციული ფორმით დარჩა 301 საწარმო, ანუ 17,3%, მ.შ. 78 სახელმწიფო მეურნეობა, ანუ სახელმწიფო მეურნეობის 11,3%, 127 კოლმეურნეობა, ანუ

კოლმეურნეობების 15,9% და 96 სამეურნეობათაშორისო საწარმო, ანუ 37,9%.

მიწის პრივატიზაციის საფუძველზე ფუნქციონირება დაიწყო 860,8 ათასმა ინდივიდუალურმა მეურნეობამ. ამჟამად შეიძლება გამოვყოთ სამი ტიპის ინდივიდუალური მეურნეობა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება ეკონომიკური ბუნებით, წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის ფორმით, შრომის შინაარსითა და ფუნქციონირების პირობებით. ესენია, წვრილი საკომლო (ოჯახური) ნატურალური მეურნეობა, რომელსაც კერძო საკუთრებაში აქვს 600-1500 $მ^2$ მიწის ნაკვეთი, ასევე მეურნეობათა ის ნაწილი, რომელთაც აქვთ 1,25 ჰექტარი (მთაში 5 ჰა) მიწის ფართობი და მხოლოდ პირადი შრომით აწარმოებენ პროდუქციას პირადი მოხმარებისათვის. მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ის საკომლო (ოჯახური) მეურნეობები, რომლებიც წარმოებულ პროდუქციას იყენებენ როგორც პირადი მოხმარებისა და ბაზარზე რეალიზაციისათვის (ყურძნის, ხილის, ციტრუსის, კარტოფილის, ბოსტნეულის, მეცხოველეობის პროდუქციის და სხვა). მსოფლიო პრაქტიკაში ასეთი ტიპის მეურნეობებს შერეულსაც (დივერსიფიცირებულს) უწოდებენ. მესამე ჯგუფს მიეკუთვნება მსხვილი მაღალსპეციალიზებული მეურნეობა (მას ფერმერულს უწოდებენ), რომელიც ძირითადად ბაზრისათვის აწარმოებს პროდუქციას და იყენებს სხვა მეურნეობებთან (საწარმოებთან), გადამამუშავებელ (დამამზადებელ) ორგანიზაციებთან სახელშეკრულებო საწყისებზე მუშაობის ფორმას. მას "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" კანონის შესაბამისად პირად საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეს 1,25 ჰა სახნავი ფართობი, დანარჩენს იგი საჭიროებისას მიიღებს საარენდო ურთიერთობების საფუძველზე. ასეთი ტიპის

მეურნეობა იყენებს დაქირავებულ შრომას, ინდივიდუალური მეურნეობის ზემოთ დასახელებულ ფორმებს შორის ცენტრალური ადგილი მეორე ჯგუფის მეურნეობებს უჭირავს. ისინი ამავდროულად წარმოადგენენ მაღალსპეციალიზებულ მეურნეობაზე (ფერმერულზე) გარდამავალ ფორმას, ინარჩუნებენ მრავალდარგიანობას, რაც დღევანდელ პირობებში ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სეზონურობის გავლენის შემცირებით საბაზრო პირობებთან ადაპტირებას. ოჯახური მეურნეობა საქართველოში არა მარტო დასაქმებისა და შემოსავლის მიღების კრიტერიუმით უნდა შეფასდეს, არამედ ადამიანის ცხოვრების წესითაც. როგორც ზემოთ აღინიშნა, ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა ის, რომ პროდუქციის წარმოების გადიდებისა და გასაღების, იმპორტშემცვლელი საექსპორტო პროდუქციის წარმოების გაფართოების სტიმულირების მიზნით შემუშავებულ ღონისძიებებში ჯეროვანი ადგილი უნდა დაეთმოს სასოფლო-სამეურნეო საწარმოების (მათ შორის საკომლო მეურნეობის) ნაყოფიერების გადიდებას ტექნოლოგიური სიახლეებით, ინსტიტუციური სტრუქტურის სრულყოფით და ფასების პოლიტიკის მეშვეობით, საბაზრო მექანიზმების გამოყენებით და საშინაო ბაზრის მოთხოვნის ამაღლებით. [57]

1.3. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, მათი ჩამოყალიბების სოციალურ-ეკონომიკური და იურიდიული საფუძვლები

მეურნეობრიობის ფორმების ჩამოყალიბება და მათი ფუნქციონირების ხელსაყრელი გარემოს მომზადება სახელმწიფოს

აგრარულ პოლიტიკაში ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. საერთაშორისო პრაქტიკაში და მეცნიერებაში აღიარებულია, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოების კლასიფიკაცია სხვადასხვა კრიტერიუმების გამოყენებით შეიძლება შეფასდეს. მათ შორის პრინციპული მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციული საწარმოო ფორმების განსაზღვრას. პრაქტიკაში გამოყოფენ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სამ ძირითად ტიპს: ოჯახური, კოლექტიური და სამეწარმეო. პირველს მიაკუთვნებენ ტრადიციულ ოჯახურ მეურნეობას, თანამედროვე ფერმას. საქართველოში ასეთ ტიპს განეკუთვნება საკომლო (ოჯახური) მეურნეობა. კოლექტიური ფორმა გულისხმობს წარმოების საშუალებების ერთობლივ ფლობას და მეურნეობის ერთად გაძღოლას. ამ ტიპს მიაკუთვნებენ კიბუცებს (ისრაელში), მიწის ერთობლივად დამუშავებას, მეცხოველეობის კოოპერატივებს და ა.შ.. კოლექტიური მეურნეობა სპეციფიკური ორგანიზაციულ-საწარმოო ფორმაა. იგი მთლიანად ეკუთვნის მასში მომუშავეებს და მისი მართვა ხდება არჩევითი ორგანოს მეშვეობით. შემოსავალის განაწილება ხდება ორი ფორმით – შრომის ანაზღაურებითა და მოგების წილით. კოლექტიური საწარმოს თითოეული მონაწილე ერთდროულად ფერმის მესაკუთრეც არის და მის მიერ დაქირავებულიც. სამეწარმეო (უცხოეთში მას ანტრეპრენერულს უწოდებენ) მსხვილი საწარმოებია. მისი მესაკუთრე უმეტესად უშუალოდ არ მონაწილეობს წარმოებაში, მაგრამ უძღვება მას და იყენებს დაქირავებულ შრომას. განვითარებულ ქვეყნებში მათ მიაკუთვნებენ ე.წ. არა ოჯახურ კორპორაციებს. მაგალითად, აშშ-ში შექმნილია მსხვილი კორპორაციები, რომლებიც სპეციალიზირებული არიან პირუტყვის სუქებით, ბამბის, შაქრის ლერწმის, ბოსტნეულის, ფრინველის ხორცის წარმოებაში და სხვა.

ცნობილია, რომ ლათინურ ამერიკაში ყოფილი ლატიფუნდიები (მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობა) გარდაიქმნა სამეწარმეო ტიპის კომერციულ ფერმებად. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, გარკვეულწილად ასეთი ტიპის საწარმოებს შეიძლება მიეკუთვნოს საბჭოთა პერიოდის კოლმეურნეობები, სახელმწიფო მეურნეობები და სხვა ფორმები, როცა მეწარმის ფუნქციას სახელმწიფო ასრულებს.

საქართველოში აგრარული რეფორმის წარმატებით განხორციელების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა (მიწის პრივატიზაციასთან ერთად) ენიჭებოდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რეორგანიზაციას და ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ჩამოყალიბებას (შექმნას), მათ ორგანიზაციას და მეცნიერულ მართვას. ამ მიზნით ჯერ კიდევ 1992 წლის 22 სექტემბერს მიღებული იქნა მთავრობის № 949 დადგენილება - "კოლმეურნეობების, სახელმწიფო მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რეორგანიზაციის წესის შესახებ". აღნიშნული დადგენილება ნაკლებად იძლეოდა წარმოდგენას იმაზე, თუ როგორ უნდა წარმართულიყო რეორგანიზაციის რეალური პროცესი ან როგორი ორგანიზაციული ფორმით უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ ისინი, ამიტომ ისტორიულად მოკლე დროში საბჭოური სოფლის მეურნეობა გაკოტრდა.

უნდა აღინიშნოს, რომ საკანონმდებლო ბაზის გარეშე დაწყებული საწარმოთა რეორგანიზაცია სრული თვითდინებით წარიმართა, რამაც ნეგატიური გავლენა მოახდინა მთლიანად სასურსათო სექტორის ნორმალურად ფუნქციონირებაზე და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობაზე.

ქვეყანაში საბაზრო ტიპის სოფლის მეურნეობისაკენ კურსის აღებამ დღის წესრიგში დააყენა სოფლად მეურნეობრიობის სოციალისტური ფორმის შეცვლა. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რესტრუქტურიზაცია (გარდაქმნა) დიდადაა დამოკიდებული სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზისა და კვალიფიცირებული სპეციალისტების არსებობაზე, რადგან სოფელი სკეპტიკურადაა განწყობილი ყოველგვარი სიახლისადმი.

საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფციით კი მეურნეობრიობის ახალი, სოციალურად და ეკონომიკურად ეფექტიანი ფორმების დამკვიდრება ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად არის მიჩნეული, რომლის წარმატებით განხორციელებას სახელმწიფომ უნდა შეუწყოს ხელი კანონშემოქმედებით, ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკით, ორგანიზაციული ღონისძიებებით, საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურეობით, უცხოური ინვესტიციების მოზიდვით და სხვა.

რეფორმით გათვალისწინებული საწარმოთა რეორგანიზაციის, მათი ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებად ჩამოყალიბების საკანონმდებლო ბაზის დეფიციტი მნიშვნელოვნად შეივსო საქართველოს კანონით "მეწარმეთა შესახებ" (მიღებულია 28.10.1994 წ. და ძალაშია 01.03.1995 წლიდან), რომლის 2.1. მუხლში ვკითხულობთ: "საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებია: ინდივიდუალური საწარმო, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს) ან კოოპერატივი", ხოლო საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში "მეწარმეთა შესახებ" კანონის ამოქმედების თაობაზე ნათქვამია (მუხლი 5), რომ "საქართველოს სახელმწიფო

საწარმოების პრივატიზების შემთხვევაში გამოიყენება მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები", ხოლო თვით კანონის 2.4. მუხლით დადგენილია, რომ "საწარმო, გარდა კოოპერატივისა, რომელშიც 50-ზე მეტი პარტნიორია, უნდა ჩამოყალიბდეს მხოლოდ სააქციო საზოგადოების ფორმით", ე.ი. სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების გარდაქმნა და საბაზრო ტიპის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმად ჩამოყალიბება კანონმდებლობით არის რეკომენდებული. ამასთან ერთად, მთავრობის 1993 წლის 14 აპრილის №288 დადგენილებით დამტკიცებული იყო დებულება "სახელმწიფო საწარმოთა სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის შესახებ" და "სააქციო საზოგადოების ტიპობრივი წესდება". ორივე დოკუმენტი არეგულირებდა გარდაქმნასთან დაკავშირებულ სამართლებრივ და ქონებრივ საკითხებს. სამაგიეროდ, არ არსებობდა ინსტრუქცია ან რეკომენდაცია, რომელიც დახმარებას გაუწევდა კოლმეურნეობებსა და მეურნეობათაშორისო საწარმოებს ორიენტაციის განსაზღვრაში. ამიტომაც იყო, რომ კოოპერატიულ სექტორში რეფორმები ძირითადად სახელის შეცვლით ამოიწურა, ხოლო მისი ქონების დიდი ნაწილი სხვათა ხელში აღმოჩნდა. მიუხედავად ხარვეზებისა, რესტრუქტურიზაციის ძირითად მიმართულებებს ამ სფეროშიც "მეწარმეთა შესახებ" კანონი განსაზღვრავს.

კოლმეურნეობის საბაზრო ტიპის მეწარმედ გარდაქმნა და მეურნეობის ფორმის არჩევა, კოლმეურნე წევრების საერთო კრების კომპეტენციას წარმოადგენს. არავის არ აქვს უფლება სოფელს თავს მოახვიოს თავისი ნება, ის რაც მას არ სურს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სპეციალისტებმა არ უნდა განსაზღვრონ სად რა არის უმჯობესი. სახელმწიფო საწარმოებისაგან განსხვავებით, კოლმეურნეობებისათვის არ

არის დადგენილი მეურნეობრიობის რომელიმე სავალდებულო ფორმა. კანონი "მეწარმეთა შესახებ" ითვალისწინებს სოფლად სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნას, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ შეიძლებოდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად ან სხვა სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმად გარდაქმნა, მაგრამ ყველა მათგანი დამოუკიდებელი და თავისუფალი მეწარმეები უნდა იყვნენ. მეწარმეობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის არჩევა და მისი პრაქტიკული განხორციელება სამეწარმეო პირობების გათვალისწინებით კანონმდებლობისა და რეორგანიზებული კოლმეურნეობის წევრთა ინტერესების დაცვით უნდა მოხდეს.

კანონში ნათქვამია, რომ ადამიანები თვითონ აირჩევენ და დააფუძნებენ მეწარმეობის ნებისმიერ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას. სავარაუდოა, რომ ასეთივე უფლება აქვთ ყოფილ სახელმწიფო მეურნეობების შრომით კოლექტივებსაც, თუმცა კანონში ამის შესახებ ნათქვამი არ არის. არჩევანის დროს გამონაკლისს წარმოადგენს სახაზინო საწარმო. მას აფუძნებს სახელმწიფო ან მმართველობის ადგილობრივი ორგანო და მისი შექმნა ფიზიკური პირის ან შრომითი კოლექტივის პრეროგატივა არ არის, ამიტომ მის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმართველობის ორგანო განსაზღვრავს, თუმცა არც მათ აქვთ ნებისმიერი ორგანიზაციული ფორმის არჩევის უფლება, რამდენადაც აღნიშნული კანონის 70-ე მუხლში ვკითხულობთ: "სახელმწიფო ან ადგილობრივმა თვითმართველობისა და მმართველობის ორგანოებმა 1999 წლის 01 სექტემბრამდე საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან და მის ტერიტორიულ ორგანოებთან ერთად უზრუნველყონ მათ მიერ შექმნილი სახაზინო საწარმოების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად ან სააქციო

საზოგადოებად გარდაქმნა (სახელმწიფოს ასპროცენტიანი წილობრივი მონაწილეობით) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან სააქციო საზოგადოება წარმოადგენს სახაზინო საწარმოს უფლებამონაცვლეს". [66]

როგორც ცნობილია, საბჭოურ სოფლის მეურნეობაში არსებობდა მეწარმეობის შემდეგი ფორმები: სახელმწიფო (საბჭოთა) მეურნეობები, რომელთა ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენდა როგორც მიწაზე, ასევე წარმოების ძირითად საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრება, კოლმეურნეობები – კოოპერატიული საკუთრებით და სამეურნეობათაშორისო საწარმოები, რომლებიც საკუთრების ფორმის მიხედვით იყვნენ როგორც კოოპერატიული, ასევე სახელმწიფო და სახელმწიფო-კოოპერატიული.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა გულისხმობდა ზემოთ დასახელებული საწარმოების რეორგანიზაცია-რესტრუქტურიზაციას, ე.ი. მათ საბაზრო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელ ისეთ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებად გარდაქმნას, როგორიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონით "მეწარმეთა შესახებ".

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ძირითადი პრინციპები:

1. ნებაყოფლობის პრინციპი;

2. მიწის ნაკვეთის გამოყოფა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე;

3. საკუთრების უფლება საცხოვრებელ სახლზე, ტექნიკაზე, პირუტყვზე;

4. სრული ეკონომიკური პასუხისმგებლობა მიღებულ სამეურნეო შედეგებზე;

5. სრული დამოუკიდებლობა წარმოების სტრუქტურაზე, პროდუქციის გადამუშავებაზე, რეალიზაციაზე და შემოსავლის გამოყენებაზე;

6. სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური დახმარების გაწევა;

7. საწარმოთა უფლებების ხელშეუხებლობა და სახელმწიფოს მიერ მათი დაცვა;

8. დამოუკიდებელი ანგარიშსწორების ანგარიშის გახსნა ბანკში.

განვიხილოთ თითოეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

<u>გლეხური, ფერმერული მეურნეობები.</u> თანამედროვე ეტაპზე არა მარტო პრაქტიკაში, არამედ აგრარულ-ეკონომიკურ მეცნიერებაშიც ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ განსაზღვრული გლეხური, ფერმერული მეურნეობების, როგორც სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაციის ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი ფორმის არსი. გლეხურ და ფერმერულ მეურნეობებს ხშირად აიგივებენ ერთმანეთთან, რაც რუსულის გავლენაა, კერძოდ, რუსულ საკანონმდებლო აქტებში (რფ-ის სამოქალაქო კოდექსი), თუ სპეციალურ ლიტერატურაში, სადაც გლეხურ მეურნეობებზეა საუბარი, იქვე ფრჩხილებშია ჩასმული სიტყვა ფერმერულიც (პროფ. ს.ი. გრიადოვის განმარტებით - "გლეხური (ფერმერული) მეურნეობა – ესაა ინდივიდუალური სამეწარმეო საქმიანობის სახესხვაობა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში იურიდიული პირის წარმოქმნის გარეშე". [94] ასეთ

მიდგომას შეიძლება ჰქონდეს გამართლება, რადგან რუსეთის ვრცელი ტერიტორია ხელშემწყობია გლეხური მეურნეობების ტრანსფორმირებისათვის ფერმერულ მეურნეობად (თუმცა, ამისათვის სხვა ბევრი პრობლემის მოგვარებაც არის საჭირო), მაგრამ ჩვენს პირობებში, სადაც ფართობების სიდიდე შეზღუდულია, წვრილნაკვეთიან, ნაკლებად სამექანიზაციო ფართობებს უკავია დიდი ხვედრითი წილი და უპირატესად ხელით შრომაა გაბატონებული და სასაქონლო ფერმერული მეურნეობების მოსაწყობად დიდი ფართობების გამოყოფის შესაძლებლობა არ არის, რჩება გლეხური მეურნეობა და გაუმართლებელია გავაიგივოთ იგი ფერმერულ მეურნეობასთან.

სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, ჩვენს ქვეყანაში აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტას ართულებს სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის უქონლობა, პირველ რიგში კი "გლეხური, ფერმერული მეურნეობების შესახებ" საქართველოს კანონის მიღების გაჭიანურება. "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი თავის მეოთხე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: "საადგილმამულო (ფერმერულ) მეურნეობად ითვლება სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების, მასზე არსებული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, აგრეთვე შესაბამისი გადამამუშავებელი მრეწველობის ობიექტებისა და მოწყობილობათა ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველს. ამ მუხლის მეორე პუნქტით კი საადგილმამულო (ფერმერულ) მეურნეობად მიიჩნევა მებაღეობისა და მებოსტნეობის ამხანაგობათა სააგარაკო ნაკვეთი, თუ მისგან მიღებული შემოსავალი შეადგენს ოჯახის შემოსავლის ნახევარზე მეტს, ხოლო ამავე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, "საადგილმამულო

(ფერმერულ) მეურნეობა შეიძლება არსებობდეს საკომლო (გლეხური, ფერმერული) მეურნეობის და სასოფლო-სამეურნეო იურიდიული პირის სახით". ასეთი დეფინიცია საკმაო გაუგებრობას იწვევს, რადგან ამ ფორმულირებიდან გამომდინარე, არსებითი მნიშვნელობა აღარა აქვს გლეხურ, ფერმერულ მეურნეობებს ოჯახურ-ფერმერულ, გლეხურ-ფერმერულ, თუ საადგილმამულო-ფერმერულ მეურნეობას ვუწოდებთ. ჩვენც, კანონის მიღებამდე, ვიზიარებთ იმ მეცნიერთა აზრს, ვინც "გლეხური მეურნეობის" და "ფერმერული მეურნეობის" ტერმინებს, როგორც სინონიმების გამოყენებას, გაუმართლებლად თვლის, რადგან ეს ცნებები თანამედროვე ეკონომიკის თეორიასა და პრაქტიკაში აერთიანებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვადასხვა ტიპებს.

ავტორთა ეს ჯგუფი გამოყოფს გლეხური და ფერმერული მეურნეობების განმასხვავებელ ოთხ ძირითად ნიშანს:

1. გლეხური მეურნეობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების უფრო ტრადიციული ორგანიზაციული ფორმაა, რომელიც ფერმერულ მეურნეობასთან შედარებით ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში ვითარდებოდა და ყალიბდებოდა. გლეხური მეურნეობები ადრე ფეოდალიზმამდეც არსებობდა, მაგრამ ტიპიური იყო ფეოდალიზმის ეპოქისათვის. იგი არსებითად ნატურალური ან ნახევრად ნატურალური მეურნეობაა. გლეხური მეურნეობის მფლობელები, როგორც წესი, სოფლის გლეხთა სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან, მაშინ როცა ფერმერული მეურნეობის მფლობელები შეიძლება ხშირად ქალაქის სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები იყვნენ.

ასეთ შემთხვევაში სრულიად შესაძლებელია გლეხური და ფერმერული მეურნეობების სამეურნეო საქმიანობას განსხვავებული მიზნები ამოძრავებდეთ.

2. გლეხური და ფერმერული მეურნეობების განმასხვავებელი ძირითადი ნიშანია აგრეთვე წარმოების საქონლიანობის დონე. კერძოდ, გლეხური მეურნეობების სამეურნეო საქმიანობა ორიენტირებულია მისი წევრების პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით, ე.ი. გლეხურ მეურნეობებს აქვთ სამომხმარებლო – ნაწილობრივ სასაქონლო მიმართულება, მაშინ როდესაც ფერმერული მეურნეობები ორიენტირებული არიან სასაქონლო პროდუქციის წარმოებაზე. აქვე უნდა დავძინოთ, რომ აშშ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1980 წლის განსაზღვრებით, ფერმერად იწოდება ის პირი, რომელიც ერთ წელიწადში აწარმოებს და გაყიდის არა უმცირეს 1 000 დოლარის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. ეს ნიშნავს, რომ ფერმერი შეიძლება იყოს პირი, რომელიც კვირაში 40 საათს მუშაობს ოფისში, ან ფაბრიკა-ქარხანაში და მხოლოდ თავისუფალი დროის ნაწილს უთმობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანას, ან სასოფლო-სამეურნეო ცხოველების მოშენებას. აშშ-ში საქმიანობენ ე.წ. "სუპერ-ფერმათა" მფლობელები, რომლებიც წელიწადში აწარმოებენ ერთი მილიონი დოლარის ან მეტი ღირებულების სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციას.

3. გლეხური და ფერმერული მეურნეობები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სამუშაო ძალის გამოყენების ხასიათით. გლეხური მეურნეობა დაქირავებულ სამუშაო ძალას, როგორც წესი, იყენებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ძალზე მცირე ნაწილის

შესასრულებლად, დაძაბულ პერიოდში დროებით, სეზონურად. გლეხურ მეურნეობაში წარმოების ძირითად და მუდმივ მონაწილეებად გვევლინებიან თვით მეურნეობის მფლობელი და მისი ოჯახის წევრები, რომლებიც წარმოადგენენ კიდეც გლეხური მეურნეობის წევრებს. ფერმერული მეურნეობები კი დაქირავებულ სამუშაო ძალას წარმოების პროცესში იყენებს უფრო მუდმივად, თანაც ფერმერული მეურნეობების მფლობელს წარმოების მართვისა და ორგანიზაციის ფუნქციას პირობითად ასრულებს, რადგან დღეს მათ უმეტეს შემთხვევაში მართავენ დაქირავებული პროფესიონალი მენეჯერები.

4. გლეხური მეურნეობები ფერმერული მეურნეობებისაგან განსხვავდებიან სპეციალიზაციის დონით. გლეხური მეურნეობები ფერმერული მეურნეობებისაგან განსხვავებით უფრო ფართოპროფილიანები არიან, რადგან მათი ძირითადი მიზანია მეურნეობის წევრთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე. სასაქონლო პროდუქციის წარმოებაზე ორიენტირებულ ფერმერულ მეურნეობებს უხდებათ კომპლექსური მექანიზაციის უფრო სრულყოფილი საშუალებების გამოყენება, შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების წარმოებაში დანერგვა, რაც კიდევ უფრო აღრმავებს მათ განსხვავებას გლეხურ მეურნეობებთან შედარებით. თუ ეს განსხვავებები ვერ შევნიშნეთ, მაშინ ვერც იმ ღონისძიებებს დავსახავთ, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ გლეხური მეურნეობები შემდგომში ფერმერულ მეურნეობებად გადაიქცეს. ამასთან, ჩვენთანაც შესაძლებელია შეიქმნას ფერმერული მეურნეობები შესაბამისი საკანონმდებლო ბაზით.

ამრიგად, გლეხური მეურნეობა – ტრადიციული, კერძო, ინდივიდუალური საქმიანობის ერთ-ერთი ფორმაა და კომლის, ოჯახის, ნათესაური კავშირის მქონე პირთა ჯგუფის ფარგლებშია წარმოდგენილი, რომელიც ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას და გადამუშავებას ძირითადად საკუთარი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, არ იყენებს დაქირავებულ სამუშაო ძალას მუდმივად და მოქმედებს სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული კანონებისა და ნორმატიული აქტების საფუძველზე.

ფერმერული მეურნეობა - კერძო, ინდივიდუალური საქმიანობის ერთ-ერთი ფორმაა და წარმოდგენილია ცალკეული მოქალაქეებით, ოჯახით ან პიროვნებათა ჯგუფით, რომელიც ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას, პირველად გადამუშავებას და რეალიზაციას, იყენებს დაქირავებულ სამუშაო ძალას მუდმივად, არის დამოუკიდებელი საქონელმწარმოებელი და ორიენტირებულია ბაზარზე, მოქმედებს სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული კანონებისა და ნორმატიული აქტების საფუძველზე.

მიუხედავად მთელ რიგ პარამეტრებში მნიშვნელოვანი განსხვავებებისა, გლეხური და ფერმერული მეურნეობები ქვეყნის ეკონომიკური სისტემის, კერძოდ, მისი აგრარული სექტორის თანასწორუფლებიანი, დამოუკიდებელი სამეურნეო სუბიექტები არიან.

გლეხური, ფერმერული მეურნეობების ფორმირების წყაროა: მეურნეობის წევრების ფულადი და მატერიალური სახსრები; პროდუქციის რეალიზაციიდან, მომსახურეობიდან და შრომითი საქმიანობის სხვა სახეებიდან მიღებული შემოსავლები; ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული შემოსავლები; ბანკებისა და სხვა კრედიტორების კრედიტები; საწარმოების,

ორგანიზაციების, მოქალაქეების შეწირულობები; საქველმოქმედო შენატანები; სხვა წყაროები, რომელსაც არ კრძალავს მოქმედი კანონმდებლობა.

თანამედროვე ეტაპზე, საქართველოში და, რა თქმა უნდა, აჭარის არ-შიც, გლეხური, ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბება ხდება "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე.

ჩვენი აზრით, გლეხური, ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბების პროცესის ეფექტიანი წარმართვისათვის აუცილებელია "გლეხური, ფერმერული მეურნეობების შესახებ" საქართველოს კანონის სასწრაფოდ მიღება. ამ შემთხვევაში გლეხური, ფერმერული მეურნეობების ორგანიზაციასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემა გადაწყდება.

<u>სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს)</u>, ერთ-ერთი ძველი და მეტად გავრცელებული სამეწარმეო საზოგადოებაა. მას იცნობს დასავლეთის ყველა ქვეყნის სამართალი. განმსაზღვრელი ამ ტიპის საზოგადოებაში არის პარტნიორთა სოლიდარული პასუხისმგებლობა საზოგადოების, კრედიტორების წინაშე. ამიტომ, შინაარსის ძირითადი ელემენტი ქართული კანონმდებლობის მიერ სამართლიანად იქნა აღბეჭდილი საზოგადოების დასახელებაში.

"მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით "სპს არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე ფიზიკური პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას და პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ როგორც

სოლიდარული მოვალეები – უშუალოდ, პირდაპირ მთელ ვალდებულებებზე, შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით". [66]

სპს-ის ჩამოყალიბება ხდება "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე. როგორც ცნობილია, სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო საქმიანობა ისტორიულად ჩამოყალიბდა როგორც გლეხობის პირადი ინტერესების და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად განხორციელებული საქმიანობა. ამის გამო მას სამეწარმეო საქმიანობად არ აღიარებენ. ქართულმა კანონმა ეს შეხედულება გაიზიარა და სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო საქმიანობა არ დაუქვემდებარა მეწარმეთა შესახებ კანონის მოქმედებას. მიუხედავად ამისა, კანონი უშვებს გამონაკლისს: სასოფლო და სატყეო-სამეურნეო წარმოებები შეიძლება არსებობდნენ სპს-ის (აგრეთვე კომანდიტური საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოების, კოოპერატივის) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, თუ მათი მფლობელი რეგისტრაციაში გატარდება.

<u>კომანდიტური საზოგადოება (კს)</u> პირთა წევრობაზე დაფუძნებულ სამეწარმეო საზოგადოებათა ერთ-ერთი მეტად გავრცელებული ფორმაა. საქართველოს კანონში "მეწარმეთა შესახებ" განმარტებულია, რომ "საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას, არის კომანდიტური საზოგადოება, თუ ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა საზოგადოების, კრედიტორების წინაშე განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა

შეზღუდული არ არის (პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები – კომპლემენტარები)". [66]

კს-ის ქონებრივი ბაზა ფორმირდება პარტნიორების წილობრივი მონაწილეობის საფუძველზე: კომანდიტები არ მონაწილეობენ საზოგადოების ხელმძღვანელობაში; მათ არ შეუძლიათ გამოვიდნენ ჩვეულებრივი საწარმოო საქმიანობის ფარგლებში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორების მიერ განხორციელებული მოქმედების წინააღმდეგ. თუ მოქმედება სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას, საჭიროა პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება.

კომანდიტს უფლება აქვს მოითხოვოს წლიური ანგარიშის ასლი და საზოგადოების წიგნებისა და საბუთების გაცნობით შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე.

კს-ის მიმართ "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის ზოგადი ნაწილის წესებთან ერთად გამოიყენება სპს-ის შესაბამისი წესები, თუ კანონის კერძო ნაწილის მეორე თავით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შპს-ს), როგორც მეწარმეთა ორგანიზაციის ფორმას, არა აქვს ისეთი ხანგრძლივი ისტორია, როგორც, მაგალითად, სპს-ს, კს-ს ან სააქციო საზოგადოებას.

"მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით "საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით, არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. ასეთი საზოგადოების დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც". [66]

საზოგადოების საწესდებო კაპიტალი უნდა შეადგენდეს სულ ცოტა 2000 ლარს. შესატანის ოდენობა თითოეული პარტნიორისათვის შეიძლება განსხვავებულად განისაზღვროს. შპს-ის უმაღლესი მმართველობითი

ორგანოა პარტნიორთა კრება. კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, როცა ყველა პარტნიორი წერილობით დაეთანხმება განსახილველი საკითხის ხელმძღვანელობისეულ გადაწყვეტას.

შპს-ის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ეკისრება დირექტორს (ან დირექტორებს), რომელთა დანიშვნას ახდენს . პარტნიორთა.

შპს ძალიან ჰგავს სააქციო საზოგადოებას, თუმცა მათ შორის განსხვავება არსებითია:

1. შპს უფრო მარტივი ფორმაა, ვიდრე სააქციო საზოგადოება. იმის გამო, რომ სააქციო საზოგადოების კაპიტალი გამოხატულია აქციებში – ფასიან ქაღალდებში, მასზე სახელმწიფოებრივი კონტროლის ბევრი ფორმა და საშუალება გამოიყენება. პირველ რიგში ეს შეეხება საფინანსო კონტროლს სახელმწიფოს მხრიდან. ამგვარი კონტროლი არ ხორციელდება შპს-ების მიმართ.

2. შპს-ის მინიმალური საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2000 ლარს, მაშინ როცა სააქციო საზოგადოების მინიმალური საწესდებო კაპიტალი 15 000 ლარია.

3. შპს-ის მმართველობის ორგანოთა სისტემა უფრო მარტივია, ვიდრე სააქციო საზოგადოების. ამ უკანასკნელის სავალდებულო ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო, მაშინ როცა შპს-თვის იგი ფაკულტატურია.

4. სააქციო საზოგადოების საერთო კრების გადაწყვეტილებათა სინამდვილისათვის აუცილებელია, რომ კრებას ესწრებოდეს და კრების ოქმს ადგენდეს ნოტარიუსი. შპს-ის გადაწყვეტილებებს ასეთი რამ არ სჭირდება.

5. შპს-ის მომწესრიგებელი ნორმები უფრო დისპოზიციურია და მეტ დამოუკიდებლობას ანიჭებს საზოგადოებას, ვიდრე სააქციო საზოგადოების მომწესრიგებელი ნორმები.

სააქციო საზოგადოების კაპიტალი გამოხატულია აქციებში, რომელიც სავაჭროდ გაიტანება ბირჟაზე ისე, რომ აქციების შემძენები ხშირად იცვლებიან და ყოველი ახალი აქციონერის რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში აუცილებელი არ არის. შპს-ის წილის ყოველი გასხვისება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით და ყოველი ახალი პარტნიორის (წილის შემძენის) რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში სავალდებულოა.

"სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომელსაც აქვს აქციებად დაყოფილი საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალის მინიმალური ნომინალური ღირებულება უნდა შეადგენდეს თხუთმეტი ათას ლარს, ხოლო ერთი აქციის ნომინალური ღირებულება – ერთ ლარს ან მის მრავალჯერადს", - ვკითხულობთ საქართველოს კანონში "მეწარმეთა შესახებ". [66]

პოსტკომუნისტური საქართველოს სამართალში პირველად სს-ის ცნება შემოვიდა "სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის მიღებით, შემდგომში მთავრობის დადგენილებით განმტკიცდა სს-თა სამართლებრივი მდგომარეობა. თუმცა, სს-თა სამართლებრივი მდგომარეობის სრულყოფილი მოწესრიგება მხოლოდ "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე მოხდა.

დღეს სს-ებები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის და მათ შორის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სფეროს განვითარების საქმეში.

სასოფლო-სამეურნეო საწარმო, გარდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისა, რომელშიც ორმოცდაათზე მეტი პარტნიორია, უნდა ჩამოყალიბდეს მხოლოდ სს-ის ფორმით.

იმისათვის, რომ მოქალაქე გახდეს სს-ის წევრი – აქციონერი, იგი უნდა ფლობდეს ამ სს-ის ერთ აქციას მაინც, რომელიც მის მფლობელს შემოსავლის მიღების, წარმოების მართვაში და სს-ის ლიკვიდაციისას დარჩენილი ქონების განაწილებაში მონაწილეობის უფლებას აძლევს.

არსებობს ჩვეულებრივი და შეღავათიანი (პრივილეგირებული) აქციები. ჩვეულებრივი აქციები შეიძლება გაიცეს როგორც წარმომდგენის, ასევე სახელობითი აქციების სახით, ხოლო შეღავათიანი აქციები შეიძლება გაიცეს მხოლოდ წარმომდგენზე აქციებად. ჩვეულებრივი აქციების უმცირესი ნომინალური ღირებულება უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში ერთ ხმას საერთო კრებაზე. შეღავათიანი აქციები უზრუნველყოფს ჩვეულებრივ აქციებზე უფრო ადრე და უფრო მაღალი დივიდენდების მიღებას, მაგრამ ისინი არ იძლევიან ხმის უფლებას საერთო კრებაზე. მიუხედავად ამისა, ნომინალური ღირებულების აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას, თუკი გასულ სამეურნეო წლებშიც აქციონერს არ გამოუყენებია თავისი შეღავათიანი უფლებები.

აქციონერს სს-ის ქონების მართვისა და განკარგვის რეალური ძალაუფლება რომ ჰქონდეს, აუცილებელია აქციების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რადგან აქციონერთა საერთო კრებაზე თითოეული აქციონერი ფლობს მისი კუთხვნილი აქციების პროპორციულ ხმებს. სს-ის მიერ ყველა გამოშვებული აქციის 50%-ს პლუს ერთი აქცია წარმოადგენს აქციების საკონტროლო პაკეტს (პრაქტიკულად იგი აქციების 20%-30%-ს შეადგენს), ზოგჯერ ნაკლებსაც, რადგან აქციების ნაწილი საერთოდ არ იძლევა ხმის

უფლებას, ხოლო წვრილი აქციონერები, როგორც წესი, არ მონაწილეობენ აქციონერთა საერთო კრებებში), რომლის მფლობელსაც აქვს სს-ის საქმიანობაზე ფაქტიური კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა.

ჩვეულებრივ, აქციონერები თავიანთ უფლებებს (ხმის უფლება, ინფორმაციის მიღების უფლება, კონტროლის უფლება, რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის, ასევე საერთო კრების გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება) ახორციელებენ სს-ის უმაღლეს ორგანოში – საერთო კრებაზე.

სს-ის მაკონტროლებელი ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება სულ ცოტა სამი, არა უმეტეს ოცდაერთი წევრისაგან, ამასთან წევრთა რაოდენობა სამზე გაყოფადი უნდა იყოს. სს-ის ხელმძღვანელობა და მისი წარმომადგენლობა ევალებათ დირექტორებს, რომელთაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო.

სს-ს აქვს შემდეგი დადებითი მხარეები: დამატებითი კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობა, მესაკუთრეთა შეზღუდული პასუხისმგებლობა, საკუთრების უფლების გადაცემის ოპერაციის სიმარტივე, ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობა, სპეციალიზირებული კვალიფიციური მენეჯმენტის გამოყენების შესაძლებლობა.

სს-ის უარყოფითი მხარეებია: ორგანიზაციული ხარჯები და სიძნელეები, ორმაგი დაბეგვრა, წვრილ მესაკუთრეთა არასაკმარისი ინტერესი, წვრილ აქციონერთა საზოგადოების მართვა – გამგეობაში მონაწილეობის უფლების ფორმალურობა, საზოგადოების მომსახურეთა და აქციონერთა ინტერესების ხშირად შეუთავსებლობა.

<u>სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი</u>. “კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი

საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე". [66]

"მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 60.1 მუხლში ჩამოთვლილი კოოპერატივები შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად: შემძენ-გამსაღებელი და საწარმოო კოოპერატივები. განსხვავებებს კოოპერატივების სამეურნეო საქმიანობის შინაარსში ეს კანონი იურიდიულ შედეგებს არ უკავშირებს. აქედან გამომდინარე, კანონში მოცემული კოოპერატივების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და შესაძლებელია შეიქმნას სხვა კოოპერატივებიც.

სადისერტაციო თემიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს კოოპერატივის ერთ-ერთი სახე – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი წევრთა შრომით საქმიანობაზე ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით, მათი საპაიო შენატანების მეშვეობით შექმნილი საზოგადოებაა თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების საწყისებზე, რომლის ამოცანაა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ქონებრივი ბაზა იქმნება საპაიო შენატანების საფუძველზე. კოოპერატივის წევრის მინიმალური პაის ოდენობა განისაზღვრება დამფუძნებლების მიერ.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრები თავიანთ უფლებებს კოოპერატივის საქმეების გამო, როგორც წესი, ახორციელებენ საერთო კრებაზე, სადაც კოოპერატივის ყოველ წევრს აქვს თითო ხმა. იმ წევრებს,

რომლებიც განსაკუთრებით უწყობენ ხელს კოოპერატივის საქმიანობის განვითარებას, შეიძლება დაუწესდეთ რამდენიმე ხმის (არა უმეტეს სამი ხმის) მიცემის უფლება. წევრთა რაოდენობა ორასზე მეტია, შეიძლება წესდებამ განსაზღვროს, რომ საერთო კრების ნაცვლად ჩატარდეს წარმომადგენელთა კრება (რომელიც შედგება სულ ცოტა ორმოცდაათი წარმომადგენლისაგან, რომლებსაც ირჩევენ კოოპერატივის წევრები).

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს აქვს სამეთვალყურეო საბჭო (რომელიც შედგება არანაკლებ 3 და არა უმეტეს 15 წევრისაგან) და გამგეობა (რომელიც შედგება არანაკლებ ორი დირექტორისაგან).

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი წარმოადგენს მნიშვნელოვან რგოლს საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემაში. როგორც არ უნდა შეიცვალოს მისი პერსონალური შემადგენლობა, ის მაინც განაგრძობს ფუნქციონირებას, როგორც ერთიანი საწარმო.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ჩამოყალიბება ხდება “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე.

თავი 2. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ახალი ორგანიზციულ-სამართლებრივი ფორმების ფუნქციონირებისა და განვითარების თავისებურებები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

2.1. აჭარის სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების ძირითადი მიმართულებები

საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის მიხედვით დარაიონების სქემაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა შედის მე-XIII ზონაში – აჭარის სუბტროპიკული სოფლის მეურნეობისა და სამთო მეცხოველეობის ზონა, რომელიც იყოფა ორ ქვეზონად: XIII^{ა} – სუბტროპიკული და საკურორტო სოფლის მეურნეობის ქვეზონა და XIII^{ბ} - სამთო მეცხოველეობისა და მეთამბაქოეობის ქვეზონა. პირველში შედის ქობულეთის და ხელვაჩაურის, ხოლო მეორეში – ქედის, შუახევის და ხულოს რაიონები.

აჭარა მთაგორიანი რეგიონია. მისი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მცირე ნაკვეთებად არის წარმოდგენილი, ამიტომ გამოყენების თვალსაზრისით არახელსაყრელია, რადგან ასეთ ნაკვეთებზე სასოფლო-სამეურნეო მობილური ტექნიკით სარგებლობა თითქმის შეუძლებელი და არაეკონომიურია, რის გამოც სამუშაოთა დიდი ნაწილი ძირითადად ხელით სრულდება.

თავის მხრივ, აჭარის აგროსამრეწველო კომპლექსი საქართველოს ერთიანი აგროსამრეწველო კომპლექსის შემადგენელი ნაწილია და მას განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა და ენიჭება ამჟამადაც ჩაის, ციტრუსების და თამბაქოს წარმოების საქმეში. ამ პროდუქციაზე ყოფილ საბჭოთა კავშირში გაზრდილი მოთხოვნილება უზრუნველყოფდა მის შეუფერხებელ რეალიზაციას კონკურენციის გარეშე, რაც რეალურ პირობებს ქმნიდა პროდუქციის წარმოების გადიდების, ინტენსიფიკაციის დონის ამაღლებისა და დამხმარე დარგების განვითარებისათვის. სწორედ

ასეთ პირობებში აჭარის აგრარული სექტორი ადგილობრივი მოხმარებისათვის აწარმოებდა მეცხოველეობის, მებოსტნეობის, მემინდვრეობის (სიმინდი, ლობიო, კარტოფილი) და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებს, რითაც შიდა ბაზრის სურსათით მომარაგების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა. [20]

აჭარა ყველაზე მცირემიწიანი, ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული და მრავალეროვანი რეგიონია. ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა 409,5 ათას კაცს აღემატება. მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე კი 141 კაცის ტოლია (საქართველოში – 75 კაცი).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილი საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში 8,9%-ს აღემატება, მრეწველობის პროდუქციაში – 7,3%-ს, სოფლის მეურნეობაში – 11,5%-ს, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობის სისტემაში – 10%-ს, მიმოქცევის სფეროში – 6,9%-ს, ხოლო ეკონომიკის სხვა დარგების პროდუქციის წარმოებაში – 10,6%-ს. ეს მაშინ, როცა ამ რეგიონზე მოდის ქვეყნის ტერიტორიის 3,9%, წარმოებაში დასაქმებული შრომითი რესურსების მხოლოდ 6,7% და გამოყენებული ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულების 10,6%.

აჭარის სოფლის მეურნეობა რესპუბლიკის მთლიანი პროდუქციის წარმოებაში შემოსავლის მაღალი ხვედრითი წილით შეიძლება განვიხილოთ, როგორც ამ რეგიონის ეკონომიკისათვის მომავლის მქონე ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგი. ამ დასკვნის საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ 2003 წლის მონაცემებით, აჭარაში წარმოებულია მთელ ქვეყანაში წარმოებული სიმინდის 3,2% (461,8 ათასი ტონიდან 14,6 ათასი ტონა), ხილის – 6,7% (260,0 ათასი ტონიდან 17,5 ათასი ტონა), ციტრუსის – 86,0% (59,2 ათასი ტონიდან 50,9 ათასი ტონა), ჩაის – 10% (25,5 ათასი

ტონიდან 2,5 ათასი ტონა), ხორცის – 6,2% (108,9 ათასი ტონიდან 6,8 ათასი ტონა), რძის – 8,9% (765,1 ათასი ტონიდან 68,4 ათასი ტონა), კვერცხის – 6,1% (458220 ათასი ცალიდან 27800 ათასი ცალი) და თაფლის – 9,0% (2046 ტონიდან 185 ტონა). [65]

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი პროდუქციის წარმოების დინამიკა საქართველოში და შესაბამისად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ხასიათდება რიგი სპეციფიკური თავისებურებებით, კერძოდ, 1988 წლიდან დაიწყო სოფლის მეურნეობის წარმოების მასშტაბების შემცირება, რომელიც უფრო მკვეთრად გამოვლინდა 1991 წლიდან, როცა საქართველოში სამრეწველო წარმოების მოცულობა წინა წელთან შედარებით შემცირდა 21%-ით, 1992 წელს – 45%-ით, ხოლო 1993 წელს კი – 26%-ით. ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა საქართველოს ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებშიც. 1994 წლის მონაცემებით 1988 წელს მიღწეული დონის მიმართ წარმოების დონემ შეადგინა მთლიანი შიდა პროდუქტის 22%, ეროვნული შემოსავლის – 20%, სამრეწველო პროდუქციის – 21,6%, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის – 53% და ა.შ.. მომდევნო წლებში წარმოების დონე უფრო მკვეთრად დაეცა.

ამრიგად, ქვეყანაში მიმდინარე კრიზისმა, რომელიც იმ პერიოდიდან დაიწყო, უარყოფითი გავლენა მოახდინა აჭარის ეკონომიკაზე მთლიანად და მის აგროსამრეწველო კომპლექსზეც. წარმოების დონე ეკონომიკის ამ სფეროში საგრძნობლად დაეცა, მაგრამ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აღნიშნული პროცესი უფრო დაბალი ტემპით ხასიათდებოდა, ვიდრე მთლიანად საქართველოში. ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ წარმოების მასშტაბების შემცირება როგორც ქვეყანაში, ისე აჭარაში

სრულებითაც არ იყო დაკავშირებული კვლავწარმოების ციკლის ფორმირების კანონზომიერებებთან, ან მის ცალკეულ, მაგრამ კანონზომიერ რხევებთან. წარმოების საერთო დონეზე და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ მაჩვენებლებზე არსებითად იმოქმედა ეკონომიკური კავშირების რღვევამ და სამეურნეო ურთიერთობათა სისტემის ხელაღებით მოუფიქრებელმა ნგრევამ, მთლიანად ჩვენს ქვეყანაში არსებულმა დესტაბილიზაციამ. მართალია, ავტონომიურ რესპუბლიკაში ფაქტიურად თითქმის შენარჩუნებული იქნა სოფლის მეურნეობაში მანამდე არესებული საწარმოო პოტენციალი – მიწა, შრომითი რესურსები, ძირითადი საწარმოო საშუალებები, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა, არ მომხდარა მათი განადგურება ისე, როგორც ქვეყნის სხვა რეგიონებში მოხდა, მაგრამ 1995 წლამდე პერიოდისათვის პროდუქციის წარმოების შემცირების ტენდენცია განპირობებული იყო ძირითადი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციაში მომხდარი შეფერხებებით, რაც პირველ ყოვლისა, საგარეო ბაზრის დაკარგვამ განაპირობა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთავარი სირთულე და სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ წარმოების სხვა სფეროებისაგან განსხვავებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების პროცესში მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გარდა გადამწყვეტი მნიშვნელობით მონაწილეობს ისეთი ოთხი ორგანიზმი, როგორიცაა: ნიადაგი, მცენარე, ცხოველი და ადამიანი. ოთხივე მათგანს კი ესაჭიროება აუცილებელი, შეუცვლელი, ერთიმეორეზე არანაკლები მნიშვნელობის მქონე, შეუცვლელი და პირდაპირმოქმედი ხუთი სასიცოცხლო ფაქტორი – სინათლე, სითბო, წყალი, ჰაერი და საკვები ნივთიერებები. [36]

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების პროცესში

მონაწილე ეს ოთხი ორგანიზმი თავის ხუთ სასიცოცხლო ფაქტორთან ერთად ერთმანეთთან განუწყვეტლივ კორელაციურ კავშირსა და ფუნქციონალურ დამოკიდებულებაში არიან, რომელთა საშედეგო მაჩვენებლებზე გავლენის ხარისხის რაოდენობრივი გამოსახვა დიდ სირთულესთან არის დაკავშირებული.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, აჭარა მცირემიწიანობითა და მოსახლეობის ზრდის ტენდენციით გამოირჩევა. ამ უკანასკნელთა სასურსათო პროდუქციაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების (სურსათით უზრუნველყოფის) საქმეში განსაკუთრებული როლი ენიჭება მიწის ფართობისა და სავარგულების სტრუქტურას (იხ. ცხრილი 2.1.1). მონაცემებიდან ჩანს, რომ სავარგულთა სტრუქტურაში თანდათან იზრდება აქტიური სავარგულების (სახნავი + მრავალწლიანი ნარგავები) ფართობები და მან უკვე 2000 წლისათვის მიაღწია 21082 ჰექტარს, ნაცვლად 1995 წლის 20526 ჰექტრისა, ე.ი. აბსოლუტურ მატებამ (ზრდამ) შეადგინა 556 ჰექტარი, ანუ 2,7% და ეს მაშინ, როცა ამ პერიოდში სავარგულების საერთო ფართობი შემცირებულია 99 ჰექტარით. 1990 წლიდან 2004 წლამდე სახნავის ფართობი გაიზარდა 2579 ჰექტარით (10309 ჰა – 7730 ჰა), ანუ 33,4%-ით და მნიშვნელოვნად შემცირდა სათიბისა და საძოვრის ფართობები.

2004 წლისათვის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ერთ სულ მოსახლეზე 0,18 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული (საქართველოში – 0,69 ჰა) და 0,02 ჰექტარი სახნავი (საქართველოში – 0,19 ჰა) მოდიოდა.

მიწით უზრუნველყოფის დაბალი დონე განაპირობებს აჭარის მოსახლეობის აქტიურ მიგრაციას საქართველოს იმ რაიონებსა და

რეგიონებში, სადაც მოსახლეობის სიმჭიდროვის დონე გაცილებით დაბალია.

მიუხედავად ამისა, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო სავარგულები გაცილებით უკეთესად (ეფექტიანად) გამოიყენება, ვიდრე საშუალოდ მთელ ქვეყანაში. ასე,

ცხრილი 2.1.1

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიწის ფონდისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დინამიკა და სტრუქტურა (ჰა)

წლები	მიწის საერთო ფართობი	მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგული		ა ქ ე დ ა ნ									
				სახნავი		მრავალწლიანი ნარგავები		სათიბი		საძოვარი		ნასვენი	
		ჰა	ხვედრ. წონა,%	ჰა	% სას.სამ სავარ.	ჰა	% სას.სამ სავარ.	ჰა	% სას.სამ სავარ.	ჰა	% სას.სამ სავარ.	ჰა	% სას.სამ სავარ.
1960	293312	71325	24,3	10083	14,1	14903	20,9	9676	13,6	35320	49,5	1343	1,8
1970	293605	72642	24,8	8632	11,9	15522	21,4	7409	10,2	39086	53,8	1993	2,7
1980	297299	75129	25,3	8860	11,8	16887	22,5	7626	10,1	40416	53,8	1340	1,8
1985	297239	74790	25,2	8852	11,8	15191	20,3	7660	10,2	41637	55,7	1350	1,8
1990	297239	76259	25,6	7730	10,1	13880	18,2	5460	7,2	46679	61,2	1610	2,1
1995	297239	74293	25,0	7991	10,7	12535	16,9	5640	7,6	46336	62,4	1791	2,4
2000	297239	74194	24,9	8490	11,4	12592	16,9	5494	7,4	45930	61,9	1688	2,3
2004	294512	76942	26,1	10309	13,3	15899	20,6	7159	9,3	41839	54,6	1736	2,2

ცხრილი შედგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით.



ნახ. 1. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურა აჭარის არ-ში (2004 წლის მონაცემებით)

მაგალითად, 2000 წლისათვის 1 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე აჭარაში წარმოებულია 912,1 ლარის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია (საქართველოში – 615,3 ლარის), ხოლო 2003 წლისათვის ამ მაჩვენებელმა აჭარაში შეადგინა 990,3 ლარი (საქართველოში – 731,6 ლარი).

ამას ძირითადად განაპირობებს ის, რომ აჭარაში წლების მიხედვით სახნავის (ნათესი ფართობის) 97-98% დაკავებულია მაღალშემოსავლიანი კულტურებით (მარცვლოვან-პარკოსნებით, ტექნიკური კულტურებით, ბოსტნეულ-ბაღჩეულითა და კარტოფილით) და მხოლოდ 2-3%-ია დაკავებული საკვები ბალახებით (იხ. ცხრილი 2.1.2), მაშინ, როდესაც საქართველოში ეს მაჩვენებლები შესაბამისად შეადგენს 89-90%-ს და 10-11%-ს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თვით ზონის ქვეზონებს შორისაც არის მნიშვნელოვანი განსხვავება. პირველ, ბარის ქვეზონაში

ცხრილი 2.1.2

ნათესი ფართობების დინამიკა და სტრუქტურა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

დასახელება	1990 წ.		1995 წ.		2000 წ.		2001 წ.		2002 წ.		2003 წ.		2004 წ.	
	ჰა	%	ჰა	%	ჰა	%	ჰა	%	ჰა	%	ჰა	%	ჰა	%
სულ ნათესი ფართობი	7730	100	7991	100	8990	100	9590	100	9419	100	9354	100	9456	100
აქედან:														
მარცვლეული და პარკოსნები	4166	53,9	4994	62,5	6279	69,8	6561	68,4	6583	69,9	6505	69,5	6619	70,0
ტექნიკური კულტურები	1175	15,2	455	5,7	297	3,3	267	2,8	162	1,7	151	1,6	201	2,1
ბოსტნეული და ბაღჩეული	921	11,9	872	10,9	856	9,5	814	8,5	706	7,5	734	7,8	732	7,7
კარტოფილი	1151	14,9	1351	16,9	1465	16,3	1731	18,0	1745	18,5	1752	18,7	1743	18,4
საკვები კულტურები (ბალახები)	317	4,1	319	4,0	94	1,1	217	2,3	223	2,4	212	2,3	161	1,7

ცხრილი შედგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით

(ქობულეთი, ხელვაჩაური) სავარგულების გამოყენების დონე გაცილებით მაღალია, ვიდრე მეორე, მთის ქვეზონაში (ქედა, შუახევი, ხულო), რაც გამოწვეულია არა მარტო იმით, რომ მასში მიწათმოქმედების პირობები გაცილებით უკეთესია, ვიდრე მთაში, არამედ წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემოსავლიანობითაც (ჩაი, ციტრუსი) და სავარგულების სტრუქტურითაც, რაგდანაც მთიან აჭარაში მაღალი ხვედრითი წონით არის წამოდგენილი (75%-ზე მეტი) ბუნებრივი სათიბები და საძოვრები, რომლებიც დაბალნაყოფიერებით ხასიათდებიან.

ნათესი ფართობების სტრუქტურაში 2000 წლის მომდევნო პერიოდში 68,4-69,9%-ით წარმოდგენილია მარცვლეულ-პარკოსანი კულტურები. ტექნიკური კულტურების (ძირითადად თამბაქო) ფართობები აღნიშნულ პერიოდში გასაღების ბაზრების დაკარგვის გამო 297 ჰა-დან 151 ჰა-მდე, ანუ თითქმის 2-ჯერ შემცირდა, რაც გაუმართლებლად მიგვაჩნია, რადგან სწორედ თამბაქო წარმოადგენდა მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობის ფულადი საშუალებების მიღების წყაროს. ასევე შემცირებულია ბოსტნეულისა და ბაღჩეულის ფართობი 122 ჰა-თი, ანუ 8,6%-ით, ხოლო გაზრდილია კარტოფილით დაკავებული ფართობი 287 ჰა-თი, ანუ 19,6%-ით. აღნიშნული გვიჩვენებს, რომ რეფორმის შემდგომ პერიოდში მოსახლეობა ძირითადად აწარმოებს საარსებოდ აუცილებელ პროდუქტებს (მარცვლეული, კარტოფილი), რასაც გარკვეულწილად შესაძლებელია გამართლებაც მოეძებნოს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თავისებურებებს განაპირობებს ისიც, რომ მიწის მთლიანი ფართობიდან დაბლობზე მოდის მხოლოდ 1,7%, რაც 7,6-ჯერ ნაკლებია რესპუბლიკის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოყენებულია მხოლოდ

ფართობის 24-25%(საქართველოში – 39% და მეტი), ამასთან სასოფლო-სამეურნეო
სავარგულების სტრუქტურაში უაღრესად დაბალია სახნავის წილი (11-12%), როცა ქვეყნის მასშტაბით იგი 26,5%-ს შეადგენს.

აჭარის ბუნებრივ-კლიმატური თავისებურებებიდან გამომდინარე, ბარის ზონაში მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის სპეციალიზებული სახელმწიფო და კოოპერაციული მეურნეობებისა და მოსახლეობის საკარმიდამო მიწის ნაკვეთებზე წარმოებული პროდუქციის ძირითადი მომხმარებელი მეზობელი ქვეყნები იყო. ისიც გასათვალისწინებელია, რომ სადღეისოდ პრაქტიკულად შეუძლებელია მათი საწარმოო მიმართულების შეცვლა, რის გამოც სოფლის მეურნეობის წინაშე მდგარი ამოცანები არ იცვლება და დღის წესრიგში კვლავ რჩება მეჩაიეობისა და მეციტრუსეობის არსებული მძლავრი ინფრასტრუქტურისა და პოტენციური შესაძლებლობების სრულყოფილად გამოყენების აუცილებლობა, რომლის მიღწევა შესაძლებელია წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით, მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებითა და, რაც მთავარია, სარეალიზაციო ბაზრების მოპოვებით. ძირითადი დარგების საექსპორტო პროდუქციის წარმოების გადიდება და მისი რეალიზაცია რეალურ საფუძველს შექმნის სხვა დარგების განვითარებისა და დაფინანსებისათვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ საბაზრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში აღნიშნული საკითხების სახელმწიფო მარეგულირებელი როლის შესუსტებამ გამოიწვია სწორედ ის უარყოფითი შედეგი, რის გამოც გამოუყენებელი რჩება მეჩაიეობასა და მეციტრუსეობაში არსებული მნიშვნელოვანი რეზერვები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დღევანდელი ხელმძღვანელობის ძალისხმევით ხორციელდება ღონისძიებანი ციტრუსოვანთა მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოების გადიდებისათვის. უკვე ფუნქციონირებს ციტრუსოვანთა ნაყოფის გადამამუშავებელი საქართველო-ისრაელი-რუსეთის ერთობლივი საწარმო "სანთრი", ერთჯერადი ჩაის დამფასოებელი საქართველო-ჩინეთის საწარმო "კლასიკ-ჩაი" და სხვა, მაგრამ არსებული პოტენციალის დიდი ნაწილი მაინც გამოუყენებელი რჩება.

უმძიმესი ვითარებაა შექმნილი მეჩაიეობაში. ბაზრის დაკარგვის გამო პროდუქციის რეალიზაციაში შექმნილმა სირთულემ, საწვავ-საცხები მასალების დეფიციტმა და სიძვირემ, ელექტროენერგიის მიწოდებაში არსებულმა შეფერხებებმა და ამით განპირობებულმა პროდუქციის მაღალმა თვითღირებულებამ დარგში ურთულესი ფინანსური მდგომარეობა შექმნა, რის გამოც კვლავწარმოების პროცესები შეფერხდა, მკვეთრად შემცირდა ჩაის ფოთლის კრეფის მოცულობა, დაეცა მისი ხარისხი.

წლების განმავლობაში ჩაის პლანტაციების ინტენსიურმა ექსპლუატაციამ დააქვეითა პროდუქციის ხარისხი, მოსავალი კი მკვეთრად შემცირდა. რეგიონში ჩაის პლანტაციების 21%-ზე მეტი 40-50, ხოლო 37% კი კიდევ უფრო მეტი წლისაა. ამასთან, ადრეულ წლებში ჩაის პროდუქციაზე გაზრდილი მოთხოვნილების გამო, ფაქტობრივად იგნორირებული იყო პროდუქციის ხარისხი, არ ხოციელდებოდა საჭირო ღონისძიებები ჩაის გადამამუშავებელი მრეწველობის ტექნოლოგიური და ტექნიკური გადაიარაღებისათვის. ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა ბაზრის კონიუნქტურის მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით

პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის შეცვლას. ამან პროდუქციის რეალიზაციას სერიოზული პრობლემები შეუქმნა. ამასთან, საბაზრო-ეკონომიკური ურთიერთობის შესაბამისად ტრადიციულ მომხმარებლებს არ მიეწოდება პროდუქცია, არ ტარდება ქმედითი ღონისძიებები სარეალიზაციო ბაზრის მოპოვება-დამკვიდრებისათვის. ჩაის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, ამორტიზირებული და დაბალმოსავლიანი ფართობები მაღალმოსავლიანი კლონი - "კოლხეთის" გაშენებით უნდა განახლდეს. პრივატიზებული პლანტაციების ამოძირკვის შესაძლო ტენდენციები რომ ავიცილოთ თავიდან, ამ ეტაპზე საზოგადოებრივ და კოოპერაციულ მეურნეობებში არსებული პლანტაციები სახელმწიფო საკუთრებაში უნდა დარჩეს და მხოლოდ გრძელვადიანი იჯარით გაიცეს.

2003 წლისათვის აჭარაში წარმოებულია 2542 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, რაც 769 ტონით, ანუ 43,3%-ით მეტია წინა წელთან შედარებით (იხილეთ ცხრილი 2.1.3), თუმცა 30-ჯერ ნაკლებია 1985 წლის და 26-ჯერ ნაკლები 1990 წლის მაჩვენებლებთან შედარებით. ჩაის წარმოების გაზრდის მიზნით საჭიროა თანამეგობრობის ქვეყნებისა და სხვა გარე ბაზრების კონიუნქტურის შესწავლით მოხდეს შავი და მწვანე ბაიხა ჩაის წარმოების ტრადიციულად ჩამოყალიბებული თანაფარდობის შეცვლა მწვანე ჩაის მოცულობის გაზრდით, მაქსიმალურად შეიზღუდოს დაუფასოებელი ხარისხიანი ჩაის ქვეყნის საზღვრებს გარეთ გატანა. სეზონთაშორის პერიოდებში მოცდენების აღმოფხვრისა და შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების უკეთ გამოყენების, საკვებ-სამკურნალო მცენარეული ნედლეულის გადამუშავების მიზნით, მიზანშეწონილია მრავალპროფილიანი მცირე სიმძლავრის საწარმოების ორგანიზაცია.

ანალოგიური მდგომარეობაა შექმნილი მეციტრუსეობაშიც. სამეურნეო-ორგანიზაციული და ფინანსური სირთულეების გამო, დარგები, რომლებიც სუბტროპიკული ზონის მოსახლეობის შემოსავლების ძირითადი წყარო იყო, დღეს განადგურების პირასაა. მათი გადარჩენის ღონისძიებებზე ნაწილობრივ ვისაუბრეთ, დავძენთ მხოლოდ, რომ დარგის სრული რეაბილიტაციისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა მასშტაბურობის გამო, ამ ეტაპზე აუცილებელია სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების აქტიური გამოყენება.

ცხრილი 2.1.3

მრავალწლიანი კულტურების პროდუქციის წარმოების დინამიკა (ტონა)

რაიონები	წლები	ხილი	მათ შორის			ყურძენი	ციტრუსი	ჩაი
			თესლოვანი	კურკოვანი	კაკლოვანი			
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	2000	19250	7453	6524	3877	2100	32480	2914
	2001	15400	5962	5219	3102	1500	48620	1924
	2002	12048	3696	3237	3675	1811	22300	1773
	2003	17467	6508	5420	4025	1930	50900	2542
ქობულეთი	2000	5563	2652	1677	1006	63	24100	1896
	2001	4451	2122	1342	805	45	30478	1273
	2002	2153	517	374	941	55	9500	1098
	2003	4972	2229	1383	1021	80	28000	1497
ხელვაჩაური	2000	4601	1177	2066	773	84	8380	1018
	2001	3681	942	1653	619	60	18142	651
	2002	3044	655	1033	755	86	12800	675
	2003	4219	1085	1681	820	90	22900	1045
ქედა	2000	2310	1144	569	180	1554	-	-
	2001	1848	915	455	144	1110	-	-

	2002	2693	1451	715	164	1340	-	-
	2003	2236	1114	559	181	1415	-	-
შუახევი	2000	828	222	357	249	273	-	-
	2001	662	177	285	199	195	-	-
	2002	482	76	161	245	210	-	-
	2003	785	222	293	270	220	-	-
ხულო	2000	5948	2258	1855	1669	126	-	-
	2001	4558	1806	1484	1335	90	-	-
	2002	3676	997	954	1570	120	-	-
	2003	5255	1858	1504	1733	125	-	-

ცხრილი შედგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით.

აჭარაში მოსახლეობას აქვს ხილის წარმოებისა და დამზადების დიდი გამოცდილება. მათ საუკუნეების განმავლობაში ენდემური და ველური ხილის ჯიშებიდან ადგილობრივ კლიმატთან შეგუებული უხვმოსავლიანი და ყინვაგამძლე კულტურული ჯიშები გამოყავდათ, რომლებიც ძირითადად საკარმიდამო ნაკვეთებში ცალკეული ნარგავების სახით არის წარმოდგენილი. ფართოდაა გავრცელებული ტყემლის, ვაშლისა და მსხლის ჯიშები, რომლებიც ძირითადად გათვალისწინებულია სამრეწველო გადამუშავებისათვის. საკარმიდამო მეურნეობებში გაშენებულია აგრეთვე სხვა კურკოვანი, თესლოვანი და კაკლოვანი ხეხილის მრავალი ჯიში, რომელთა პროდუქცია შიდა ბაზრის მოთხოვნათა დაკმაყოფილებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

ბოლო ათწლეულში შეინიშნება ხეხილით დაკავებული ფართობების შემცირების ტენდენცია, ეს გამოწვეულია ნარგავების ხანდაზმულობით,

ხილის სამრეწველო გადამუშავებაში არსებული შეფერხებებითა და შიდა ბაზარზე სხვა რეგიონებიდან შემოტანილი ხილის მატებით.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2003 წელს წარმოებულია 17,5 ათასი ტონა სხვადასხვა სახის ხილი (მ.შ. 6,5 ათასი ტონა, ანუ 37,1% თესლოვანი, 5,4 ათასი ტონა, ანუ 30,9% კურკოვანი და 4,0 ათასი ტონა, ანუ 22,9% კაკლოვანი), რომელიც 5419 ტონით, ანუ 45%-ით მეტია წინა წელთან შედარებით, მაგრამ 1783 ტონით, ანუ 9,3%-ით ნაკლებია 2000 წლის მაჩვენებელზე.

რეგიონში საკურორტო მეურნეობის განვითარება დღის წესრიგში აყენებს მოთხოვნილებას ეკოლოგიურად სუფთა და მაღალხარისხოვან ხილზე, კონსერვებსა და წვენებზე. აქედან გამომდინარე, აუცილებელია შესაბამის ღონისძიებათა გატარება მეხილეობის დარგის აღდგენისა და განვითარებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივ პირობებთან შეგუებულ საადრეო და ენდემური ჯიშების მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიას.

ნათქვამიდან გამომდინარე, ხეხილის ჯიშობრივი სტრუქტურის რეორგანიზაცია და მისი მოსავლიანობის ამაღლება ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს. მის შემდგომ განვითარებას საფუძვლად უნდა დაედოს ხეხილოვან კულტურათა კლასიკური განლაგების ზონალური პრინციპი, რისთვისაც ხეხილოვანი კულტურები უნდა გაადგილდეს მხოლოდ შესაფერის ნიადაგურ-კლიმატურ მიკროზონებსა და რაიონებში წინასწარი პროექტების საფუძველზე. დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ხეხილის მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ბიოლოგიურ, ქიმიურ და ინტეგრირებულ მეთოდებს.

რესპუბლიკაში ბოსტნეულის წარმოება ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას, ნაკლები რაოდენობით იწარმოება კომბოსტო, ნიორი, ხახვი, მწვანილეული. ეს განსაკუთრებით ზამთრის თვეებში იგრძნობა და მათზე ფასები მნიშვნელოვნად იზრდება. ფიზიოლოგიური ნორმით გათვალისწინებული 48,6 ათასი ტონიდან, რეგიონში იწარმოება 4,6-5,7 ათასი ტონა ბოსტნეული, ანუ 9,8-12,2% (იხილეთ ცხრილი 2.1.4). მოთხოვნილების შესავსებად აუცილებელი ხდება მათი შესყიდვა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ძირითადად თურქეთში, რაც იწვევს სამომხმარებლო ბაზრის დაბალი ხარისხის, ზოგჯერ საკვებად უვარგისი პროდუქტებით გაჯერებას.

ამის მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ აღნიშნული კულტურები ბევრგან ირგვება შეუფერებელ ნაკვეთებსა და ნიადაგებზე, არ ხდება
მათი აგროწესებით დამუშავება, განოყიერება და მოსავალსაც მცირეს ვღებულობთ. პრაქტიკა კი ადასტურებს, რომ რეგიონის ყველა სოფელში შეიძლება ამა თუ იმ სახეობის ბოსტნეულის დიდი რაოდენობით წარმოება.

აჭარის 408 ათასიანმა მოსახლეობამ ფიზიოლოგიური ნორმით წელიწადში უნდა მოიხმაროს 48550 ტონა ბოსტნეული (ერთ სულზე საშუალოდ 119 კგ), რის წარმოებასაც სულ მცირე 180 ც/ჰა-ზე მოსავლიანობის პირობებში, მაქსიმუმ 2,7 ათასი ჰექტარი სახნავი სჭირდება, რაც მცირემიწიანი რეგიონისათვის რთულია.

ბოსტნეულის წარმოების გადიდება ძირითადად უნდა მოხდეს საადრეო ჯიშების ხარჯზე. ამ მიმართებით მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ დაცული გრუნტის მებოსტნეობის განვითარების კარგი შესაძლებლობები. უნდა მოხდეს ბოსტნეული კულტურების ახალი სელექციური, დარაიონებული ჯიშების წარმოებაში ფართოდ დანერგვა.

ამასთან, ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს მცენარეთა მავლებლებისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელებას. მებოსტნეობის განვითარების ერთ-ერთ ხელშემწყობ ღონისძიებად ითვლება მოსახლეობიდან ნამეტი პროდუქტის სხვადასხვა სექტორების მიერ ორგანიზებულად შესყიდვა საბაზრო ფასებში, რაც, გარკვეულწილად, ხელს შეუწყობს მოსახლეობის მატერიალურ დაინტერესებასა და სტაბილური მოსავლის მიღებას.

რესპუბლიკაში ბოსტნეულის, ხილისა და ციტრუსების წარმოების რეალური შესაძლებლობანი საკონსერვო მრეწველობის ინტენსიური განვითარების საუკეთესო სანედლეულო ბაზას ქმნის. მიუხედავად ამისა, მოსახლეობაში დიდი მოთხოვნილების მქონე კონსერვების დამზადების პირობების უქონლობამ, პროდუქციის თანამედროვე მოთხოვნილებებთან შეუსაბამო სასაქონლო სახემ, ბაზრის უცხოეთიდან შემოტანილი დაბალფასიანი და უხარისხო პროდუქციით გაჯერებამ, გამოიწვია ის, რომ დღეისათვის საკონსერვო ქარხნები თითქმის გაჩერებულია. საჭიროა მკვეთრად შეიცვალოს აჭარის საკონსერვო ქარხნებში წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტი. ძირითადად უნდა დამზადდეს ისეთი კონსერვები, რომლებზეც შიდა ბაზარზე მოთხოვნილება დიდია, ნაწილი კი საექსპორტოდ უნდა გაიგზავნოს.

საამისოდ უნდა გატარდეს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და საექსპორტო პროდუქციის წარმოების მოცულობის მკვეთრ გადიდებას. გასაუმჯობესებელია საკონსერვო ქარხნების ხილ-ბოსტნეულითა და ციტრუსებით უზრუნველყოფის პრაქტიკა.

საქართველოს ეროვნული მეურნეობის განვითარების საფუძველთა საფუძველს მარცვლეულის წარმოება წარმოადგენს. წარსულ წლებში მეურნეობრიობის ცენტრალიზებულმა დაგეგმვამ, ადგილობრივი მოთხოვნების გაუთვალისწინებლობამ საქართველო სახნავი მიწით ყველაზე უფრო ნაკლებად უზრუნველყოფილ ქვეყნად აქცია. ერთ სულ მოსახლეზე 0,19 ჰა სახნავის (ავტონომიურ რესპუბლიკაში – 0,02 ჰა) პირობებში მარცვლეულის სამრეწველო მასშტაბებით განვითარება შეუძლებელია და ჩვენში მარცვლეულს მხოლოდ საკუთარი მოხმარების დასაკმაყოფილებლად თესავენ.

2003 წლისათვის აჭარაში სიმინდი დათესილი იყო 6318 ჰა-ზე, რაც 107 ჰა-თი, ანუ 1,7%-ით ნაკლებია 2002 წლის და 84 ჰა-თი, ანუ 1,3%-ით 2001 წლის მაჩვენებლებზე. თუმცა ამ წელს წარმოებულია 2243 ტონით, ანუ 46,1%-ით მეტი, ვიდრე 2001 წელს. როგორც ვხედავთ, რეგიონში სიმინდის მარცვლის წარმოების ზრდა აღნიშნულ წელს განპირობებულია ინტენსიური გზით მისი მოსავლიანობის მატებით. აღნიშნულ წელს მოსავლიანობამ შეადგინა 23 ცენტნერი, ნაცვლად წინა წლების 19 და 17 ცენტნერისა (ცხრილი 2.1.4).

სიმინდის ნათესებისათვის დამატებითი ფართობების გამოყოფა უწინარესად უნდა მოხდეს შეუსაბამო ფართობებზე გაშენებული ძლიერ გამეჩხერებული და წლების განმავლობაში მოუსავლიანი

ცხრილი 2.1.4

ძირითადი სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები, საერთო მოსავალი და მოსავლიანობა

№	მაჩვენებლები	ზომის ერთ.	აჭარის ა.რ.		ქობულეთი		ხელვაჩაური		ქედა		შუახევი		ხულო	
			2001	2002	2001	2002	2001	2002	2001	2002	2001	2002	2001	2002
1.	*მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურები*													
1.1.	ნათესი ფართობი	ჰა	6561	6583	1400	1250	1166	1225	2049	2090	1126	1197	820	820
1.2.	საერთო მოსავალი	ტონა	10150	12546	1676	2625	1862	2040	3716	3531	2176	2715	720	1635
1.3.	მოსავლიანობა	ტ/ჰა	1,5	1,9	1,2	2,1	1,6	1,7	1,8	1,7	1,9	2,3	0,8	2,0
2.	*მ.შ. სიმინდი*													
2.1.	მათესი ფართობი	ჰა	6402	6425	1400	1250	1146	1206	2035	2077	1066	1137	755	755
2.2.	საერთო მოსავალი	ტონა	9965	12317	1662	2625	1836	2015	3700	3515	2132	2655	635	1507
2.3.	მოსავლიანობა	ტ/ჰა	1,6	1,9	1,2	2,1	1,6	1,7	1,8	1,7	2,0	2,3	0,8	2,0
3.	**პარკოსანიკულტურ.(ლობიო)**													
3.1.	ნათესი ფართობი	ჰა	159	158	-	-	20	20	14	13	60	60	65	65
3.2.	საერთო მოსავალი	ტონა	185	229	14	-	26	25	16	16	44	60	85	128
3.3.	მოსავლიანობა	ტ/ჰა	0,7	1,4	0,5	-	1,3	1,25	1,1	1,2	0,7	1,0	1,3	2,0
4.	**თამბაქო**													
4.1.	ნათესი ფართობი	ჰა	267	162	-	-	-	-	132	82	100	45	35	35
4.2.	საერთო მოსავალი	ტონა	510	301	-	-	-	-	247	107	198	117	65	77
4.3.	მოსავლიანობა	ტ/ჰა	1,9	2,1	-	-	-	-	1,9	1,3	2,0	2,6	1,9	2,2
5.	*კარტოფილი*													
5.1.	ნათესი ფართობი	ჰა	1731	1745	40	57	38	30	110	121	300	300	1243	1243
5.2.	საერთო მოსავალი	ტონა	13918	29249	402	400	178	160	789	1089	1350	3100	11199	24500
5.3.	მოსავლიანობა	ტ/ჰა	8,1	16,8	10,0	7,8	5,9	5,3	7,2	9,0	4,5	10,3	9,0	19,7
6.	*ბოსტნეული*													
6.1.	ნათესი ფართობი	ჰა	814	706	236	193	75	68	193	134	100	100	210	211
6.2.	საერთო მოსავალი	ტონა	4622	5674	910	634	555	633	1074	1220	553	780	1530	2434
6.3.	მოსავლიანობა	ტ/ჰა	5,7	8,0	3,9	3,3	7,4	9,3	5,6	9,1	5,5	7,8	7,3	11,5

წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობა 2002. სტატისტიკური კრებული. თბ., 2004, გვ. 40-54

მრავალწლიანი ნარგავების ამოძირკვით, ასევე სათიბ-საძოვრების, ტყე-ბუჩქნარებისა და დაჭაობებული მიწების ხელახალი ათვისებით.

აჭარაში ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, მარცვლეული კულტურებიდან ძირითადად სიმინდის მოყვანას მისდევენ, რომლის მოსავლის გადიდების მთავარ პირობად უნდა განისაზღვროს სელექცია-მეთესლეობის სრულყოფა და მაღალმოსავლიანი, ექსტრემალური პირობებისადმი გამძლე ჯიშებისა და ჰიბრიდების თესვა. აჭარის ტერიტორიის დიდი დანაწევრიანების გამო, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მცირე მექანიზაციის – მინი-ტრაქტორების, მოტობლოკებისა და შესაბამისი მანქანა-იარაღების შემოტანას. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი ხელით შრომის ხვედრითი წილის შემცირება.

მარცვლეულის წარმოების შემდეგ მოსახლეობის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფაში დიდი ადგილი უჭირავს კარტოფილს. აჭარაში რეფორმამდე კარტოფილის ყველაზე მაღალი მოსავალი – 11,7 ათასი ტონა მიიღეს 1989 წელს, როცა იგი დაითესა 1,3 ათას ჰექტარზე და მოსავლიანობამ 90 ც/ჰა-ზე შეადგინა. აღნიშნულ წელს თითოეულ სულმა მოიხმარა 33 კგ, თუმცა ფიზიოლოგიური ნორმა ითვალისწინებს 66 კგ-ს. 1990 წელს კარტოფილი 1150 ჰა-ზე დაითესა და მოსავლიანობამ 60,4 ც/ჰა-ზე, ხოლო საერთო მოსავალმა კი 6,9 ათასი ტონა შეადგინა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში, ანუ 2003 წლისათვის კარტოფილით დაკავებულმა ფართობმა აჭარაში შეადგინა 1752 ჰექტარი, მოსავლიანობამ 164 ც/ჰა-ზე, ხოლო საერთო მოსავალმა კი 28,8 ათასი ტონა. განსაკუთრებით გაიზარდა კარტოფილის ფართობი ხულოს რაიონში, სადაც ნაცვლად 752 ჰექტრისა (1985 წ.), 1243 ჰექტარი (2003 წ.) შეადგინა. სწორედ ამ რაიონზე მოდის ამ წელს აჭარაში წარმოებული

კარტოფილის 86,4% (28779 ტონიდან 24860 ტონა) და ამ რაიონშია შესაბამისად ყველაზე მაღალი მოსავლიანობა (20,0 ტ/ჰა-ზე).

თამბაქოს კულტურის წარმოებისათვის მეტად ხელსაყრელია აჭარის მაღალმთიანი ზონის ნიადაგები. აქ ძირითადად მოჰყავთ სამსუნის ჯიშის თამბაქო, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა. იგი საუკეთესო ხარისხისაა და მას სხვა ქვეყნების თამბაქოს გასაკეთილშობილებლად ურევენ. 1986-1990 წლებში აჭარაში აწარმოებდნენ საშუალოდ 3,5 ათასამდე ტონა ნედლეულს. 1991 წლიდან მისი ფართობი და შესაბამისად წარმოება მკვეთრად შემცირდა და 1996 წლისათვის მხოლოდ 186 ტონა შეადგინა. ამის ძირითად მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მაღალმთიანი რაიონების ფერდობ ადგილებზე თამბაქოს წარმოებამ დააჩქარა ნიადაგის ინტენსიური ჩამორეცხვის პროცესები და მათი მწყობრიდან გამოყვანა. შესასყიდ პროდუქციაზე ბათუმის თამბაქოს კომბინატის არასტაბილურმა ფასებმა გამოიწვია თამბაქოს ფართობების მკვეთრი შემცირება და მის ნაცვლად სხვა სასურსათო დანიშნულების კულტურები გაშენდა. ამას მთავრობის არასწორმა პოლიტიკამაც შეუწყო ხელი. ადგილობრივი თამბაქოს ნაწარმი უცხოეთის თამბაქოსნაირად დაიბეგრა აქციზით, პროდუქცია გაძვირდა, საწარმოებმა ვეღარ გაასაღეს იგი და თამბაქოს წარმოება შეჩერდა. გვიან მიხვდნენ "შეცდომას" და გამოასწორეს.

დღეისათვის ფასები რეგულირდება და ბათუმის თამბაქოს კომბინატი მოსახლეობას ერთი კილოგრამი სამსუნის ჯიშის უმაღლესი ხარისხის თამბაქოში მხოლოდ 2 ლარს უხდის. იმ დროს, როცა, მაგალითად, შუააზიელები 7 დოლარს იხდიან, მაგრამ იქამდე თამბაქოს ტრანსპორტირება წარმოუდგენლად ძვირი ჯდება. თამბაქოს წარმოების გადიდება აუცილებელია იმიტომაც, რომ მთიან რაიონებში სოციალური

პრობლემების მოგვარება ძირითადად დამოკიდებულია მეთამბაქოეობიდან მიღებულ შემოსავლებზე.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2001 წლისათვის თამბაქოს ფართობი გაიზარდა 267 ჰექტრამდე, საერთო მოსავალი კი 510 ტონამდე, მაგრამ 2002 წელს ეს მაჩვენებლები შემცირდა 162 ჰექტრამდე და 301 ტონამდე, ხოლო 2003 წელს კი 151 ჰა-მდე და 241 ტონამდე, ე.ი. ამ წელს 2001 წელთან შედარებით ფართობი შემცირდა 26 ჰა-თი, ანუ 9,0%-ით, ხოლო მოსავალი კი 2,2-ჯერ. ეს გამოიწვია არასახარბიელო კლიმატურმა პირობებმა, რის გამოც მოსავლიანობამ ნაცვლად 19 ც/ჰა შეადგინა 16 ც/ჰა-ზე.

2003 წელთან შედარებით, უახლოეს პერიოდში შესაძლებელია თამბაქოს წარმოება გაიზარდოს 6,8-ჯერ და მიაღწიოს 1500 ტონას. თამბაქოს წარმოების ზრდის შესაბამისად უნდა გაიზარდოს პაპიროსისა და სიგარეტის წარმოება 1,3-1,5 მილიარდ ღერამდე, ხოლო ფერმენტირებული თამბაქოსი – 1000-დან 1300 ტონამდე.

ბოლო პერიოდში რეგიონში დიდი ყურადღება დაეთმო თხილის კულტურას. მითუმეტეს, რომ ჩვენი ქვეყანა მის ერთ-ერთ სამშობლოდ ითვლება, რასაც აჭარაში გავრცელებული თხილის უამრავი ველური და საბაღე ფორმებიც ადასტურებს. თხილის გული წარმოადგენს ადამიანის ფიზიოლოგიური ფუნქციონირებისათვის აუცილებელ კვების პროდუქტს, ხოლო საკონდიტრო მრეწველობაში კი მასზე მოთხოვნილება განუსაზღვრელია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 1997-2000 წლებში 500 ჰა-ზე გაშენდა თხილის სამრეწველო პლანტაციები (ძირითადად ტუნგის, ჩაისა და ციტრუსის ამორტიზირებულ ფართობებზე). გათვალისწინებულია მისი

გაშენება კერძო სექტორში 1500 ჰა-ზე, რაც მოსახლეობის ეკონომიკურ მომძლავრებას შეუწყობს ხელს.

თხილის წარმოების ზრდასთან ერთად შესაძლებელი ხდება საკონდიტრო მრეწველობის განვითარება, რაც სოციალური საკითხების ნაწილობრივ მოგვარებასა და საბიუჯეტო შემოსავლების მატებას განაპირობებს.

აჭარაში მემცენარეობის დარგებთან ერთად სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მეცხოველეობას, უმთავრესად მსხვილფეხა რქოსან მესაქონლეობას. მემცენარეობის დარგი თუ ინტენსიფიკაციის გზაზე იდგა და უმეტეს შემთხვევაში პროდუქციის წარმოების არცთუ დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა, მეცხოველეობა დაბალპროდუქტიულობით, მოვლა-შენახვის უპირატესად ექსტენსიური სისტემით გამოირჩეოდა.

1990 წელს აჭარის ყველა კატეგორიის მეურნეობაში აწარმოეს 4 400 ტონა ხორცი და 9 800 ტონა რძე, რაც მოსახლეობის მოთხოვნილებას შესაბამისად 16 და 8,5%-ით აკმაყოფილებდა.

1997 წლის იანვრისათვის, 1990 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ყველა კატეგორიის მეურნეობაში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა შემცირდა 23 215 სულით, ანუ 17,4%-ით, ღორისა – 5 164 სულით, ანუ 18%-ით, ცხვრისა და თხის სულადობა გაიზარდა 8300 სულით, ანუ 72%-ით. ამავე პერიოდში საგრძნობლად იკლო ფრინველის რაოდენობამ, შეიმჩნევა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის ზრდა კერძო სექტორში, რამაც 1997 წელს 1990 წელთან შედარებით 23% შეადგინა (იხ. ცხრილი 2.1.5).

ადგილობრივი საკვები ბაზის უქონლობამ, ჯოგის არაოპტიმალურმა სტრუქტურამ და შემადგენლობამ, პირუტყვის დაბალპროდუქტიულობით გამოწვეულმა მეცხოველეობის პროდუქტების მაღალმა თვითღირებულებამ საზოგადოებრივი მეცხოველეობა
მოშალა და კატასტროფამდე მიიყვანა.

ეს იმანაც განაპირობა, რომ სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ზოოტექნიკური და ვეტერინარული სამსახურების სრულყოფილად გამოყენებას, რის გამოც დაირღვა ჯოგის სტრუქტურა,

ცხრილი 2.1.5

პირუტყვის სულადობა, ფრინველისა და ფუტკრის ოჯახის რაოდენობა და პროდუქტიულობა

რაიონების დასახელება	წლები	მსხვ. რქოსანი პირუტყვი, სული		ღორი, სული	ცხვარი და თხა, სული	ფრინველი, ფრთა	ფუტკრის ოჯახი, სკა	მიღებულია ნამატი 100 დედა პირუტყვზე, სული			ერთი ფურის საშ. წლიური წველადობა, კგ
		სულ	მ.შ. ფური და ფურკამეჩი					ხბო და ზაქი	ბოჭი	თოვლნი და ბატკანი	
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	2001	122717	66311	741	17020	433065	10973	85	887	92	966
	2002	126090	66445	1087	17256	407980	11267	86	878	101	972
	2003	128378	69373	1855	16139	398417	14753	85	1053	106	997
ქობულეთი	2001	17991	11778	656	892	177188	3703	74	870	86	1055
	2002	19456	12664	858	864	169395	2782	78	884	74	1056
	2003	19312	12565	1130	859	169500	3719	76	1056	106	1068
ხელვაჩაური	2001	15781	11721	73	3738	132475	2780	94	850	92	1246
	2002	15544	11280	179	3989	120520	3278	93	852	130	1228
	2003	15910	11782	150	3569	114922	3105	96	959	126	1274
ქედა	2001	12124	5704	12	1222	47083	2236	88	400	94	1046
	2002	12224	5932	50	1360	41686	2174	87	440	103	1044
	2003	14160	6992	160	1828	34000	4202	93	450	111	980
შუახევი	2001	28581	14011	-	4147	29079	754	82	-	101	896
	2002	29324	14653	-	3304	28748	1192	82	-	87	898
	2003	29460	14931	-	3316	25795	1589	80	-	76	925
ხულო	2001	48240	23097	-	7021	47240	1500	89	-	89	807
	2002	49422	21916	-	7739	47631	1841	88	-	90	819
	2003	49536	23103	-	6567	42200	2138	88	-	85	869

ცხრილი შედგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით.

მაღალპროდუქტიული ფურებით არ ხდება მისი განახლება, ნაკლები ყურადღება ექცევა შედარებით რენტაბელურ დარგს – მეღორეობას.

მეცხოველეობის პროდუქტებზე მზარდმა მოთხოვნილებამ კერძო სექტორში მეცხოველეობის დარგის სწრაფი ტემპით აღორძინება განაპირობა. 2000 წელს, 1995 წელთან შედარებით, ხორცისა და რძის წარმოება რეგიონში შესაბამისად 43 და 38%-ით გაიზარდა.

აჭარაში 2003 წელს 2001 წელთან შედარებით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა გაიზარდა 5661 სულით, ანუ 4,6%-ით, ფური და ფურკამეჩისა – 3062 სულით, ანუ 4,8%-ით, ღორის – 2,5-ჯერ, ხოლო ცხვრისა და თხის კი შემცირდა 881 სულით, ანუ 5,5%-ით. შემცირდა აგრეთვე ფრინველის რაოდენობა 34,6 ათასი ფრთით, ანუ 8,0%-ით, ხოლო ფუტკრის ოჯახის რაოდენობა გაიზარდა 3780, ანუ 34,5%-ით. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი მაღალი ხვედრითი წილით არის წარმოდგენილი ხულოს რაიონში, რომელზეც მოდის ავტონომიური რესპუბლიკის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მთელი სულადობის 38,5%, თუმცა ეს დარგი ამ რაიონში ყველაზე დაბალპროდუქტიულია, რამდენადაც ერთი ფურის საშუალო წლიური წველადობა 810-870 კგ-ის ფარგლებშია, ხოლო შედარებით მაღალი პროდუქტიულობით გამოირჩევა ხელვაჩაურის რაიონში, სადაც ერთ ფურზე საშუალოდ 1230-1280 კგ რძეს, ხოლო 100 ფურზე 96 ხბოს იღებენ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საანგარიშო პერიოდში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება ყოველწლიურად იზრდება (იხ. ცხრილი 2.1.6).

2003 წელს 2001 წელთან შედარებით, ყველა სახის ხორცის წარმოება გაიზარდა 2128 ტონით, ანუ 45,6%-ით, რძისა – 3762 ტონით, ანუ 5,8%-ით, კვერცხისა – 2743 ათასი ცალით, ანუ 10,9%-ით, თაფლისა

ცხრილი 2.1.6

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება (ტონა)

რაიონების დასახელება	წლები	ხორცი	მათ შორის			რძე	კვერცხი (ათასი ცალი)	თაფლი
			მსხვ. რქოს. პირუტყვის	ღორის	ფრინველის			
აჭარის	2001	4664	3645	282	537	64658	25057	133
ავტონომიური	2002	5888	4604	290	668	65463	26203	148
რესპუბლიკა	2003	6792	5558	250	672	68420	27800	185
ქობულეთი	2001	1117	612	278	222	12442	11433	45
	2002	1440	820	286	304	12897	11448	48
	2003	1540	968	245	298	13435	12114	56
ხელვაჩაური	2001	1220	1035	3	144	14686	8655	26
	2002	1885	1600	3	191	14862	8753	31
	2003	1888	1606	4	204	15034	9284	28
ქედა	2001	525	410	1	67	6066	1934	32
	2002	692	520	1	90	6132	2073	40
	2003	901	760	1	78	6376	2204	59
შუახევი	2001	720	631	-	32	12555	1428	13
	2002	810	710	-	33	12890	1493	14
	2003	995	884	-	42	13772	1584	19
ხულო	2001	1082	957	-	72	18909	1607	17
	2002	1061	954	-	50	18682	2436	15
	2003	1468	1340	-	50	19803	2614	23

კი – 52 ტონით, ანუ 39,1%-ით. ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ მეცხოველეობის დარგში ყოველწლიურად უფრო მეტ პროდუქციას აწარმოებენ აჭარის ხუთივე რაიონში, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს

ამ დარგის პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. დარგის აღმავალი განვითარება მიიღწევა იმით, რომ მოსახლეობამ აქტიურად დაიწყო პირუტყვის
მომრავლება და ტრადიციული მომთაბარე მეცხოველეობის განვითარებისათვის ალპური საძოვრების გამოყენება, მაგრამ პირუტყვის სულადობის ზრდასთან შედარებით, დაბალი ტემპით იზრდება მათი პროდუქტიულობა. ამასთან აჭარაში ხორცისა და რძის გადამამუშავებელი სულ ორი საწარმოა, რომლებიც განლაგებულია ქ. ბათუმში, ეს კი ართულებს მეცხოველეობის პროდუქტების სამრეწველო გადამუშავების პროცესს.

მეცხოველეობის განვითარების შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოყენების მიზნით, აუცილებელია მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამების საფუძველზე დამუშავდეს და განხორციელდეს ფერმერული და საკარმიდამო მეცხოველეობის (უმთავრესად შერეული მიმართულების) განვითარების ღონისძიებანი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ჯოგის სტრუქტურულ სრულყოფას, მისი პროდუქტიულობის ამაღლებას, მაღალმთიან ზონაში მცირე სიმძლავრის გადამამუშავებელი საწარმოების ამოქმედებას, პროდუქციის გადამუშავების, შენახვისა და შეფუთვის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას და სხვა.

2.2. მეურნეობრიობის ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები აჭარის ასკ-ში და მათი საქმიანობის ანალიზი

საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად მიჩნეულია ქვეყანაში

ეკონომიკური ზრდის მიღწევა. ამ ამოცანის რეალიზაციაში ჩართულია ეროვნული მეურნეობის ყველა სფერო და მათ შორის აგრარული სექტორიც, რომელსაც გააჩნია უდიდესი პოტენციალი.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში აგრარული რეფორმა საადგილმამულო ურთიერთობათა მოწესრიგებით, მიწის პრივატიზაციით და საწარმოთა რეორგანიზაცია-რესტრუქტურიზაციით დაიწყო. ეს ღონისძიებები ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენდნენ აგრარულ სექტორში მეწარმეობის ნორმალურად წარმართვისა და განვითარებისათვის.

დღეისათვის სოფლის მეურნეობაში ცნობილია მეწარმეობის ოთხი ძირითადი ტიპი, რომელთა შორის პირველია ინდივიდუალური საწარმო, მეორე – ამხანაგობა ან პარტნიორობა, მესამე – სააქციო საზოგადოება ან კოოპერაცია და მეოთხე კი – სახელმწიფო ან მუნიციპალური საწარმო. მეწარმეობის ტიპის განსაზღვრა ძირითადად დამოკიდებულია შრომისა და კაპიტალის განზოგადოების დონეზე. მეწარმეობის ყველაზე დაბალი ფორმა – ინდივიდუალური საწარმო, სწორედ შრომისა და კაპიტალის დაბალი განზოგადოებით ხასიათდება. რაც შეეხება მეორე ტიპს, ჩვენთან მას ძირითადად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) შეესატყვისება.

სოფლად კერძო მეწარმეობის განვითარებას მნიშვნელოვნად უშლის ხელს საკანონმდებლო ბაზის მოუგვარებლობა, კაპიტალისა და საინფორმაციო ბაზის უქონლობა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რეფორმის პერიოდში დაქვეითდა მოსახლეობის (მეწარმეთა) შრომითი და სამეწარმეო აქტივობაც. მოუგვარებელია სოფლის საწარმოო ინფრასტრუქტურა და წარმოებული პროდუქციის გასაღების ბაზარი. ერთი

სიტყვით, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისათვის განხორციელებულმა ღონისძიებებმა სრული შესაძლებლობებით ვერ მოახდინა მიკროეკონომიკურ სექტორზე ზეგავლენა, ანუ მიკროეკონომიკური გარდაქმნა ორგანულად არ შეერწყა მაკროეკონომიკურ გარდაქმნებს.

სამეწარმეო საქმიანობა, საერთოდ და მათ შორის სოფლის

ცხრილი 2.2.1

კერძო, ოჯახური მეურნეობების რაოდენობა

აჭარის არ-ში (2006 წლის 01.01-ის მდგომარეობით)

№	რაიონის (ქალაქის) დასახელება	სულ კომლი	ფლობს ნაკვეთს	
			კომლი (ოჯახი)	ხვედრითი წონა, %
1.	ქ. ბათუმი	33425	-	-
2.	ქობულეთი	21574	13435	62,3
3.	ხელვაჩაური	20347	17948	88,2
4.	ქედა	4278	3959	92,5
5.	შუახევი	5022	4702	93,6
6.	ხულო	7240	6927	95,7
	სულ აჭარის არ-ში	91866	46971	51,1

წყარო: აჭარის არ-ის სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები.

მეურნეობაში, შეიძლება დავახასიათოთ ოთხი ძირითადი ნიშნით, ესენია: 1. მეწარმის დამოუკიდებლობა, 2. საქმიანობის განხორციელება საკუთარი რისკით, 3. წარმოების მიზანი – მოგების მიღება და 4. საწარმოს რეგისტრაციის აუცილებლობა. დღეისათვისაც კი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ფორმირებულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს არა აქვთ

ეს ოთხი ძირითადი ნიშანი სრულად რეალიზებული და გამოყენებული და ვერც სრულყოფილად ფუნქციონირებენ.

ცხრილი 2.2.1-ის მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ აჭარის არ-ში კომლთა რაოდენობის მხოლოდ 51,1 პროცენტია მიწის ნაკვეთის მფლობელი (მესაკუთრე), ამასთან სოფლის მეურნეობის პროდუქციის ძირითადი მწარმოებელი მაინც ოჯახური მეურნეობებია და ეს იმ პირობებში, როცა ამ სფეროში ჯერ კიდევ არ არის მაქსიმალურად გამოყენებული პროდუქციის წარმოების ზრდის ყველა რეზერვი. ოჯახური მეურნეობების მიერ თავისუფლად შეიძლება წარმოებული იქნას სულ მცირე 2-3-ჯერ მეტი პროდუქცია რესურსების უფრო ეკონომიური გამოყენებით, მიწის განოყიერების სწორი სისტემის დანერგვით. დღეისათვის კი სასუქების, შხამ-ქიმიკატების და სხვა საშუალებების სიძვირის გამო, გლეხებს მათზე ხელი ვერ მიუწვდებათ და მიწასაც სათანადოდ ვერ ამუშავებენ, ხოლო სარწყავი სისტემის მოუგვარებლობის გამო, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა 2-ჯერ და მეტად ჩამორჩება მის პოტენციურ მაჩვენებელს.

სიტუაციას ართულებს ისიც, რომ გლეხური (ოჯახური) მეურნეობები ჯერ კიდევ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად საქმიანობენ და ვერ ახერხებენ (ზოგჯერ არც ცდილობენ) თავიანთი მეურნეობა მოაწყონ ერთმანეთთან ურთიერთხელსაყრელი კოოპერირების საფუძველზე, ერთობლივად მოახდინონ ტექნიკური სერვისისა და სამელიორაციო სამუშაოების ორგანიზაცია, ბაზრის მოძიება და ა.შ., რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს დროის დანახარჯებს ისეთ სამუშაოებზე, რომელიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული პროდუქციის წარმოებასთან.

საკვლევ რეგიონში გლეხური (ოჯახური) მეურნეობები

მრავალდარგიანობით ხასიათდებიან და ძირითადად ორიენტირებულნი არიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ოჯახის წევრების დაკმაყოფილებაზე. ანალიზმა გვიჩვენა, რომ არსებული სპეციალიზაციისა და ინტენსიურობის დონის პირობებში, პერსპექტივაში შეუძლებელი იქნება მათ მიერ სასაქონლო პროდუქციის წარმოების ზრდა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლება.

ზემოაღნიშნული პრობლემების გადაჭრა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითადი მწარმოებლებისათვის, ჩვენი აზრით, ყველაზე უკეთ შეიძლება მეურნეობრიობის კოოპერაციული ფორმის დაფუძნებით (მიწის ფართობის დაწვრილერთეულობის დასაძლევად უნდა შეიქმნას მიწის მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი კოოპერაციული გაერთიანებები, რისთვისაც საჭიროდ მიგვაჩნია გლეხობასთან ახსნა-განმარტებითი მუშაობა). მეურნეობრიობის ეს ფორმა უკეთ წყვეტს როგორც მიწის დამუშავების, ასევე წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის პრობლემებს და საფუძველს უქმნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი კონცენტრაციის უფრო პროგრესულ სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმების შექმნას.

ქვეყანაში მიმდინარე აგრარული რეფორმის საფუძველზე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაშიც მოხდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა არსებული ორგანიზაციული ფორმების რეორგანიზაცია. რეორგანიზაციის დაწყებამდე აჭარაში ფუნქციონირებდა 169 სასოფლო-სამეურნეო საწარმო: მ.შ. 23 სახელმწიფო მეურნეობა, 129 კოლმეურნეობა და 17 სამეურნეობათაშორისო საწარმო. 1998 წლის ბოლოსათვის 23 სახელმწიფო მეურნეობიდან 14 გადაკეთდა შპს-ად, 1 – სააქციო საზოგადოებად, 2 – სახაზინო საწარმოდ, ერთმა განიცადა ლიკვიდაცია, ხოლო 5 დარჩა ძველი

ორგანიზაციული ფორმით. 129 კოლმეურნეობიდან 49 გარდაიქმნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივად, 2 – სხვა ფორმად, ხოლო 78 კოლმეურნეობამ განიცადა ლიკვიდაცია. 17 სამეურნეობათაშორისო საწარმოდან 6 გარდაიქმნა შპს-ად, ერთი – სხვა ფორმად, ხოლო 10 დარჩა ძველი ორგანიზაციული ფორმით. მთლიანად აჭარაში ახალ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმად გარდაიქმნა 75 სასოფლო-სამეურნეო საწარმო, ანუ საწარმოთა საერთო რიცხვის 44,4%, 15 საწარმო, ანუ 8,9% ფუნქციონირებდა ძველი ორგანიზაციული ფორმით, ხოლო 79-მა საწარმომ, ანუ 46,7%-მა განიცადა ლიკვიდაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის არ-ში სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის შემდეგ ჩამოყალიბებულ სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებშიც არ არის ეკონომიკური მდგომარეობის მხრივ უკეთესი სიტუაცია. ამის ნათელი დასტურია მეცხოველეობის სახელმწიფო ჯიშთსაშენის შპს "კახაბერი"-ს საქმიანობის ეკონომიკური მაჩვენებლები. ჯერ კიდევ 1998 წელს აღნიშნულ საწარმოში აწარმოებდნენ 144,1 ტონა რძეს, საიდანაც რეალიზებული იყო 130,6 ტონა, ანუ 90,6%. რძის რეალიზაციით მიღებულია 55,9 ათასი ლარი. ამ წელს შპს "კახაბერი"-ს მთლიანმა შემოსავალმა შეადგინა 125,9 ათასი ლარი, ხოლო საწარმოო ხარჯებმა კი – 115,4 ათასი ლარი, ე.ი. საწარმომ მიიღო 10,5 ათასი ლარი მოგება (წმინდა მოგება 2640 ლარი). მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა იყო 180 სული, მათ შორის ძროხა – 94 სული, ანუ მთელი სულადობის 52,2%. 2005 წლისათვის პირუტყვის სულადობა შემცირდა 100 სულამდე (80 სულით, ანუ 44,5%-ით ნაკლები), ხოლო ძროხის სულადობამ ნაცვლად 94-ისა შეადგინა 42 სული (შემცირდა 52 სულით, ანუ 55,4%-ით). შესაბამისად შემცირდა რძის წარმოება 53,6

ტონამდე, ანუ 2,7-ჯერ, საწარმოს საერთო შემოსავალი შემცირდა 76,1 ათას ლარამდე, ხოლო ხარჯებმა შეადგინა 90,7 ათასი ლარი. შესაბამისად შპს "კახაბერი"-მა სამეურნეო წელი დაამთავრა 14,6 ათასი ლარი ზარალით.

აჭარის არ-ის აგრარული სექტორის წინაშე არსებული პრობლემები უნდა გადაწყდეს არსებული საწარმოო პოტენციალის მაღალეფექტური გამოყენებისა და მთელი ასკ-ის დინამიური განვითარების გზით. ამ სისტემაში კი განმსაზღვრელი როლი მეცნიერულად დასაბუთებული მეწარმეობისა და ბიზნესის ორგანიზაციის გზების ძიებას უნდა მიენიჭოს. ასევე მნიშვნელოვანი და აუცილებელია კერძო და სახელმწიფო ინტერესების ჰარმონიული თანაწყობა, რათა მიღწეული იქნას ეკონომიკის ოპტიმალური ფუნქციონირება და კვლავწარმოების მაღალი ტემპი, ქვეყნის (რეგიონის) შეზღუდული რესურსების რაციონალური და ეფექტიანი გამოყენება.

2.3. გადამამუშავებელ მრეწველობასთან ინტეგრირებული ერთობლივი საწარმოების შექმნის შესაძლებლობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აგრარული სექტორის განვითარებას, რადგან მასზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის მოსახლეობის სურსათით, ხოლო კვების მრეწველობის კი ნედლეულით უზრუნველყოფა. ამ პრობლემის გადაჭრა დამოკიდებულია დარგში არსებული საწარმოო პოტენციალის სრულად და რაციონალურად გამოყენებაზე.

აღნიშნული ამოცანები ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ეტაპზეც იდგა, მაგრამ თანამედროვე პირობებში უფრო მნიშვნელოვანია იმით, რომ იგი საფუძველს უყრის დამოუკიდებელი საქართველოს განვითარებას და ხდება ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნების და მისი ეკონომიკის განმტკიცების გარანტი. პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა დამოუკიდებლობამ საქართველოს სრულიად ახალი პერსპექტივები დაუსახა. კერძოდ, საქართველოს შეუძლია და კიდევაც უნდა შეასრულოს ისტორიული მისია დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზაჯვარედინის გეოპოლიტიკურ სივრცეში, რამდენადაც დედამიწის ამ უმნიშვნელოვანეს ნაწილთან დაკავშირებულია მრავალი ქვეყნის სტრატეგიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ინტერესები. [75]

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გაჯანსაღებისა და ეკონომიკური ზრდის ამოცანის საერთო სახელმწიფოებრივი ხასიათიდან გამომდინარე, აგრარული წარმოების განვითარების ეკონომიკური პროგრამა ხელსაყრელი ბუნებრივი და ადამიანური რესურსების გამოყენებას უნდა დაეფუძნოს. მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებზე მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილება კი უნდა გახდეს ფართომასშტაბიანი სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

_ სახელმწიფო პოლიტიკის კონცენტრირებას ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისათვის;

_ სიღარიბის გამომწვევი ფაქტორების დადგენას, დაძლევას და მის სახელმწიფო პოლიტიკაში გათვალისწინებას;

_ იმ ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებას, რომლებიც მაქსიმალურ ზეგავლენას იქონიებს სიღარიბის შემცირებაზე.

სოფლის მეურნეობის განვითარების დღევანდელი მდგომარეობიდან კი ნათლად იკვეთება, რომ ამ ეტაპზე საქართველოში შეუძლებელია მარცვლეულის, მეცხოველეობის პროდუქტების, შაქრის, მცენარეული ზეთისა და ზოგიერთი სხვა პროდუქციის იმ რაოდენობით წარმოება, რომ შესაძლებელი გახდეს მოსახლეობის მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამისად. ეს გარემოება იმაზე მიანიშნებს, რომ ეკონომიკურად გამართლებულია თანდათანობით ორიენტაცია ავიღოთ იმ საექსპორტო პროდუქციის (ხილი, ყურძენი, ჩაი, ციტრუსი, თამბაქო) წარმოებაზე, რის საშუალებასაც იძლევა უნიკალური ნიადაგურ_კლიმატური პირობები, მრავალფეროვანი ზონალური თავისებურებებით. ამ მოსაზრების ჭეშმარიტებას მხარს უჭერენ უცხოელი ექსპერტებიც. მიჩნეულია, რომ საქართველო განეკუთვნება იმ ქვეყანათა რიცხვს, რომლებმაც საბაზრო ურთიერთობათა სტრატეგია გარკვეული სახის პროდუქციის ექსპორტზე უნდა ააგოს, ხოლო აქედან მიღებული სავალუტო შემოსავლები კი დეფიციტური პროდუქციის, მოწინავე ტექნოლოგიების შესაძენად და ეროვნული ვალუტის გასამყარებლად უნდა გამოიყენოს.

ამჟამად ქვეყანაში სხვადასხვა საბაზრო ინსტიტუტების ფორმირებასთან ერთად, განვითარებას იწყებს მიწის ბაზარი. უცხოელი დონორების დახმარებით ხორციელდება მიწის კადასტრი, რაც ინვესტიციების შემოდინების ხელშემწყობი ფაქტორი გახდება. რეფორმისას წარმოშობილი ახალი რეალიები დღის წესრიგში აყენებს ახალ

ამოცანებს და პრობლემებს, რომელთაც შესაბამისი გადაწყვეტა ესაჭიროებათ. მათგან შეიძლება დავასახელოთ ზოგიერთი:

_ დიდი რიცხვი იმ საწარმოებისა, რომლებიც ამჟამად განსაკუთრებით კრიტიკულ სიტუაციაში იმყოფებიან და გაკოტრების წინაშე დგანან;

_ ინფრასტრუქტურის ძალიან დაბალი დონე; საავტომობილო და სარკინიგზო გზების, სატელეფონო ქსელის, სასაწყობო მეურნეობის სარეკლამო და საინფორმაციო მეურნეობის, საბაჟოებისა და სხვა სტრუქტურების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა;

_სამეურნეო-სავაჭრო კავშირების მოშლა მეზობელ სახელმწიფოებთან /განსაკუთრებით რუსეთთან, რომელთანაც საქართველოს ადრე ძალზე მჭიდრო ეკონომიკური კავშირები ჰქონდა. ახლა ისინი დარღვეულია და რაც არსებობს არასაკმარისია/;

_ მოსახლეობის მსყიდველობითი უნარიანობის ძალზე დაბალი დონე;

_ საქონლისა და მომსახურების ფასი, ხარისხი და ბაზრის სხვა ატრიბუტი არსებითად ჩამორჩება საზღვარგარეთის ქვეყნების ანალოგიური პროდუქციის შესაბამის მაჩვენებელს;

_ სასურსათო და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დეფიციტი, იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდი რაოდენობა, საბინაო და კომუნალური მეურნეობის სისტემის მოუგვარებლობა;

_ ქალაქსა და სოფელს, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის კავშირების მოშლა /ამ დარგებს შორის არსებობს სერიოზული წინააღმდეგობანი ფასებსა და ფასწარმოქმნაში, აგრეთვე პროდუქტგაცვლაში/. [40]

ყოველივე ზემოაღნიშნული, ბუნებრივია, აბრკოლებს საბაზრო გარემო პირობების ფორმირებას და საწარმოო პოტენციალის სრულად ათვისების შესაძლებლობას.

მიუხედავად აღნიშნულისა, სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე, საქართველომ კურსი აიღო სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ურთიერთობისაკენ, რომელსაც მოჰყვა მეურნეობრიობის სოციალისტური სისტემის უარყოფა და საწარმოთა ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების დამკვიდრება.

გარდამავალი ეტაპი მძიმე და რთული გამოდგა. მან წარმოშვა მრავალი პრობლემა, რომელთა შორის ყველაზე მასშტაბურია ეროვნული მეურნეობის კრიზისი, რომელიც 90_იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო.

კრიზისული მდგომარეობა გამონაკლისი არ ყოფილა აჭარის ავტონომოური რესპუბლიკისთვისაც. იმის გამო, რომ ქვეყანაში და ავტონომიურ რესპუბლიკაში საწარმოებისა და ორგანიზაციების რეფორმირება დაიწყო საკანონმდებლო ბაზის არ არსებობის და ეროვნული პროგრამის შემუშავების გარეშე, მივიღეთ სასოფლო_სამეურნეო საწარმოების სტიქიური ნგრევა, კვების მრეწველობისა და მომსახურების სფეროს პარალიზება, შრომითი კოლექტივების დეზორგანიზაცია და პროდუქციის წარმოების კატასტროფული ვარდნა.

რესტრუქტურიზებული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ბაზაზე ფორმირებულია სხვადასხვა ტიპის მეწარმე ფიზიკური თუ იურიდიული პირი _ ფერმერული, გლეხური (ოჯახური) მეურნეობის, სააქციო საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სასოფლო_სამეურნეო კოოპერატივებისა და სხვათა სახით, მაგრამ დიდ უმეტესობას (თუ ყველას არა) არ გააჩნია მეწარმეობისათვის

დამახასიათებელი და აუცილებელი ორგანიზაციულად მოწყობილი, სამეურნეო-ეკონომიკურად გამართული და საწარმოო საშუალებებით უზრუნველყოფილი მეწარმის სახე, რომლის გარეშე შეუძლებელია მეურნეობრიობა. ამიტომაც არის, რომ ისინი ბაზარზე არ ჩანან და ხელშესახები წვლილი ვერ შეაქვთ ქვეყნის სასურსათო რესურსების ფორმირებაში. სრულიად ახალი ტიპის მეწარმეთა ჩამოყალიბება-გამართვის პროცესის გაჭიანურება იმანაც განაპირობა, რომ საბაზრო ურთიერთობის დამკვიდრება მოხდა ე. წ. საზოგადოებრივი მეურნეობების რესტრუქტურიზაციის გზით, რომლის პრეცენდენტი მსოფლიოს პრაქტიკაში არ ყოფილა. აღნიშნულის შედეგია ის, რომ სოფლის მეურნეობაში პროდუქციის წარმოების დღევანდელი დონე რეფორმამდელის 25_30%-ს არ აღემატება. ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც კვების მრეწველობის საწარმოებშია.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 90-იანი წლების ბოლოსათვის კვების მრეწველობის საწარმოების პრივატიზება ძირითადად დამთავრებული იყო და დამკვიდრდა მრავალფორმიანი თავისუფალი მეწარმეობა, მაგრამ საწარმოთა რესტრუქტურიზაციას, პროდუქციის წარმოების ზრდის ნაცვლად მოჰყვა მისი მინიმუმამდე შემცირება. ეს ნათლად ჩანს იმ საწარმოების მაგალითზე, რომლებიც რეფორმის დაწყებამდე საექსპორტო პროდუქციას აწარმოებდნენ.

მიუხედავად აღნიშნულისა, ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქციის მთელ მოცულობაში გადამამუშავებელ მრეწველობაზე მოდის: 2000 წელს _ 65%, 2002 წელს _ 61,4% და 2004 წელს _ 50,7%. ხოლო გადამამუშავებელ მრეწველობაში კვების პროდუქტებისა და სასმელების წარმოების ხვედრითი წონა შესაბამისად შეადგენს 21,7%-ს,

18,6%-ს და 21,0%-ს. 2004 წლისთვის აჭარაში წარმოებულია 15,7 ტონა ძეხვეული, 3630,4 დკლ ნატურალური წვენი, 2559, 2 ტონა ფქვილი, 4589,3 ტონა პურ-ფუნთუშეული, 13,7 ტონა მაკარონი, 81,6 ტონა შავი ბაიხის ჩაი, 343,2 ტონა ლაო ჩაი, 1284 ტონა მწვანე აგურა ჩაი, 28403 დკლ ლუდი, 41625,4 დკლ უალკოჰოლო სასმელები, 226 მლნ ღერი პაპიროსი და სიგარეტი და სხვა, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ამ სფეროში ჯერ კიდევ ბევრი რეზერვია.

ცხრილი 2.3.1-ის მონაცემებიდან ჩანს, რომ აჭარის არ-ში რეფორმირების პერიოდში კატასტროფულად შემცირდა გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოების რიცხვი, შესაბამისად შემცირდა მათ მიერ გადამუშავებული პროდუქცია, მათ შორის ისეთი სტრატეგიული პროდუქტები, რომლებიც საბჭოურ პერიოდში საკავშირო ფონდებს მიეწოდებოდა და ამავე დროს წარმოადგენდა საექსპორტო ნაწარმს (ჩაი, ციტრუსი, თამბაქო).

თავის მხრივ, აჭარაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოები საქართველოს ერთიანი კვების მრეწველობის შემადგენელი ნაწილია და მას განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა და ენიჭება ამჟამადაც ჩაის, ციტრუსის და თამბაქოს წარმოებისა და გადამუშავების საქმეში.

როგორც ცნობილია, საბაზრო ურთიერთობის პერიოდში, კონკურენტუნარიანი საექსპორტო სამრეწველო პროდუქციის წარმოება, კონკურენტუნარიანი ნედლეულის წარმოებას მოითხოვს. ამ მიზნით

ცხრილი 2.3.1

კვების (გადამამუშავებელ) მრეწველობის საწარმოთა რეორგანიზაცია აჭარის არ_ში ორგანიზაციულ_სამართლებრივი ფორმების მიხედვით

№	დასახელება	იყო რეორგანიზა-ციამდე	რეორგანიზებულია 2006 წ.01.01-ის მდგომარეობით				ლიკვიდი-რებულია
			კს	შპს	სს	სხვა ორგან. ფორმად	
1.	ჩაის ფაბრიკა	22	3	10	-	4	5
	მ.შ.						
	ქობულეთი	13	3	5	-	1	4
	ხელვაჩაური	8	-	4	-	3	1
	ქედა	1	-	1	-	-	-
2.	საკონსერვო ქარხანა						
	მ.შ.	6	1	2	-	-	3
	ქობულეთი						
	ხელვაჩაური	2	-	-	-	-	2
	ქედა	1	-	-	1	-	-
	ქ. ბათუმი	2	-	1	-	1	-
	ხორცკომბინატი	1	-	-	-	1	-
3.	ციტრუსის შემფუთავი	1	-	-	-	-	1
4.	ქარხანა						
	თამბაქოს ფაბრიკა						
	ლიმონათის ქარხანა	12	-	1	-	1	10
5.	(ქ. ბათუმი)						
	ლუდის ქარხანა	1	-	1	-	-	-
6.	ღვინის ქარხანა						
		3	-	2	-	-	1
7.							
		1	-	-	-	1	-
8.		1	-	1	-	-	-

წყარო: აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემები.

პრივატიზებულმა სამრეწველო საწარმოებმა ურთიერთობა უნდა იქონიონ ათასობით წვრილ მეწარმესთან, უფრო სწორად, გლეხურ (ოჯახურ) მეურნეობებთან, რაც იოლი დასარეგულირებელი არაა, რამდენადაც ტრადიციული ურთიერთობის ფორმები ამ საქმეში არ გამოდგება.

მიგვაჩნია, რომ სამრეწველო (გადამამუშავებელ) საწარმოსა და გლეხურ (ოჯახურ) მეურნეობას შორის ურთიერთობის ფორმები ხელშეკრულების საფუძველზე უნდა დარეგულირდეს, ისე როგორც ხდება სოფლის მეურნეობის კლასიკურ ქვეყნებში.

საექსპორტო პროდუქციის წარმოების საქმეში მნიშვნელოვან საშუალებად გვესახება ნედლეულის მწარმოებელი მეწარმე სუბიექტის ინტეგრირება გადამამუშავებელ მრეწველობასთან ისე, რომ ორივე მხარე თანაბრად იყოს დაინტერესებული საექსპორტო პროდუქციის წარმოებასთან და გასაღებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური პროცესების მდგომარეობით. ე.ი. გლეხი რომელიც ჩაის, ციტრუსს მიყიდის ქარხანას და მეწარმე, რომელიც ყიდულობს ამ ნედლეულს, ერთნაირად უნდა იყვნენ დაინტერესებული ჩაის პლანტაციაში, ციტრუსის ბაღში არსებული მდგომარეობით, მოსავლის გადამუშავებითა და რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებით. ასეთი ურთიერთობა ხელშეკრულებით უნდა დარეგულირდეს, სადაც ნედლეულის მწარმოებელი რეალიზაციის შედეგების მეწილე იქნება და გადამუშავებული სამრეწველო საწარმოს მოგებიდან მიიღებს დივიდენდებს მიყიდული ნედლეულის პროპორციულად. ანალოგიური პარტნიორობის მაგალითია მაღალმთიანი აჭარის გლეხურ (ოჯახურ) მეურნეობებსა და ქ. ბათუმის თამბაქოს კომბინატს შორის არსებული ურთიერთობები. კერძოდ, თამბაქოს კომბინატს წლის განმავლობაში გლეხურ (ოჯახურ) მეურნეობებს შეღავათიან ფასებში (ხშირად უნაღდო ანგარიშსწორებითაც) აწვდის თესლს, მინერალურ სასუქებს, შხამქიმიკატებს და სხვა მასალებს, ხოლო წარმოებულ პროდუქციას კი შეისყიდის წინასწარ (წლის დასაწყისში)

შეთანხმებული ფასებით. თუმცა ეს ურთიერთობები ჯერ კიდევ საჭიროებს დახვეწასა და სრულყოფას.

გარდა აღნიშნულისა ინტეგრაციის თავისებურ ფორმად შეიძლება მივიჩნოით სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი მეწარმე სუბიექტისა და ნედლეულის მწარმოებლების (გლეხური მეურნეობების) მიერ კოოპერაციული საწარმოს შექმნა. ასეთი სახის კოოპერაციული საწარმოს თითოეულ წევრს ექნება ერთი ხმა და მისი შემოსავალი დამოკიდებული იქნება მის მიერ გადამამუშავებელ საწარმოზე ჩაბარებული ნედლეულის რაოდენობასა და ხარისხზე.

შესაძლებელია სამრეწველო საწარმოებისა და ნედლეულის მწარმოებლების (თუ იგი იურდიული პირია) ინტეგრირება სააქციო საზოგადოებების სახით ნებაყოფილებითი შეერთების გზით. ინტეგრაციის ეს ფორმა უფრო სრულყოფილად და პერსპექტიულად გვესახება, რამდენადაც სააქციო საზოგადოებები მაღალი დონის ორგანიზაციულ_სამართლებრივ ფორმას წარმოადგენენ. მისი ერთ-ერთი უპირატესობა ისიცაა, რომ იგი ქმნის ქონების მართვაში ასეულობით ადამიანის ჩაბმის პირობებს.

ავტონომიურ რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (ნედლეულის) მწრმოებლებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სწორი, ოპტიმალური ინტეგრაცია საშუალებას მოგვცემს ვაწარმოოთ ისეთი კონკურენტუნარიანი კვების პროდუქტები, რომლებზეც როგორც შიდა, ისე საგარეო ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა. სწორედ პროდუქციის ექსპორტი წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცებისა და განვითარების ერთ-ერთ პირობას. დღეისათვის კი სადაოს და საკამათოს არ უნდა წარმოადგენდეს, რომ ქვეყნისა და რეგიონის სინამდვილეში დარგი,

რომელსაც შეუძლია შეასრულოს ჩავარდნილი ეკონომიკის ამომწევი როლის ფუნქცია, არის სოფლის მეურნეობა და აქ წარმოებული პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობა. აქედან გამომდინარე, ეკონომიკის ზრდისა და განვითარების კურსი უნდა ავიღოთ ამ დარგების ურთიერთდაკავშირებულ და პროპორციულ განვითარებაზე. [14]

თავი 3. მეურნეობრიობის ახალი, პროგრესული ფორმების განვითარების პერსპექტივები და მართვის სისტემის სრულყოფის მიმართულებები აჭარის არ-ში

3.1. აგრარული მეწარმეობის ორგანიზაციული ფორმებისა და აგრობიზნესის სრულყოფის გზები

საბაზრო ურთიერთობების პირობებში მეწარმეობა არამარტო სამართლებრივადაა გამართლებული, არამედ სასურველი და აუცილებელია საზოგადოების კეთილდღეობისათვის. საქართველოში მეწარმეობისათვის ჯერჯერობით კიდევ არაა შექმნილი სრულყოფილი სამართლებრივი ბაზა. მეწარმეობის აღორძინებას, განსაკუთრებით კი მეწარმეთა საშუალო ფენის შექმნას სასოცოცხლო მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსათვის, რადგან კავშირი ეროვნულ უშიშროებასა და ეკონომიკას შორის აუცილებელია ქვეყნის განვითარებისათვის. ხელისუფლება უნდა იცავდეს საკუთარ მეწარმეს ბაზარზე და ქმნიდეს ყველა პირობას სამეწარმეო საქმიანობისათვის.

მეწარმემ ორგანიზაცია უნდა გაუკეთოს საქონლის წარმოებასა და მომსახურეობის საქმიანობას. ამასთან, მოქმედებს რა პირადი სარგებლობის

ინტერესებიდან გამომდინარე, იგი საკუთარი პასუხისმგებლობით ხელს კიდებს იმ საქონლის, პროდუქციისა და მომსახურების წარმოებას, რომელიც სხვებს სჭირდებათ და მისთვის მოგების მომტანია. ამ მიმართულებით მეწარმე მეტად მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს აგრარული სექტორის ეკონომიკის განმტკიცებისა და სასურსათო უზრუნველყოფის სფეროში.

საბაზრო ტიპის სოფლის მეურნეობა, რომელსაც საფუძვლად უდევს მეურნეობრიობის მრავალფეროვნება, იძლევა იმის საშუალებას, რომ მეწარმემ თავად აირჩიოს იგი საწარმოო პირობების გათვალისწინებით. მეწარმეობის მრავალფორმიანობა საქართველოს აგრარულ სექტორში იმითაც არის აუცილებელი, რომ ამას განაპირობებს ქვეყნის შიდარეგიონალური თავისებურებები და განსხვავებული ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები.

ცხრილი 3.1.1

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რაოდენობა და მათი სტრუქტურა (2004 წლის მდგომარეობით)

ქვეყნის, რეგიონის დასახელება	ყველა მეურნეობა		მათ შორის					
	რაოდენობა	%	ოჯახური მეურნეობები		სას.სამ. საწარმ.		სხვა ტიპის საწარმ.	
			რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%
საქართველო სულ	729542	100	728247	99,8	820	0,13	475	0,07
მათ შორის:								
აჭარის არ-ში	50231	100	50110	99,8	22	0,04	99	0,16
აქედან								
ქობულეთის რაიონი	17490	100	17460	99,8	12	0,1	18	0,1
ხელვაჩაურის რაიონი	15714	100	15658	99,6	10	0,1	46	0,3
ქედის რაიონი	4260	100	4225	99,2	-	-	35	0,8
შუახევის რაიონი	5047	100	5047	100	-	-	-	-
ხულოს რაიონი	7720	100	7720	100	-	-	-	-

საქართველოს 2004 წლის სას.სამ აღწერა. თბ., 2005, გვ. 3

ცხრილი 3.1.1-ის მონაცემებიდან ჩანს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობაში არსებულ მეურნეობებში 99,8% ოჯახურ მეურნეობებზე მოდის. ანალოგიური სიტუაციაა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და მასში შემავალ რაიონებში. მაღალმთიან აჭარაში (ქედა, შუახევი, ხულო) კი ოჯახური მეურნეობების გარდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები არ ფუნქციონირებენ. 2004 წლის მდგომარეობით ქცეყანაში დარეგისტრირებული 820 სასოფლო-სამეურნეო საწარმოდან აჭარაზე მოდის 22 საწარმო, ანუ 2,7%, აქედან 12 საწარმო ფუნქციონირებს ქობულეთის რაიონში, ხოლო 10 – ხელვაჩაურის რაიონში (იხ. ცხრილი 3.1.2).

ცხრილი 3.1.2

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები (2004 წლის მდგომარეობით)

დასახელება	სულ	მათ შორის		
		სოლიდური პასუხისმგებლობის საზოგადოება	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	
			სულ	მ.შ. სახელმწიფო
აჭარის არ-ში სულ	22	6	16	10
მ.შ.				
ქობულეთის რაიონი	12	3	9	5
ხელვაჩაურის რაიონი	10	3	7	5

საქართველოს 2004 წლის სას.სამ აღწერა. თბ., 2005, გვ. 9

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდისათვის აჭარაში არ არის დარეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ისეთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, როგორიცაა კომანდიტური საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი. 22 სასოფლო-სამეურნეო საწარმოდან 10 საწარმო, ანუ 45,5% არის სახელმწიფო საკუთრების, ხოლო 12 საწარმო, ანუ 54,5% - კერძო საკუთრების.

საქართველოს კანონით - "მეწარმეთა შესახებ" გათვალისწინებულია საწარმოთა სასამართლოში რეგისტრაცია, რომელიც ყველასათვის სავალდებულოა, გარდა ინდივიდუალური მეწარმისა. ინდივიდუალური მეწარმე თანამედროვე სოფლის მეურნეობაში ჯერ-ჯერობით სწორედ არის საოჯახო (საკომლო) მეურნეობა, რომელიც დაფუძნებულია კერძო საკუთრებაზე.

სამეწარმეო კანონმდებლობით გათვალისწინებული ინდივიდუალური მეწარმის სტატუსს საოჯახო მეურნეობა მაშინ შეიძენს, თუ მასში დასაქმებული იქნება ოჯახის არაწევრი ხუთი პირი მაინც, ექნება დადგენილი წესით მოწყობილი სამეურნეო ორგანიზაცია და საბუღალტრო საქმე, სხვა შემთხვევაში კანონის მიხედვით იგი არის ფიზიკური პირი და ეწევა სამეწარმეო საქმიანობას საოჯახო (საკომლო) მეურნეობაში. კანონიდან არ ჩანს, რომელია სწორი – ინდივიდუალური მეწარმე, ფიზიკური პირი, თუ საოჯახო (საკომლო) მეურნეობა, გაუგებარია მათი რაობა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

ჩვენი აზრით, საჭიროა ნათლად გამოიკვეთოს ინდივიდუალური მეწარმის, ფიზიკური პირისა და საოჯახო მეურნეობის სახე. ამიტომ უმჯობესი იქნება საოჯახო მეურნეობას კანონში მიეცეს ის სტატუსი, რაც მას სინამდვილეში აქვს და ტექსტშიც მოვიხსენიებთ, როგორც საოჯახო

მეურნეობას. ამასთან, საოჯახო (საკომლო) მეურნეობის ფორმა დღეს ყველაზე მასობრივი ფორმაა და მომავალშიც მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ქართულ სოფელში. აქედან გამომდინარე, საჭიროა მისი ასეთი სახით დაკანონება.

საოჯახო მეურნეობა, როგორც წესი, იქმნება ოჯახის (კომლის) მიხედვით. მიწის ფართობი, რომელიც კომლს გამოეყოფა, წარმოადგენს საოჯახო მეურნეობის შემადგენელ ნაწილს. საოჯახო მეურნეობა შედგება კომლის საცხოვრებელი ბინის, დამხმარე ნაგებობების, საკუთარი და იჯარით აღებული მიწის ფართობის, სამეურნეო ინვენტარის, პირუტყვის, საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის, მეზობლებთან და ხელისუფლების ორგანოებთან ურთიერთობის, როგორც ერთიანი და ერთმანეთთან დაკავშირებული ობიექტი. ამასთან, იგი უმრავლეს შემთხვევაში კომლის შემოსავლის უმთავრესი წყაროა.

საოჯახო მეურნეობას მეთაურობს კომლის უფროსი, რომელიც საკუთარი შეხედულებისამებრ უძღვება მას. იგი ვალდებულია დანიშნულებისამებრ გამოიყენოს საკუთრებაში გადაცემული მიწის ნაკვეთი. კანონით - "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" დაწესებულია, რომ "იმ მესაკუთრის მიმართ, რომელიც ზედიზედ ორი წლის განმავლობაში არ ამუშავებს მიწას, არ იხდის მიწათსარგებლობისათვის დადგენილ გადასახადს, არ უძღვება მეურნეობას და ასეთ შემთხვევაში იჯარით არ გასცემს სხვა პირზე, გამოყენებული იქნება საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები".

საოჯახო მეურნეობის მფლობელს უფლება აქვს გამოიყენოს დაქირავებული მუშახელი, როგორც ქვეყანაში არსებული წესის მიხედვით, ასევე კერძო მოლაპარაკების საფუძველზე.

საქართველოს ისეთი მთიანი მხარის პირობებში, როგორიცაა აჭარა და სადაც წარმოების მეტად რთული ბუნებრივი პირობებია (შეუძლებელია ტექნიკის გამოყენება, სამუშაოები ხელით სრულდება), საკარმიდამო (ინდივიდუალურ) სექტორს უნდა მივანიჭოთ უპირატესობა. იგი, ჩვენი აზრით, დიდხანს იქნება მთის ზონაში მეწარმეობის განვითარების ძირითადი ფორმა. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების პოტენციალი, რომელიც არახელსაყრელ ბუნებრივ პირობებში არსებობს, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებლად გამოყენებული უნდა იქნეს. ამ ფუნქციის შესრულება საკარმიდამო სექტორს უკეთ შეუძლია, ოღონდ ამისათვის საჭირო იქნება შესაბამისი პირობების შექმნა.

არის მეორე ფაქტორიც, რომელიც ზრდის საოჯახო მეურნეობის მნიშვნელობას. როგორც ცნობილია, მიწის პრივატიზების შედეგად, რომელიც დიდი ხარვეზებით ჩატარდა, კერძო სექტორს გადაეცა ვენახებისა და ხილის ბაღების 80%-ზე მეტი. ქვეყანაში პირუტყვი და ფრინველი მხოლოდ კერძო სექტორს გააჩნია და საკმაოდ ინტენსიურადაც ვითარდება. დავას არ იწვევს ისიც, რომ უახლოეს თვალსაწიერში საოჯახო მეურნეობები იქნებიან ყურძნის, ხილის, ციტრუსის, ხორცის, რძის, ბოსტნეულის და რიგი სხვა პროდუქტების ძირითადი მწარმოებელი. ყველა შემთხვევაში ასე იქნება მანამ, სანამ ფერმერული მეურნეობები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციული ფორმები არ გახდებიან ოჯახური მეურნეობების რეალური კონკურენტები, სანამ თვით ბაზრის მოთხოვნა არ გვაიძულებს სამრეწველო ტიპის ბაღ-ვენახების

და მეცხოველეობის ობიექტების შექმნა-ჩამოყალიბებას. ფერმათა გამსხვილების პროცესი დიდი ხანია მიმდინარეობს მსოფლიოში და მიწის ბაზრის ჩამოყალიბებისთანავე იგი ჩვენთანაც განვითარდება.

გარდა რთული ვერტიკალური ზონალობისა, რელიეფის დახრილობისა და სიჭრელისა, სახნავი მიწების დიდი ნაწილი აჭარაში და განსაკუთრებით მის მთის ზონაში, წარმოდგენილია მცირე კონტურებიან ნაკვეთების სახით დიდი ქანობის ფერდობებზე, სადაც გაძნელებულია მობილური ტექნიკის გამოყენება და იგი ძირითადად ხელითა და ცოცხალი გამწევი ძალით მუშავდება. ყოველივე ეს ადასტურებს ჩვენს პროგნოზს იმის შესახებ, რომ საქართველო მცირე და საშუალო სიდიდის, მაგრამ მრავალფეროვანი აგრარული წარმოების ქვეყანა იქნება. ამასთან დაკავშირებით, უმართებულოდ გვეჩვენება "მეწარმეთა შესახებ" კანონის 2.1 მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ "სამეწარმეო საქმიანობად არ ჩაითვლება ფიზიკური პირების, ე.ი. საოჯახო მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა". [66]

პირდაპირ ვიტყვით, კანონმდებლობა არ ცნობს მეურნეობრიობის ფორმას, რომელიც ქვეყანას უზრუნველყოფს ძირითადი სასურსათო პროდუქტებით. ეს ამ კანონის დიდი ხარვეზია და იგი უნდა გასწორდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სერიოზული სიძნელეები შეიქმნება საოჯახო მეურნეობებთან სახელმწიფო ურთიერთობების დარეგულირების საქმეში.

აგრობიზნესის ამა თუ იმ სახეობის ჩამოყალიბება და რეგისტრაციაში გატარება, როგორი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისაც არ უნდა იყოს, სასურველ შედეგს ვერ მოგვიტანს, თუ არ შეიქმნება მათი საქმიანობისათვის ხელსაყრელი პირობები.

განსახელმწიფოებრიობა თვითმიზანი არ არის, ამ პროცესმა უნდა უზრუნველყოს შრომითი მოტივაციის მკვეთრი გაზრდა, წარმოების ეფექტიანობისა და შრომის მწარმოებლურობის ამაღლება. ასეთია მეწარმე-მესაკუთრის ბუნება და იგი არ დააყოვნებს უკუგებას. სხვა შემთხვევაში განსახელმწიფოებრიობას მოსდევს კრიზისი და წარმოების დაცემა, რომელიც მთელი ძალით დაატყდა თავს საქართველოს და მათ შორის საკვლევ რეგიონსაც.

მიგვაჩნია, რომ განსახელმწიფოებრიობა, როგორც სოფლის მეურნეობის რეფორმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, დიდი დარღვევებით წარიმართა, იგი ერთდროულად და ერთნაირად შეეხო მსხვილი და წვრილი, რენტაბელური და არარენტაბელური სასაქონლო პროდუქციის მწარმოებელ საწარმოებს. ერთბაშად მოიშალა სურსათის სახელმწიფო რესურსების ფორმირების სისტემა. ამ მდგომარეობიდან გამოსავალს იმაში ვხედავთ, რომ ყოველ მხრივ დაჩქარდეს პროცესი ახალი ტიპის მეწარმეთა ფორმირებისა და მათი საქმიანობისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად. სააქციო და სხვა სახის საზოგადოებები, ასევე კოლმეურნეობების ბაზაზე დაფუძნებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები რეალურად უნდა გახდნენ დამოუკიდებელი და თავისუფალი მეწარმეები.

აღნიშნულთან ერთად, საქართველოს აგროწარმოების უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი ნიშანია დაწვრილერთეულებული (პარცელური) მეურნეობის დომინირება. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ერთ ჰექტრიან მეურნეობებს არ ძალუძთ ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფის სტრატეგიული ამოცანის გადაჭრა. ეს შესაძლებელია მხოლოდ ოპტიმალური სიდიდის ფერმებში. ამ უკანასკნელთა ფორმირება კი უნდა

განხორციელდეს მიწის წვრილ მესაკუთრეთა თავისუფალი და ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე. ეს ხელს შეუწყობს მცირეფართობიან მეურნეობათა თანდათანობით რეალურ ფერმებად გარდაქმნას, მიწის რესურსების რაციონალურ გამოყენებას და რენტაბელური სასაქონლო მეურნეობების ჩამოყალიბებას კოოპერირების გზით, სადაც ერთნაირად იქნება უზრუნველყოფილი როგორც კოოპერაციული გაერთიანების წევრთა (მიწის მესაკუთრეთა), ასევე ქვეყნის სასურსათო ინტერესები.

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სპეციალიზაციის ზონების და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით მიწის ბაზრის ჩამოყალიბების შედეგად, ქვეყანაში და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის მთის ზონაში, გვექნება 3-5, 5-10, 10-20 ჰექტრიან მეურნეობათა სიჭარბე, რაც არ გამორიცხავს ბარის ზონაში სხვადასხვა კულტურათა (განსაკუთრებით ჩაის) წარმოების ტექნოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, 50-60 ჰა, 100-200 ჰა და მეტი მიწის ფართობების მქონე მეურნეობათა არსებობას. მცირე და საშუალო სიდიდის ფერმათა სიჭარბე არ არის საგანგაშო, რამდენადაც ქვეყნების უმრავლესობაში მათი ოპტიმალური სიდიდე ადგილობრივი პირობებით განისაზღვრება და ზომით საკმაოდ განსხვავებულია. აჭარაში მცირე და საშუალო სიდიდის ფერმერთა უპირატესობას მაინც რეგიონის ბუნებრივი პირობები და დარგის მრავალპროფილიანობა განაპირობებს.

თავისუფალი მეწარმეობა იმასაც გულისხმობს, რომ წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია უნდა უზრუნველყოს თვითონ მეწარმემ, რომელიც თავისი მნიშვნელობით პროდუქციის წარმოების ორგანიზაციაზე ნაკლები არ არის. ამ მიმართულებით ფართო გზა უნდა

გაეხსნას სასაქონლო ბირჟებს, საშუამავლო კანტორებს, მეწარმეთა სამარკეტინგო მომსახურებასა და წარმოებული პროდუქციის გასაღების ისეთი ფორმების მონახვას, რაც მეწარმეს გაანთავისუფლებს ამ საზრუნავისაგან და ეკონომიკურად არ დააზარალებს. იმისათვის, რომ სახელმწიფო და კერძო სექტორების შესაძლებლობათა რაციონალური გამოყენების საფუძველზე მივაღწიოთ საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას სურსათზე, აუცილებლად მიგვაჩნია ჩამოვაყალიბოთ ყველა სახის სასურსათო ბაზარი, რომელიც დღეს ჩვენ არა გვაქვს და მასში მარკეტინგული მართვის ორგანიზაციამ თავისი გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას.

აგრომწარმოებელთა მომსახურების ქსელის უმოკლეს ვადაში ორგანიზება შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო რეგულირებასა და სოფლის მეურნეობისადმი მხარდამჭერი პოლიტიკის არსებობის პირობებში.

აგრობიზნესის წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრა გადაუდებლად მოითხოვს მეწარმეებთან პარტნიორობას, სამეწარმეო საქმიანობისადმი მხარდაჭერას, შესატყვისი ეკონომიკური გარემოს შექმნას, დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მიმართულებათა გარდაქმნას, რაც უფრო ეფექტიანად ჩართავს სამეურნეო ბრუნვაში არსებულ რესურსებს.

3.2. საწარმოო პერსონალის მართვისა და ხელმძღვანელობის სტილის სრულყოფის საკითხები სასოფლო_სამეურნეო საწარმოთა ახალ ორგანიზაციულ_სამართლებრივ ფორმებში

საწარმოო პერსონალისა და პიროვნების, მათი ურთიერთობების საკითხს არასოდეს არ ჰქონია ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორც მან თანამედროვე პირობებში_ქვეყნის გეგმიანი ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლისას შეიძინა.

განვითარების ყოველ კონკრეტულ, ისტორიულ საფეხურზე ადამიანებს არსებობა და მოღვაწეობა უხდებოდა ერთად, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში. ისინი ყალიბდებიან გარკვეულ ჯგუფებად, შრომით პერსონალად, ქმნიან ამა თუ იმ მასშტაბის გაერთიანებას. ადამიანთა ამ განვითარების უმაღლესი ფორმაა საზოგადოება, შუალედური ფორმა_შრომითი (საწარმოო) პერსონალი, ხოლო საწყისი ფორმა კი ერთეული პიროვნება.

როდესაც ლაპარაკია საწარმოო პერსონალზე, პირველ რიგში წარმოგვიდგება ადამიანთა გარკვეული ჯგუფები, მათი განსაზღვრული ერთობლიობა. შრომითი პერსონალი ცალკეული ადამიანების გაერთიანებით იქმნება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შრომითი პერსონალი არა მარტო ადამიანთა თავმოყრით, მათი შეჯგუფებით არ იქმნება, რადგანაც ადამიანთა ნებისმიერი გაერთიანება საწარმოო პერსონალს არ წარმოადგენს. ადამიანთა გაერთიანება შეიძლება დროებითი ან შემთხვევითი იყოს (ავტობუსში, მატარებელში ან თვითმფრინავში მგზავრობისას; კინოში, თეატრში და სხვა ერთობლივ

სანახაობებზე დასწრებისას). მაშასადამე, ადამიანთა ყოველგვარი ერთობლიობა, მათი კრებადობა, თუნდაც იგი გარკვეულ საფუძველს ემყარებოდეს, პერსონალს არ გვაძლევს. ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ განსაზღვრულ საფუძველზე ადამიანთა გაერთიანება საწარმოო პერსონალის ერთ_ერთი აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი ნიშანია.

საწარმოო პერსონალის თითოეულ წევრს განსაკუთრებული ადგილი უკავია საზოგადოებრივი ფუნქციის შემსრულებლებს შორის. მისი მოქმედება მჭიდროდ არის დაკავშირებული ყველა დანარჩენის მოქმედებასთან და პირიქით. ასეთი ერთობის მიღწევა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც მათ საერთო საქმიანობა, საერთო ამოცანები, მიზნები და ინტერესები ამოძრავებთ. ეს რასაკვირველია, არ გამორიცხავს პერსონალის თითოეული წევრის პირად ინტერესებს და ამოცანებს, ადამიანური მისწრაფების ნაირსახეობას, რაც პიროვნების ინდივიდუალური თავისებურებებით, მისი სპეციფიკური მდგომარეობით აიხსნება. თუმცა ადამიანი, რომელიც საწარმოო პერსონალის მთლიანობას ერწყმის, მისი ცხოვრებით ცხოვრობს და მის მიზანს ინაწილებს. ყოველი საწარმოო პერსონალისათვის ნიშანდობლივია შედარებითი სიმყარე და სტაბილურობა. მას აქვს დასაწყისი დროში. იგი იქმნება, იცვლება და ვითარდება.

რამდენადაც საზოგადოების არსებობის და განვითარების განმსაზღვრელი ძალა და საფუძველი მატერიალური წარმოება, შრომითი საქმიანობაა, ამდენად საწარმოო პერსონალად ადამიანთა შერწყმის ფუძე შრომაა. მართალია ადამიანებს სხვა ნიშნითაც შეუძლიათ გაერთიანდნენ

პერსონალად, მაგრამ მათ შორის მთავარი და განმსაზღვრელია შრომითი (საწარმოო) პერსონალი.

საწარმოო პერსონალებს ერთმანეთისაგან განასხვავებენ რაოდენობრივი შემადგენლობის ნიშნით, რომლის მიხედვითაც შეიძლება იყოს დიდი ან პატარა (მცირე) შრომითი პერსონალები. პერსონალის შემადგენლობის რიცხოვნობა სრულებითაც არ არის უმნიშვნელო, რადგანაც მის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტა ხდება წევრების ერთობლივი ძალისხმევით. ამიტომ, პერსონალის რაოდენობრივი მხარე ყოველთვის კონკრეტულ მიდგომას და ანალიზს საჭიროებს.

საწარმოო პერსონალი სხვადსხვაგვარია ასაკობრივი ნიშნითაც, თუ როგორია წევრთა საერთო ასაკი, შეიძლება ვიმსჯელოთ ახალგაზრდულ და არაახალგაზრდულ პერსონალზე. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ასაკობრივ მაჩვენებლებს, თაობათა შორის ურთიერთობებს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

ეროვნული მეურნეობის დარგებში მომუშავე შრომითი პერსონალის მრავალსახეობა იწვევს მათი კლასიფიკაციის აუცილებლობას. Kკლასიფიკაციის ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს საკუთრების ფორმა, რომელიც განსაზღვრავს დამოკიდებულებას წარმოების საშუალებებისადმი და ურთიერთშორის. მეორე კრიტერიუმია პერსონალის დაყოფა მათი საქმიანობისა და წარმოებული პროდუქტის მიმართ დამოკიდებულების მიხედვით. ამ ნიშნით შეიძლება იყოს: 1 მწარმოებლური შრომითი პერსონალი; 2 არასაწარმოო სფეროს პერსონალი, რომლის საბოლოო პროდუქტს წარმოადგენს სხვადასხვა სახის მომსახურება (საბინაო, კომუნალური, საყოფაცხოვრებო და ა.შ); 3

ჯანდაცვისა და განათლების სფეროს პერსონალი; 4 სამეცნიერო დაწესებულებათა პერსონალი და 5 მართვის ორგანოების პერსონალი.

პერსონალთა უმეტესობა მიეკუთვნება პირველ ჯგუფს. ცნობილია, შრომით პერსონალში მუშაკების გაერთიანების სამი დონე: 1 საწარმოს (ფირმის) მთლიანი პერსონალი და იგი ეკუთვნის გაერთიანების უმაღლეს დონეს; 2 გარდამავალი დონე ანუ მეორადი პერსონალი და 3 პირველადი პერსონალი ანუ დაბალი დონე, რომელშიც ფორმირდება მუშაკთა შრომის სოციალური თვისებები და ქცევის ნორმები.

შრომითი პერსონალის როლი ვლინდება მათ მიერ შესრულებული ფუნქციებით, რომელშიც გამოიხატება მათი მრავალმხრივი უფლებამოსილება. შრომით პერსონალს ახასიათებს შემდეგი ფუნქციები: ა) ზნეობრივი ფუნქცია, რომელიც მდგომარეობს პროდუქციის წარმოებაში ან მომსახურების გაწევაში მომხმარებლების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად; ბ) მუშაკების სოციალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელი ფუნქცია, რომლის დროსაც ორგანიზაციის მეშვეობით მუშაკი უზრუნველყოფილია მატერიალური დოვლათით; გ) სოციალურ_ინტეგრაციული ფუნქცია, რომელიც ზემოქმედებს შრომის სფეროში მუშაკების ქცევაზე; ეს ფუნქცია მოწოდებულია იმისათვის, რომ ორგანიზაციამ მიაღწიოს დასახულ მიზნებს და დ) საწარმოო_სამეურნეო და საზოგადოებრივი პოლიტიკის პრაქტიკაში რეალიზაციის ფუნქცია.

მართალია, საწარმოო პერსონალი საზოგადოების განუყოფელი ნაწილია და მოქმედებს ისტორიულად ჩამოყალიბებული საერთო ნორმებისა და ტრადიციების მიხედვით, მაგრამ, ამასთან ერთად, ცალკეული შრომითი პერსონალისათვის დამახასიათებელია მოქმედების ინდივიდუალური თავისებურებანი, რომელთა შესწავლა და

მმართველობით საქმიანობაში გათვალისწინება ობიექტური აუცილებლობაა. სწორედ ამიტომ, ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს პერსონალის საზოგადოებრივი აქტიურობის ყოველმხრივი ამაღლებაა. აქედან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა აქვს მართვის მუშაკების მიერ იმის ცოდნას, თუ მუშაკი რამდენად კმაყოფილია თავისი საწარმოო პერსონალით და იქ დამკვიდრებული ურთიერთობებით. ცნობილია, რომ ადამიანი საწარმოო პერსონალში იქცევა სხვაგვარად, ვიდრე როცა მარტოა. აღსანიშნავია ისიც, რომ ადამიანი სხვადასხვა პერსონალთან სხვადასხვანაირად გრძნობს თავს. თუ პიროვნების მიზნები და ინტერესები არ ემთხვევა პერსონალის მიზნებსა და ინტერესებს, მაშინ პიროვნება შეზღუდულია და პირიქით, თუ მათი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ იქმნება ჯანსაღი სოციალურ_ფსიქოლოგიური კლიმატი და თვით პიროვნება განიცდის სულიერ აღმავლობას, რაც, თავის მხრივ, დიდად ზრდის მის შრომის აქტიურობას და წარმოების შედეგიანობას.

საწარმოო პერსონალის საქმიანობაში ჯანსაღი სოციალურ_ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნა, წარმოების წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა დიდადაა დამოკიდებული ხელმძღვანელების მუშაობის სტილზე. ყოველი ხელმძღვანელის (მენეჯერის) საქმიანობის წარმატება იმით განისაზღვრება თუ რამდენად შესწევს უნარი გამონახოს საერთო ენა თავის ხელქვეითებთან, განაწყოს პერსონალი საერთო საქმის გადაწყვეტისათვის.

საწარმოო პერსონალის ეფექტიანი მართვა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სისტემატიურად ხორციელდება აღმზრდელობითი ფუნქცია. თავის ყოველდღიურ საქმიანობაში წარმოების ხელმძღვანელს უხდება სრულიად განსხვავებული საკითხების

გადაწყვეტა, რომლებიც დაკავშირებულია ტექნიკისა და ტექნოლოგიის, ადამიანთა ურთიერთობების მართვასთან. ხელმძღვანელობის სტილი ის წესია, რომლითაც პიროვნება ან პიროვნებათა ჯგუფი საწარმოო პროცესში ახორციელებს მმართველობით ფუნქციებს. თუ რა სახის სტილი არსებობს და რომელია მათ შორის ეფექტიანი, დიდი ხანია ეს საკითხი იპყრობს მკვლევართა ყურადღებას. საინტერესო კვლევები ჩაატარა ამ პრობლემებზე გერმანელმა პროფესორმა კურტ ლევინმა, რომელმაც გამოყო ხელმძღვანელობის სამი განსხვავებული სტილი: ,,ავტორიტარული ხელმძღვანელობა", ,,დემოკრატიული ხელმძღვანელობა" და ,,ნებაზე მიმშვები ხელმძღვანელობა". მან მოგვცა აღნიშნულ სტილთა როგორც ფორმალური ასევე შინაარსობრივი მხარე.

ხელმძღვანელობის სტილის ფორმალური მხარე: ა) ავტორიტალური სტილი_ ხელმძღვანელი ყველა მითითებას იძლევა საქმიანად, მოკლედ, პირდაპირ. განკარგულებებს იძლევა დამუქრებით, ყოველგვარი ხათრისა და რიდის გარეშე, ლაკონური და მკვეთრი მბრძანებლური ტონით, შექება და გაკიცხვა სრულიად სუბიექტური. ადამიანის გრძნობები, განზრახვები, რეაქციები იშვიათად მიიღება მხედველობაში. ისინი მუქარის გზით იგნორირებული და დახშობილია.

ბ) დემოკრატიული სტილი_ ყველა ღონისძიების გატარებისას შემოთავაზების ფორმით იმოსება. მეტყველება ნორმალური, რბილი, კოლეგიალური ტონით, შექება და გაკიცხვა დემოკრატიული რჩევის ფორმაში ეძლევათ. მხედველობაში მიიღება ადამიანების გრძნობები, სურვილები, რეაქციები, მათი აზრი. განკარგულებებს და აკრძალვებს იძლევა დემოკრატიულად.

გ) ნებაზე მიმშვები სტილი_ კონვენციალური ტონი, შექების, გაკიცხვის, წინადადებების უქონლობა. აკრძალვებისა და განკარგულებების გამოუთქმელობა, რადგანაც მათ მაინც არ გაუწევენ ანგარიშს. მისი სოციალურ_სივრცობრივი პოზიციაა შეუმჩნევლად განზე დგომა.

ხელმძღვანელობის სტილის შინაარსობრივი მხარე: ა) ავტორიტარული სტილი_ყოველი ღონისძიება წინასწარ იგეგმება ხელმძღვანელის მიერ და ეს ეხება როგორც პროფესიულ, ისე სოციალურ მოქმედებას. ამ დროს განისაზღვრება მხოლოდ მოსალოდნელი შრომითი ოპერაციები, ხოლო სამუშაოს შემდგომი ბედი და მიზნები გაურკვეველი რჩება.

ბ) დემოკრატიული სტილი_ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიება იგეგმება და წყდება ჯგუფთან მსჯელობის გზით და მის რეალიზაციაზე ყველა პასუხისმგებელია. ეს ეხება როგორც პროფესიულ ისე სოციალურ მოქმედებას.

გ) ნებაზე მიმშვები სტილი_ ადამიანები მიშვებულნი არიან თავიანთ ნებაზე, ხელმძღვანელი არავითარ მითითებებს არ იძლევა. მის ხმას ჯგუფის წევრები ანგარიშს არ უწევენ. ხელმძღვანელი აქტიურად არ მოქმედებს და მონაწილეობს საქმის მსვლელობაში. ასევე იშვიათად ესწრება მნიშვნელოვან ღონისძიებებს.

რუსი მეცნიერ_ეკონომისტი პროფესორი ი. ბ. კოროლევიც გამოყოფს ხელმძღვანელობის სტილის სამ ტიპს: ა) ავტორიტარული სტილი, ბ) დემოკრატიული სტილი და გ) ლიბერალური სტილი. [90]

წარმოდგენილი მსჯელობიდან სრულიად ნათელია თითოეული სტილით ხელმძღვანელობის თავისებურებანი. როგორც გამოკვლევებმა

გვიჩვენა, საკვლევ რეგიონში საწარმოთა (ფირმათა) უმრავლესობაში იერარქიის მაღალ საფეხურზე (დირექტორები) ძირითადად გამოიყენება ავტორიტარული სტილი (იშვიათ შემთხვევაში დემოკრატიული). წარმოების მართვისას ასეთი სტილი ახშობს ხელქვეითებისა და პერსონალის წევრების ინიციატივას, შემოქმედებით საქმიანობას. ეს ფაქტორი განაპირობებს იმას, რომ ხელმძღვანელისადმი პატივისმცემლური დამოკიდებულება ან არ არსებობს, ან მოჩვენებით ხასიათს ატარებს. რაც შეეხება იერარქიის საშუალო და დაბალი დონის ხელმძღვანელობის მუშაობის სტილს, ისინი თავიანთ საქმიანობას წარმართავენ მათზე მაღალ საფეხურზე მდგომი ხელმძღვანელის უშუალო მითითებებით და ნაკლებად ჩანს მათი როლი გადაწყვეტილებების მიღებისას. ამიტომაც მათი სტილი უფრო მეტად ლიბერალურ-დემოკრატიულ ხასიათს ატარებს. სამეწარმეო საქმიანობაში კი ხელმძღვანელობის ასეთი სტილით (მართვის მაღალ საფეხურზე-ავტორიტარული, დაბალ საფეხურზე_ ლიბერალურ_დემოკრატიული) მუშაობის პირობებში შეუძლებელია საწარმომ (ფირმამ) და მასში დასაქმებულმა პერსონალმა თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს მიაღწიოს. აღნიშნული სტილით წარმოების მართვისას უარესდება შრომითი პერსონალის სოციალურ_ფსიქოლოგიური კლიმატიც, რაც თავის უარყოფით გამოხატულებას პოულობს ადამიანთა შორის ურთიერთობებზე, როგორც ჰორიზონტალზე (ისეთი ურთიერთობა, როდესაც ადამიანები არ ექვემდებარებიან ერთმანეთს და ფუნქციონალურად ერთ იერარქიულ დონეზე იმყოფებიან), ისე ვერტიკალზე (ურთიერთობა ხელმძღვანელსა და ხელქვეითს შორის). თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერთი სტილით მუშაობა თითქმის

შეუძლებელია. ამიტომ, ორივე სტილს (ავტორიტარული, დემოკრატიული) არსებობის უფლება აქვს. მაგრამ, როდესაც საკითხი დგება ერთ_ერთის არჩევის შესახებ, აუცილებელია სიტუაციური მიდგომა. ამა თუ იმ სტილის კონკრეტული გამოყენება დიდად არის დამოკიდებული ხელმძღვანელის ინდივიდუალურ თვისებებზე, მის ცოდნაზე, ადამიანებთან კონტაქტის დამყარების უნარზე, კომპეტენტერურობაზე, ხასიათზე, ტემპერამენტზე და სხვა.

მიგვაჩნია და პრაქტიკაც ადასტურებს, რომ ამა თუ იმ სტილის ეფექტიანობა დიდად არის დამოკიდებული თვით პერსონალის (ჯგუფის) ხასიათზე. ისეთ შრომით პერსონალთან, სადაც ჯგუფის შემჭიდროების კოეფიციენტი მაღალია, სადაც ყველა წევრი დაინტერესებულია წარმოების წინაშე დასმული ამოცანების დროული და წარმატებული გადაწყვეტით, მისაღებია ხელმძღვანელობის დემოკრატიული სტილი. მაგრამ, თუ ჯგუფი იმდენად არ არის შემჭიდროებული, მტკიცე და მყარი, მაინცდამაინც არ არის დაინტერესებული პრობლემების გადაწყვეტით, მაშინ ხელმძღვანელმა, რა თქმა უნდა, ავტორიტარულ სტილს უნდა მიმართოს. დაკვირვებული და გამჭრიახი ხელმძღვანელი კი როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში უმტკინვეულოდ, ზედმეტი პრობლემებისა და დაძაბულობის გარეშე ათავსებს თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობის ავტორიტარულ და დემოკრატიულ სტილს. [17]

3.3. წვრილი კერძო ოჯახური მეურნეობების გამსხვილებისა და ინტეგრირების შესაძლებლობები

საქართველოში განხორციელებული აგრარული რეფორმის საფუძველზე სახელმწიფო და კოლექტიური მეურნეობების ნაცვლად ფუნქციონირება დაიწყო მრავალმა წვრილმა, კერძო , ინდივიდუალურმა გლეხურმა (ოჯახურმა) მეურნეობამ, რომლებიც დღეს ძირითად სასოფლო-სამეურნეო საწარმოო ერთეულებად ითვლებიან. მათი მიზნები მსხვილ მეურნეობებთან შედარებით განსხვავებულია და ძირითადში მიმართულია საკუთარი სასურსათო უსაფრთხოების რისკის შემცირების, ოჯახის წევრების ნაწილობრივ დასაქმების და სხვა კუთხით.

მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში აგრარული წარმოება ფერმერული მეურნეობის ბაზაზე ხორციელდება და ხასიათდება მსხვილი მეურნეობების უპირატესობით წვრილთან შედარებით, მაგრამ, მეორეს მხრივ, მრავალი ათეული წლის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამ ქვეყნებში წვრილი მეურნეობები მსხვილდებოდა არა ხელაღებითა და ერთბაშად, არამედ თანდათანობით. ჩვენთანაც ასე მოხდება სახელმწიფოს ხელშეწყობით.

ფერმერული მეურნეობა ტიპიური და დამახასიათებელია თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისათვის და ისტორიულად აღმოცენდა იმ ქვეყნებში, რომელთაც ფეოდალიზმის ეპოქა არ გაუვლიათ (აშშ, ავსტრალია, ახალი ზელანდია და სხვა). თავდაპირველად ისინი არსებობდნენ როგორც საოჯახო ფერმები (საქართველოში არსებული ოჯახური მეურნეობების მსგავსი), რომლებიც შემდგომ გარდაიქმნენ

მსხვილ ფერმერულ მეურნეობებად. დღევანდელი ფერმერული მეურნეობა კაპიტალიზმის ეპოქის პირმშოა. თვით ფერმერი ისეთი მეწარმეა, რომელიც აწარმოებს სოფლის მეურნეობის პროდუქციას, ახდენს მის რეალიზაციას და ძირითად მიზნად ისახავს მოგების მიღებას.

გარდამავალ პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მაცხოვრებლებს საკარმიდამო ნაკვეთების გარკვეულ სიდიდემდე შევსების მიზნით უსასყიდლოდ გადაეცათ მიწის ნაკვეთები გლეხური (ოჯახური) მეურნეობების მოსაწყობად, რითაც პრაქტიკულად ისინი ჩამოყალიბდნენ წვრილ, კერძო გლეხურ მეურნეობებად.

ცხადია, ასეთი ტიპის მეურნეობათა ფორმირება ხელს უწყობს მთისა და მთისწინა რეგიონში მოსახლეობის ადგილზე დამაგრებასა და დასაქმებას. ისინი განსაკუთრებულ სოციალურ-ეკონომიკურ როლს ასრულებენ სოფლის ლანდშაფტის, ინფრასტრუქტურის შენარჩუნების, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების საქმეში და სხვა. მათთვის უფრო იოლია საწარმოო სპეციალიზაციის შეცვლა და უფრო მოქნილნი არიან გადაერთონ ისეთი პროდუქციის წარმოებაზე, რომელზეც ბაზარზე არის მოთხოვნილება მოცემულ დროისათვის.

იმისათვის, რომ გლეხური (ოჯახური) მეურნეობები გარდაიქმნან ფერმერულ მეურნეობებად საჭიროა პარალელურად განვითარდეს შესაბამისი საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა, სერვისის სამსახურები და სხვა, რომელთა გარეშეც შეუძლებელია სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება.

მართალია, გლეხური (ოჯახური) მეურნეობები დღეის მდგომარეობით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკასა და სასურსათო პრობლემის გადაჭრაში, რადგან

მათი წილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში განუხრელად იზრდება (ისინი აწარმოებენ კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, თამბაქოს, ციტრუსის, ხორცის, რძის 99-100%-ს). ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მათ მიერ მოწეული პროდუქციის მოცულობით შესაძლებელი არის დანარჩენი მოსახლეობის სრულად დაკმაყოფილება სურსათით. იმისათვის, რომ ეს პრობლემაც გადაიჭრას, საჭიროა მათი რეალურ ფერმერულ მეურნეობებად გარდაქმნა. დარგის შემდგომი განვითარების, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნის და სხვა მრავალი ფაქტორის გამო, მიზანშეწონილია მათი გამსხვილება (ინტეგრაცია) გარკვეულ ოპტიმალურ სიდიდემდე.

ამჟამად გლეხური (ოჯახური) მეურნეობები რეგიონში ასრულებენ შემდეგ მნიშვნელოვან როლს, რამდენადაც:

- უზრუნველყოფენ განსაკუთრებით შრომატევადი პროდუქციის (თამბაქო, კარტოფილი, მეცხოველეობის პროდუქტები) წარმოებას;

- შეუძლიათ მიიღონ მეტი პროდუქცია ფართობის ერთეულიდან დანაკარგების შემცირებისა და კეთილსინდისიერი მუშაობის საფუძველზე;

- ხელს უწყობენ შრომითი რესურსების უფრო სრულყოფილად გამოყენებას;

- უზრუნველყოფენ მოზარდებში შრომისადმი სიყვარულის ჩანერგვას;

- ქმნიან პოზიტიურ შრომით და ფსიქოლოგიურ განწყობას.

- უზრუნველყოფენ დანაზოგების დაგროვებას ოჯახური მეურნეობის შემდგომში ფერმერულ მეურნეობად გარდაქმნისათვის. [95]

საჭიროა აღინიშნოს, რომ გლეხური (ოჯახური) მეურნეობები წარმოადგენენ ნამდვილი, კომერციული ფერმერული მეურნეობების

შექმნის პირველ ეტაპს. იმისათვის, რომ მათგან თუნდაც მცირე ნაწილი მაინც გადავიდეს კომერციულ ფერმათა კატეგორიაში, საჭიროა ღონისძიებათა მთელი სისტემის გატარება გლეხებისადმი ყოველმხრივი დახმარების მიზნით მათ შრომით საქმიანობაში, რაშიც, პირველ რიგში, იგულისხმება მათი დაკრედიტებისა და სხვა პირობების გაუმჯობესება.

დღეს ოჯახური მეურნეობებისადმი დასმულია ამოცანა – გახდნენ პირველდაწყებითი საფუძველი სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაძღოლის ისეთი ორგანიზაციული ფორმისა, როგორიცაა კომერციული ფერმერული მეურნეობა. მისი ფორმირება უკვე დაწყებულია, რასაც ხელს უწყობს მთავრობის დადგენილებები შეზღუდვების მოხსნის, მიწის არენდით აღების, მისი ყიდვა-გაყიდვის უფლების მიცემის თაობაზე.

ოჯახური მეურნეობების ფერმერულ მეურნეობებად გარდასაქმნელად საჭიროა დამატებითი მიწის იჯარით აღებით და კოოპერირებით გავზარდოთ მათი სიდიდეები, მწარმოებლურობა და საქონლიანობის დონე. გარდაქმნა უნდა მოხდეს მაშინ, როცა მოხდება საბაზრო ურთიერთობათა სხვა სრულფასოვანი სუბიექტების (მომარაგების, მომსახურეობის, გადამუშავების, გასაღების და ა.შ.), აგრეთვე საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის, მიწის, ძირითადი საწარმოო საშუალებების და კაპიტალის ბაზრის ფორმირება, როცა წარმოება უკვე დაემყარება ქართველი გლეხის შრომით ეთიკას, რომელიც დაკავშირებული უნდა იყოს რისკთან და ინიციატივასთან, გერგილიანობასთან, რომელიც გამორიცხავს უპასუხისმგებლობას და სხვის კმაყოფაზე ყოფნის სოციალურ სინდრომს. ამიტომ ამ პროცესის განვითარებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია თავიდან ავიცილოთ ცდუნება მისი ფორსირებული წესით განხორციელებისა.

როგორც ჩვენი გამოკვლევები და საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, იმისათვის რომ მეურნეობა გახდეს კომერციული საქონელმწარმოებელი (განსაკუთრებით სამთო მიწათმოქმედების პირობებში), მემცენარეობის პროდუქციის საწარმოებლად მას საკუთრებაში ან იჯარით აღებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ 5 ჰექტარი მიწის ფართობი, ხოლო მეცხოველეობის პროდუქციის საწარმოებლად კი – 10 ჰექტარი, რათა პროდუქციის რეალიზაციით მიღებულმა შემოსავალმა საშუალება მისცეს მას, როგორც მინიმუმი, დააკმაყოფილოს ოჯახის სამომხმარებლო საჭიროებანი და უზრუნველყოს წარმოების უწყვეტი ციკლი და როგორც მაქსიმუმი – განახორციელოს აგრეთვე გაფართოებული კვლავწარმოება და მოახდინოს კაპიტალის დაგროვება.

იმისათვის, რომ მოხდეს წვრილი ოჯახური მეურნეობის კომერციულ ფერმერულ მეურნეობად გარდაქმნა, აუცილებელია გლეხში ჩამოყალიბდეს ახალი ფსიქოლოგია: მეურნე-მეპატრონის, მესაკუთრის ფსიქოლოგია. ეს არც თუ ისე იოლია. გლეხი, რომელიც დააპირებს ფერმერობას, დარწმუნებული უნდა იყოს თავისი არჩევანის სისწორეში და მის სარფიანობაში, თავის ძალაში, მზად იყოს რისკის და ბედის ყოველგვარი მუხანათობისადმი წინააღმდეგობის გაწევისათვის.

გლეხური (ოჯახური) მეურნეობების განმტკიცებისა და განვითარების ნორმალური პირობების შექმნისათვის აუცილებელია მათი კოოპერირება ასოციაციებში ან კოოპერატივებში, რომლებიც შეძლებენ წარმატებით გადაწყვიტონ მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხები. ასეთი ასოციაციები და კოოპერატივები უნდა უზრუნველყოფდნენ ოჯახურ მეურნეობებს მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით და პროდუქციის გასაღებით, იცავდნენ კოოპერატივში

შემავალ სუბიექტთა ინტერესებს ყველა ინსტანციაში. ამ ასოციაციებსა და კოოპერატივებს შეიძლება ჰქონდეთ მრავალპროფილიანი ხასიათიც, გადაწყვიტონ და გაუწიონ ოჯახურ მეურნეობებს სხვადასხვა სახის საწარმოო, მომარაგება-გასაღების, საკრედიტო, სოციალური და სხვა მომსახურება. ასეთ კოოპერატივთა საქმიანობაში მთავარი უნდა იყოს არა მარტო მონაწილე გლეხურ მეურნეობათა ინტერესების დაცვა, არამედ მოგების უზრუნველყოფაც, რომელიც გაუნაწილდებათ მათ წილის მიხედვით.

გლეხთა ასოციაციებსა და კოოპერატივებს შეუძლიათ შექმნან ზოგიერთი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი ადგილობრივი, მინი საამქროები (მაგალითად, რძის, ყველის, კარაქის, არაჟნის, ხორცის, ძეხვის, სოსისის, ხილისა და ბოსტნეულის კონსერვების, ჯემების, კომპოტების, წვენების საწარმებლად და ა.შ.).

თეორია და პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ასეთი ინტეგრირება (სახელშეკრულებო საფუძველზე) გვაძლევს საწარმოო რესურსების რაციონალური გამოყენებისა და გაფართოების შესაძლებლობას.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადების, გადამუშავების და რეალიზაციის პროცესში გლეხურ (ოჯახურ) მეურნეობებს შეუძლიათ შევიდნენ კოოპერატივებში არა მარტო ერთმანეთთან, არამედ სხვა ფუნქციონირებულ კოოპერატიულ მეურნეობებთანაც.

გლეხური (ოჯახური) მეურნეობები აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაშიც, რომელიც ამჟამად ძალზე ძნელ მდგომარეობაში იმყოფება.

ბაზრის პირობებში გლეხური (ოჯახური) მეურნეობების სამეურნეო საქმიანობის აუცილებელი ნაწილი ხდება წარმოებული სასოფლო-

სამეურნეო პროდუქციის შენახვა და გადამუშავება, როგორც პირადი მოხმარებისათვის, ისე სასაქონლო მიზნითაც, რადგანაც წარმოებული პროდუქციის ნაწილის რეალიზაცია წარმოადგენს მათი ფულადი შემოსავლის ძირითად წყაროს. ერთ შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს საკუთარი მინი საამქრო, მეორე შემთხვევაში –რამოდენიმე გლეხის კოოპერირების შედეგად მცირე სიმძლავრის საწარმო, მესამე შემთხვევაში – სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი გადამამუშავებელი სამრეწველო საწარმო. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მათგან ხელსაყრელის შერჩევა ხდება თვით გლეხის მიერ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ გლეხური (ოჯახური) მეურნეობების გამსხვილების, მათი რესტრუქტურიზაციის რამოდენიმე პრინციპიალური საკითხი, რომელიც მათ ნამდვილი ფერმის სახეს მისცემს.

პირველი - გლეხურ (ოჯახურ) მეურნეობას კი არ უნდა განვიხილავდეთ, როგორც მსხვილი კოლექტიური წარმოების ალტერნატივას, არამედ როგორც მათ დამატებას, შემთავსებლებს. მართალია, ისინი დღეს წარმოადგენენ მეურნეობრიობის სრულუფლებიან ფორმას, მაგრამ მათ კი არ უნდა შეცვალონ საკუთრებითი თუ სხვა ორგანიზაციული პრინციპით მოწყობილი შედარებით მსხვილი საწარმოები, არამედ შეავსონ ისინი.

მეორე – გლეხურ (ოჯახურ) მეურნეობას პირად მოთხოვნილებაზე მეტი (სასაქონლო) პროდუქციის წარმოება შეუძლია მხოლოდ შრომის ინტენსიურობის დონის და სამუშაო დღის ხანგრძლივობის გაზრდით. ეს არახელსაყრელი პირობები მათ მალე ააღებინებს ხელს მეურნეობის გაძღოლაზე. ამიტომ დაცული უნდა იქნას ფერმერული მეურნეობის

პრიორიტეტული განვითარების პრინციპი, სხვადასხვა საკუთრების მსხვილი ფორმის მეურნეობებთან რაციონალური (ოპტიმალური) შეთანაწყობა.

მესამე – აქედან გამომდინარე, წვრილი, კერძო სტრუქტურების, გლეხური (ოჯახური) მეურნეობების გაერთიანება (მათი ინტეგრაცია) ასოციაციებში, კოოპერატივებსა და სხვა მსხვილ ორგანიზაციულ ფორმებთან აუცილებელია, რითაც ისინი მიიღებენ მსხვილი მეურნეობის ფორმას.

მეოთხე – გლეხებისათვის კოოპერაციულ და ინდივიდუალურ წარმოებაში მუშაობის თანაბარი მორალური და ეკონომიკური დაინტერესების პირობების შექმნა, რაც თავიდან აგვაცილებს სოფლად ეკონომიკური ინტერესებისათვის წარმოქმნილ წინააღმდეგობებს, რომელიც ხელის შემშლელი ფაქტორია ამ ახალი ორგანიზაციული ფორმების დამკვიდრების პროცესში.

მეხუთე – შესწავლას და დამუშავებას მოითხოვს ფერმერთა სოციალური პირობების გაუმჯობესების საკითხი, კერძოდ, მომავალ ფერმერებს საცხოვრებელი ბინა და მიწის ნაკვეთის ნაწილი ან უნდა ჰქონდეთ დასახლებულ ტერიტორიაზე და ისარგებლონ სოფლის საყოფაცხოვრებო-კომუნალური სისტემის მომსახურეობით, ხოლო მიწის ძირითადი ნაწილი დასახლებისაგან მოშორებით; ან თუ ფერმის მოწყობა მოხდება სოფლისგან გამოცალკევებულად, მაშინ დღის წესრიგში დგება სოციალური ინფრასტრუქტურის მოგვარების საკითხი, რაც დამატებით კაპიტალდაბანდებებს საჭიროებს; ან ცენტრალიზებული წესით (სახელმწიფო ან კერძო კაპიტალდაბანდებებით) მოვაწყოთ ისეთი ფერმერული მეურნეობები, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან მოწინავე

ტექნიკით და ტექნოლოგიით, და გადავცეთ ისინი ფერმერობის მსურველებს გამოსყიდვის უფლებით.

ამ პრინციპებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გლეხური (ოჯახური) მეურნეობები ვიდრე არ გარდაქმნილან მსხვილ ფერმერულ მეურნეობებად, გაერთიანდნენ ასოციაციებში ან საწარმოო კოოპერაციებში. სამეურნეო საქმიანობის მართვის, წარმოებული პროდუქციის გადამუშავების, მის რეალიზაციის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, მისი კოლექტიური ექსპლუატაციის, სარემონტო-ტექნიკური მომსახურების, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის ფორმირების ნებაყოფლობითი გაერთიანება ერთ მთლიანობაში – ასოციაციაში ან კოოპერაციაში უზრუნველყოფს მის კომერციულ ფერმერულ მეურნეობად გადაქცევას.

გლეხური (ოჯახური) მეურნეობების ასოციაციებსა და კოოპერაციებში ანუ იგივე კავშირებში გაერთიანების გამოცდილება უკვე არის შუახევის რაიონში, სადაც მოქმედებს საქართველოს მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა (IFAD). ამ პროგრამის დაფინანსებით ხელშეკრულების საფუძველზე სამუშაოების უშუალო შემსრულებელია მთიანი რეგიონების განვითარების საერთაშორისო ასოციაცია – MADI. ამ ასოციაციის მიერ შუახევის რაიონში (აგრეთვე დუშეთის, ამბროლაურის და ასპინძის რაიონებში) 2003 წლის შემოდგომიდან ფუნქციონირება დაიწყო “ფერმერის სახლმა” (აგროსერვისის ცენტრი).

ფერმერის სახლი წარმოადგენს აგრარულ სფეროში ფუნქციონირებად ორგანიზაციას, რომელიც უზრუნველყოფილია კვალიფიციური კადრებით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით,

ნედლეულითა და მასალებით (თესლი, სარგავი მასალა, სასუქები, შხამქიმიკატები, ვეტპრეპარატები და ა.შ.), ცნობარებითა და ბროშურებით, სარეკლამო ბუკლეტებით და სხვა.

შუახევის ფერმერის სახლმა დაფუძნებიდან მოკლე პერიოდში შეძლო სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვადასხვა სფეროებში დაეფუძნებინა (ჩამოეყალიბებინა, შეექმნა) კავშირები და ასოციაციები, კერძოდ:

1. შუახევის მეცხოველეთა კავშირი, რომელიც დარეგისტრირდა 08.04.2004 წ., მასში გაერთიანებულია 129 გლეხური (ოჯახური) მეურნეობა;

2. შუახევის კარტოფილის მწარმოებელთა კავშირი, რომელიც დარეგისტრირდა 14.04.2004 წ. და გაერთიანებულია 243 გლეხური (ოჯახური) მეურნეობა;

3. შუახევის მთის რეგიონის მევენახე ფერმერთა ასოციაციამ რეგისტრაცია გაიარა 25.05.2004 წ. და მასში გაწევრიანებულია 56 გლეხური (ოჯახური) მეურნეობა;

4. შუახევის ბოსტნეულის მწარმოებელთა კავშირი დაფუძნდა 21.06.2004 წ. და მასში გაწევრიანებულია 87 გლეხური (ოჯახური) მეურნეობა;

5. შუახევის მთის რეგიონის მეფუტკრე ფერმერთა ასოციაცია ფუნქციონირებს 23.09.2004 წლიდან და მასში გაწევრიანებულია 172 გლეხური (ოჯახური) მეურნეობა – მეფუტკრე;

6. ბოსტნეულის თესლის მწარმოებელ ფერმერთა ასოციაცია "ოქროპილაური" დაფუძნებულია 10.02.2005 წლიდან და მასში გაერთიანებულია 18 გლეხური (ოჯახური) მეურნეობა.

დასახელებულ კავშირებსა და ასოციაციებს ფერმერის სახლი მიმდინარე პერიოდში ემსახურება ტექნიკით (რა თქმა უნდა, შესაბამისი ანაზღაურებით), აწვდის მაღალი ხარისხის და მოსავლიანობის თესლს (სარგავ მასალას), სასუქებს, შხამქიმიკატებს, ვეტპრეპარატებს და

სხვა, მაგრამ ისინიც ქმნიან საკუთარ ფონდებს, რათა შემდეგში აღნიშნულით უზრუნველყოფა შეძლონ საკუთარი ორგანიზაციითა და სახსრებით.

მეცხოველეთა კავშირმა 2005 წლის განმავლობაში ვეტერინალური (სამკურნალო) პრეპარატებით უზრუნველყო და სხვადასხვა სახის დახმარება გაუწია 952 ოჯახურ მეურნეობას.კავშირის სპეციალისტების მიერ დამუშავებულია (ჩაუტარდათ აცრები და შეიწამლა პარაზიტების საწინააღმდეგო პრეპარატებით) 8952 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. ამ სახის

მომსახურეობით კავშირმა დამატებით მიიღო 3080 ლარის შემოსავალი.

მემცენარეობის დარგის კავშირებმა (კარტოფილის, ბოსტნეულის) მცენარეთა დაცვის საშუალებებითა და მინერალური სასუქებით უზრუნველყო 810 ოჯახური მეურნეობა, ხოლო 30 ოჯახურ მეურნეობას მიაწოდა მაღალხარისხიანი თესლი. 2005 წლის ბოლოსათვის კავშირს ჰქონდა 12462 ლარი საბრუნავი თანხა.

მეფუტკრეთა ასოციაციამ პროგრამისაგან მიღებული ფინანსური დახმარებით შეიძინა და 178 მეფუტკრეს შეღავათიან ფასებში მიაწოდა 350 ამანათ ნაყარი. გარდა ამისა, იგი აწვდის მათ სამკურნალო პრეპარატებს, ფიჭას და მეფუტკრეობისათვის საჭირო სხვა ინვენტარს. ასოციაციაში შეძენილი პრეპარატებით დამუშავებულია 2400 ფუტკრის ოჯახი. 2005

წლის განმავლობაში ასოციაციისაგან მეფუტკრეებს 18700 ლარის მომსახურეობა გაეწიათ.

როგორც ჩანს, მაღალმთიან აჭარაში გლეხური (ოჯახური) მეურნეობების გაერთიანების გამოცდილება უკვე არსებობს და საჭიროა მისი დახვეწა-განზოგადოება სხვა რაიონებისა და სოფლების მასშტაბითაც.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გლეხურ (ოჯახურ) მეურნეობებსა და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მომხმარებლებს შორის შუამავალ სამსახურებს. ასეთი შუამავლები უნდა გახდნენ ხელისუფლების მიერ ოფიციალურად რეგისტრირებული კომერციული სავაჭრო ფირმები და კომპანიები, რომლებიც დაიცავენ მათ უკონტროლო გადამყიდველთა, რეალიზატორთა მონოპოლიზმისაგან. მათთან დადებულ კონტრაქტებში, გარდა შესასყიდი პროდუქციის ხარისხის სტანდარტისა და ეკოლოგიური სიწმინდის დაცვისა, გათვალისწინებული უნდა იქნეს პროდუქციის რეალიზაციის ვადები და საბაზრო ფასებით შესყიდვის გარანტიაც.

3.4. სოფლის საკრედიტო კავშირებისა და საკონსულტაციო სამსახურის მნიშვნელობა აგრარული მეწარმეობის განვითარებაში

სოფლის მეურნეობაში წარმოშობილი სირთულეები და წინააღმდეგობები მრავალ, ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვანი ზომით განპირობებულია ფინანსური რესურსების დეფიციტითაც, რომელიც დამახასიათებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისთვისაც.

საკვლევ რეგიონში გლეხური (ოჯახური) მეურნეობების ფუნქციონირებისას წარმოშობილი ფულადი საშუალებების ნაკლებობის

შევსების, კრედიტების ხელმისაწვდომობის გაზრდის დამატებით შესაძლებლობას შეიცავს სოფლად გლეხთა (ფერმერთა) საკრედიტო კავშირების შექმნა.

საკრედიტო კავშირები მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაკრედიტების მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ.

საკრედიტო კავშირი არის კერძო ფინანსური საშუამავლო ორგანიზაცია, რომლის მფლობელები არიან მისივე წევრები. იგი იმართება კოოპერაციული და დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე. კავშირები იქმნება მოქალაქეთა ისეთი ჯგუფების მომსახურებისათვის, რომლებიც იცნობენ და ენდობიან ერთმანეთს ერთ ადგილზე ცხოვრების, მუშაობის ან ერთი და იგივე ასოციაციის (გაერთიანების) წევრობის გამო.

საკრედიტო კავშირები სპეციალდებიან ისეთ საფინანსო სფეროებში, როგორიცაა სხვადასხვა სახის საანაბრო, საკრედიტო, საგადასახადო და სადაზღვევო მომსახურება. იგი იყენებს საანაბრო მომსახურების შემნახველ წიგნაკებს, ვინაიდან ანაბრებს, მომსახურებას ჩეკებით, ახდენს თანხების გადარიცხვას, სესხების გაცემას ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე (წევრებზე), ანაბრებისა და სესხების დაზღვევას.

საკრედიტო კავშირების მეშვეობით იზრდება გლეხობის შემოსავლები ანაბრებზე, ხელმისაწვდომი ხდება კრედიტების აღება ზომიერი საპროცენტო განაკვეთებით. საკრედიტო კავშირები აწარმოებენ საგადასახადო ოპერაციებს, თუ მათ პირად საკუთრებაში აქვთ 5 ჰა-ზე მეტი მიწა, მათ შორის ჩეკებით, აგრეთვე სიცოცხლის შეღავათიან დაზღვევას.

საკრედიტო კავშირების წევრების მიერ კაპიტალის დაგროვება ხდება თავიანთი ანაბრების მეშვეობით. ყოველი მსესხებელი იხდის

საპროცენტო გადასახადს, რომლითაც იფარება საოპერაციო ხარჯები, იქმნება რეზერვები და გადაიხდება საპროცენტო სარგებელი შეტანილ ანაბრებზე. მყარი გარანტიების მქონე კარგად ორგანიზებული საკრედიტო კავშირები, საკრედიტო ფონდების გასაზრდელად ხშირად თვითონ იყენებენ ბანკის სესხებს.

მკაცრი ფინანსური დისციპლინა, რომელსაც ახორციელებენ საკრედიტო კავშირები არის ანაბრების დაცვის გარანტია. უპირველეს ყოვლისა, სესხები გაიცემა იმ წევრებზე, რომლებმაც გამოამჟღავნეს მაღალი პასუხისმგებლობა, თვითონ აქვთ შემოსავალი, რომელიც საკმარისია სესხის დასაფარავად, ანდა შეუძლიათ შესთავაზონ სესხის ადეკვატური გარანტიები.

კავშირის ხელმძღვანელობა, როგორც წესი, მკაცრად მოითხოვს სესხის დათქმულ ვადაში დაბრუნებას. სასესხო რეზერვები განცალკევებული უნდა იყოს შემოსავლებისაგან, რათა შესაძლებელი იყოს სესხების და სხვა დანაკარგების დაფარვა.

ეროვნული ბანკის სპეციალიზებული ჯგუფი ან სხვა ფინანსური ინსტიტუტის მარეგულირებელი სააგენტო ახორციელებს ე.წ. გარედან მეთვალყურეობას. იგი აანალიზებს საკრედიტო კავშირის ჩანაწერებს, ფინანსურ მდგომარეობას და აძლევს რჩევებს საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

სასურველია, რომ ზოგიერთი ქვეყნის მაგალითისამებრ მოსალოდნელი დანაკარგებისაგან ანაბრები დაცული იყოს საანაბრო დაზღვევის, ან სტაბილიზაციის ფონდებით. ამ ფონდების მქონე საკრედიტო კავშირები პრაქტიკულად დაცულია გაკოტრებისაგან და საზოგადოების ნდობას იმსახურებენ.

ასეთი ფონდების შექმნის წყარო შეიძლება იყოს კავშირის წევრების საკუთარი კაპიტალი ან შემოსავლების ნაწილი. დასაშვებია,
რომ სადაზღვევო ფონდი იმართებოდეს გარეშე ორგანოს მიერ.

პირველი საკრედიტო კავშირი საქართველოში დაარსდა 1995 წელს კასპის რაიონის სოფელ კავთისხევში მსოფლიო ბანკის პროექტით. ამავე ბანკის პროექტი 2001 წლამდე საკრედიტო კავშირების ქსელის 120 ერთეულამდე გაფართოებას ითვალისწინებდა. აღსანიშნავია, რომ ამ პრობლემით დაინტერესდა ევროგაერთიანებაც, რომელმაც თავის მხრივ გადაწყვიტა საკრედიტო კავშირების ქსელის შექმნა და მსოფლიო ბანკის პროექტთან შედარებით ერთ პირზე გასაცემი თანხის გაზრდა, სესხის გაცემისას მისი წევრების კოოპერატიული პასუხისმგებლობის გაფართოების საფუძველზე. ევროგაერთიანებას განსაზღვრული ჰქონდა კავშირების საკრედიტო რესურსების გაზრდა საპარტნიორო ფონდის სასესხო ნაწილის ანგარიშზე, რაც გაზრდიდა ამ ფონდების გამოყენების ეფექტიანობას და საჯაროობას.

ადგილობრივი საკრედიტო კავშირების ჩამოყალიბებისა და მათი ფუნქციონირების გამოცდილების დაგროვების კვალობაზე შეიქმნას რაიონული, რეგიონული და ცენტრალური გაერთიანება შესაბამისი მმართველობითი სტრუქტურებით, რომლითაც შესაძლებელი გახდება:

- თავისუფალი ფულადი რესურსების მობილიზაცია და მათი მაღალი ეფექტიანობით გამოყენება;

- საქმიანობის გამრავალფეროვნება, რაც მოსალოდნელი რისკების შემცირების ტოლფასია;

- ფულადი რესურსების მანევრირება, სესხების პროცენტის შემცირება და სტაბილიზების ფონდის შექმნა;

- ბანკების, სხვა ფინანსური სტრუქტურების თავისუფალი ფულადი რესურსების მოზიდვა;

- კადრების სწავლების, მომზადებისა და გადამზადების ერთიანი სისტემის შექმნა.

საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 16 სექტემბრის ბრძანებულებით, მსოფლიო ბანკის და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის განხილული პროექტის ჩარჩოებში შეიქმნა საკრედიტო კავშირების განვითარების ცენტრი, რომლის ფუნქციებია:

- სოფლად საკრედიტო კავშირების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა;

- საკრედიტო კავშირების რეგისტრაციისათვის საჭირო იურიდიული დოკუმენტაციის მომზადებაში დახმარების გაწევა, შემდგომი კონსულტირება რეგისტრაციის პროცესში;

- საკრედიტო კავშირებისათვის საჭირო ყველა სახის სამუშაო დებულების, ხელშეკრულებისა და დოკუმენტების, საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების ფორმების მომზადება;

- საკრედიტო კავშირებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევა, მათ შორის ამ კავშირების წევრებისა და მმართველი პირებისათვის სასწავლო პროგრამების მომზადება და გამოცემა;

- საკრედიტო კავშირების საქმიანობის კანონთან, წესდებასთან და მარეგულერებელ ნორმატივებთან შესაბამისობაში მოყვანა;

- საკრედიტო კავშირების მონიტორინგი, მათი ფინანსური და სასესხო მდგომარეობის შესაფასებლად.

პროექტის განხორციელების საწყის ეტაპზე (1995-1998 წწ.) საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირება დაიწყო 114-მა სასოფლო-

საკრედიტო კავშირმა, სადაც გაერთიანებული იყო 9013 ადამიანი 1130876 ლარის საპაიო კაპიტალით. მათ შორის: 17 საკრედიტო კავშირი დარეგისტრირებული იყო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, 22 – გურიაში, 29 – იმერეთში, 18 – კახეთში, 11 – ქართლში, 12 – სამეგრელოში, 5 – სამცხე-ჯავახეთში.

ქვეყანაში საკრედიტო კავშირების განვითარებამ დამაიმედებელი შედეგების მიუხედავად, მაინც ვერ მიიღო ორგანიზებული ხასიათი. მათ ფორმირებაში თითქმის არ მონაწილეობს სახელმწიფო მარეგულირებელი სტრუქტურები. კრედიტის გამოყენების სფეროც შეზღუდულია და არც საკრედიტო რესურსების მოცულობაა დიდი, რაც ზოგიერთ შემთხვევაში ნეგატიური პროცესების წარმოშობას უწყობს ხელს.

მიგვაჩნია, რომ საკრედიტო კავშირების ეფექტიანობის ასამაღლებლად საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- საკრედიტო კავშირები, როგორც თვით სახელწოდება მიგვანიშნებს, თავიდანვე უნდა იქმნებოდეს სოფლების მიხედვით და არა ისე, როგორც ზოგიერთ შემთხვევაში მოხდა მათი დაფუძნება;

- შემდეგ ეტაპზე (მეორე) სასოფლო-საკრედიტო კავშირები შეთანხმებული პირობით უნდა გაერთიანდნენ რაიონულ საკრედიტო ასოციაციებად, რაც საშუალებას მოგვცემს გაიზარდოს კრედიტის ბრუნვა და გამოყენების ეფექტიანობა;

- საკრედიტო კავშირებს საშუალება უნდა მიეცეთ მათ ხელთ არსებული კრედიტები დააბანდონ არა მარტო სოფლის მეურნეობაში, არამედ მასთან დაკავშირებულ სხვა საქმიანობაშიც;

- პრიორიტეტული დარგების მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტმა უნდა გამოყოს თანხები როგორც მოკლე, ასევე გრძელვადიანი დაკრედიტებისათვის მინიმალური საპროცენტო განაკვეთით;

- საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბების პარალელურად აუცილებელია შესაბამისი სადაზღვევო სისტემის შექმნა.

გარდა სოფლად საკრედიტო კავშირების ფორმირებისა, როგორც ამას საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია ძლიერი საკონსულტაციო სამსახურის არსებობა.

დღეისათვის არსებობს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის ჩამოყალიბების კონცეფციის რამდენიმე მიდგომა, მაგრამ მათგან გამოირჩევა ორი:

პირველი – დაკავშირებულია საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის ისეთი პრინციპებით შექმნასთან, როგორითაც შექმნილია და წარმატებით ფუნქციონირებს განვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე ქვეყნებში. საუბარია ამ სამსახურების ორგანიზაციის, სტრუქტურის და მუშაობის მეთოდების პირდაპირ გადმოღებაზე, ყოველგვარი კრიტიკული ანალიზისა და ადგილობრივ პირობებთან ადაპტაციის გარეშე.

მეორე – უარყოფს ვისიმე გამოცდილების გამოყენებას და ამ სამსახურის დაფუძნებას ახდენს თავისი ინტერესებიდან და შეხედულებებიდან გამომდინარე.

მიგვაჩნია, რომ საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის ჩამოყალიბებისას მიზანშეწონილია გამოცდილებისა და ამ სფეროში მიღწევების გამოყენება, აგრეთვე ქვეყნის, რეგიონის სპეციფიკის (პირობების) გათვალისწინებაც.

მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის შემდეგი ფორმები:

1. საკონსულტაციო სამსახური დარგობრივი სამინისტროების, რეგიონალური და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ჩარჩოებში (სახელმწიფო საკონსულტაციო სამსახური);

2. სამსახურები, რომლებიც ორგანიზებულია რეგიონალური მრავალპროფილიანი ან დარგობრივი უმაღლესი სკოლებისა და კოლეჯების, უნივერსიტეტების ბაზაზე;

3. სამსახურები სხვადასხვა ფორმის საქონელმწარმოებლებისა და ფერმერული (ოჯახური) მეურნეობების ბაზაზე;

4. საკონსულტაციო სამსახურები კომერციული ფირმების შემადგენლობაში;

5. კერძო საკონსულტაციო სამსახურები. [80]

თითოეულ მათგანს სხვებთან შედარებით გააჩნია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები.

სახელმწიფო კონსულტანტის ფუნქციებია:

- სახელმწიფო პოლიტიკის გატარება სოფლის მეურნეობის სფეროში;

- გლეხების (ფერმერების) კონსულტირება დარგობრივ საკითხებში;

- დახმარება დოტაციების, კრედიტების მიღებისას;

- სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებასა და დამუშავებაში დახმარება;

- ეკოლოგიური ნორმებისა და ქვოტების კონტროლი პროდუქციის წარმოებისას.

ასეთი ფორმის სამსახურის ფინანსირება ხორციელდება როგორც სახელმწიფოს მიერ, ასევე სპეციალიზირებული საწარმოო გაერთიანებების

მიერ 1:1 პროპორციით, კონკურენტები შეირჩევიან კონკურსის საფუძველზე.

საერთაშორისო გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სოფლის მეურნეობაში საკონსულტაციო სამსახური უნდა ჩამოყალიბდეს რეგიონალური მრავალპროფილიანი ან დარგობრივი (აგრარული) უმაღლესი სასწავლებლების ბაზაზე. ამ ფორმის სამსახურის უპირატესობებია: სამეცნიერო (საკონსულტაციო) პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია და თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; საქონელმწარმოებელთა მხრიდან კონსულტანტთა მიმართ ნდობის მაღალი ხარისხი და ავტორიტეტი.

ყველა ქვეყანაში ამ ფორმის სამსახურის დაფინანსება ხორციელდება ცენტრალურ ან ადგილობრივ ბიუჯეტიდან. თუმცა, ზოგიერთი მათგანი თანდათან გადადის თვითდაფინანსების პრინციპზე და ანაზღაურებას იღებენ უშუალოდ მომსახურეობის ხასიათისა და სირთულის მიხედვით.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები შეიძლება ჩამოყალიბდნენ საქონელმწარმოებლების (ფერმერების) ბაზაზე. ამ ფორმის სამსახურის უპირატესობებია ის, რომ იგი ფორმირდება და იმართება უშუალოდ მომხმარებლებით, რაც არის მომსახურეობის უფრო მაღალი ხარისხის გარანტი, ამასთან სამსახურის თანამშრომელი უფრო მეტად ორიენტირდება სურსათმწარმოებლის რეალურ პრობლემებზე და კონსულტაციებს იძლევა სასოფლო-სამეურნეო წარმოების პრაქტიკულად ყველა სახეობისათვის.

სასურველია საკონსულტაციო ცენტრები შეიქმნას ფერმერთა კავშირების მიერ და ფუნქციონირებდნენ მათი მეთვალყურეობითა და თანადგომით.

ბოლო ათწლეულებში ფართო გავრცელება ჰპოვა საკონსულტაციო მომსახურეობის გაწევამ იმ კომერციულ ფირმების მიერ, რომლებიც დაკავებულნი არიან სოფლის მეურნეობისათვის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების წარმოებითა და რეალიზაციით, ახალი ჯიშებისა და ტექნოლოგიების შემუშავებითა და გავრცელებით და სხვა.

აღნიშნულმა საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის ფორმამ ბევრ განვითარებულ ქვეყანაში ჰპოვა გავრცელება და მათ მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ სასოფლო-სამეურნეო საქონელმწარმოებლებისათვის საკონსულტაციო მომსახურეობის გაწევის საქმეში. ისინი ფლობენ საკონსულტაციო მომსახურეობის ბაზრის დიდ ნაწილს და სერიოზულ კონკურენციას უწევენ შესაბამის სახელმწიფო სამსახურებს.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საკონსულტაციო სამსახურების ფორმირების მიზეზი იყო კრიზისი სოფლის მეურნეობაში, როდესაც დარგს არ შეეძლო დამოუკიდებლად, სახელმწიფო დახმარების გარეშე, განვითარება. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც სახელმწიფო საინფორმაციო სამსახურები შეიტანენ გარკვეულ წვლილს დარგის განვითარებასა და ეკონომიკის სტაბილიზაციაში (რისთვისაც რამოდენიმე ათწლეულია საჭირო), ჩნდება წინაპირობები და შესაძლებლობები იმისა, რომ სურსათმწარმოებლებმა უზრუნველყონ მომსახურეობის ხარჯების ანაზღაურება და შესაძლებელი ხდება შეიქმნას კერძო საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური.

მიჩნეულია, რომ კერძო კონსულტანტების რჩევები უფრო პრაქტიკული და ეფექტურია, ვიდრე სახელმწიფო მოხელეებისა, რადგანაც უფრო მაღალია კლიენტსა და კონსულტანტს შორის ნდობის ფაქტორი. კლიენტი (ფერმერი) საკონსულტაციო მომსახურეობისათვის თანხის

გადახდისას მოელის შესაბამის ეფექტს და კანონიერად მოითხოვს შეთავაზებული მომსახურეობის მაღალ დონეს. თავის მხრივ, საკონსულტაციო სამსახური მთლიანადაა დამოკიდებული საქონელმწარმოებელზე, რომ მან მოისურვოს მომსახურეობის გაწევა, ე.ი. მოცემული სახის ფორმაში ძალიან დიდია ორივე მხარის მოტივაცია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საერთაშორისო პრაქტიკაში საკონსულტაციო სამსახურების ფორმირება იწყება სახელმწიფო ფორმით. ამ მხრივ გამონაკლისს არც ჩვენი ქვეყანა და მათ შორის საკვლევი რეგიონი წარმოადგენს. მთლიანად საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დარგში არსებული დღევანდელი ვითარება, გლეხური (ოჯახური) მეურნეობების შემოსავლები არ იძლევა იმის წინაპირობას, რომ რაიმე სახის მომსახურეობა ანაზღაურებული იქნას მათი სახსრებით. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საქონელმწარმოებლები მიტოვებულნი არიან ბედისა და ბუნების ანაბარად, ისინი არ ფლობენ არანაირ ინფორმაციას თანამედროვე ტექნოლოგიების, სასუქებისა და შხამქიმიკატების გამოყენების დოზების, ახალი ჯიშებისა და სელექციური ხაზების შესახებ, მაშინ ნათელი ხდება, თუ რა პრობლემის წინაშე დგას დღევანდელი სოფელი. ისინი თავიანთ მეურნეობას უძღვებიან ძველი ტრადიციებითა და ცხოვრებისეული გამოცდილებით. სწორედ ესაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ჯერ კიდევ ძალზე დაბალია მემცენარეობაში მოსავლიანობა და მეცხოველეობაში კი პროდუქტიულობა.

აღნიშნული სირთულეებისა და პრობლემების ნაწილობრივ გადაჭრის იმედად გვესახება მთიანი რეგიონების განვითარების საერთაშორისო ასოციაციის – MADI-ის მიერ შუახევის რაიონში

დაფუძნებული “ფერმერის სახლი”, რომელიც სხვადასხვა სახის დახმარებასთან ერთად რაიონის გლეხურ (ოჯახურ) მეურნეობებს უწევს საინფორმაციო-საკონსულტაციო და კომერციულ მომსახურეობას. მისი საქმიანობა მიმართულია აგრარული სექტორის მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელ, გადამამუშავებელ და მარკეტინგის სფეროში მომუშავე სუბიექტებზე. იგი აქტიურად თანამშრომლობს რაიონის ხელმძღვანელობასთან, სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო დაწესებულებებთან, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებით და გადამუშავებით დაკავებულ საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა სუბიექტებთან.

ფერმერის სახლი თავისი ფუნქციის შესრულებისას სარგებლობს იმ მონაცემთა ბაზით, რომელიც მოიცავს მცირე საწარმოო სტრუქტურების ფორმირებისას ოპტიმალურ გათვლებს, ბიზნეს-გეგმებს, მეცხოველეობაში საკვების ნორმებსა და რაციონებს, თესლბრუნვის სისტემას, ინფორმაციას ახალ ტექნიკასა და ტექნოლოგიაზე, რეგიონში გავრცელებულ მავნებლებსა და დაავადებებზე მონაცემებს, სასუქებისა და შხამქიმიკატების სახეებსა და ნორმატივებს და სხვა.

შუახევის ფერმერის სახლი დაკომპლექტებულია მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებისაგან (MADI-ის ცენტრალური ოფისის მიერ შერჩეული იქნა საკონკურსო წესით), კერძოდ, ფერმერის სახლის ხელმძღვანელი (კონსულტანტ-ორგანიზატორი), აგრონომი (კონსულტანტი მემცენარეობის დარგში), ექიმი ვეტერინარი (კონსულტანტი მეცხოველეობის დარგში), ინჟინერ-მექანიზატორი

(კონსულტანტი ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დარგში), მარკეტინგის სპეციალისტი, ბუღალტერ-ეკონომისტი და პროგრამისტ-ოპერატორი.

ფერმერის სახლის სპეციალისტებისა და მოწვეული კონსულტანტების მუშაობის ძირითადი სახეებია:

- ინდივიდუალური საუბრები (რჩევები) დაინტერესებულ პირებთან ფერმერის სახლის ოფისში ან ტელეფონით;

- კონსულტაციების ჩატარება ადგილებზე (ფერმერებთან) გასვლით;

- ლაბორატორიული გამოკვლევების ჩატარება (ნიადაგის ანალიზი, მავნებელ-დაავადებათა გამოკვლევა და სხვა) და შესაბამისი რჩევის მიცემა;

- შტატგარეშე კონსულტანტებთან ან ექსპერტებთან ფერმერების შეხვედრის ორგანიზება;

- სპეციალური ლიტერატურითა და ნორმატიულ-მეთოდური მასალებით ფერმერთა უზრუნველყოფა;

- გლეხური (ოჯახური) მეურნეობებისათვის ლექცია-საუბრების ჩატარება აქტუალურ (პრობლემურ) საკითხებზე;

- სპეციალისტის დღისა და კონკურსების ჩატარება;

- მოწინავე ფერმერთა და სადემონსტრაციო ნაკვეთებზე გასვლების ორგანიზება;

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოფენის მოწყობა.

2005 წლის ორ თვეში (აპრილი-მაისი) ფერმერის სახლის ტექნიკით ისარგებლა 57-მა გლეხურმა (ოჯახურმა) მეურნეობამ, პრეპარატებითა და სხვადასხვა ინვენტარით მომარაგდა 103 მეურნეობა, ვეტპროფილაქტიკა ჩაუტარდა 116 ფუტკრის ოჯახს, ხოლო სხვადასხვა საკითხებზე კონსულტაცია მიიღო 140-მა მეფუტკრემ, მცენარეთა დაცვის საშუალებებითა და მინერალური სასუქებით მომარაგდა 348, ხოლო

მაღალი ხარისხის სათესლე მასალით კი – 29 გლეხური (ოჯახური) მეურნეობა. მემცენარეობის დარგში კონსულტაცია მიიღო 105 მეურნემ, სხვადასხვა სამკურნალო პროფილაქტიკური პრეპარატებით მომარაგდა და ვეტმომსახურეობით ისარგებლა 203-მა ოჯახმა, ხოლო სწავლება-კონსულტირება ჩაუტარდა 183 მეცხოველე ფერმერს.

როგორც ვხედავთ, ფერმერთა სწავლება-კონსულტირების კუთხით გარკვეული სამუშაოები ტარდება საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, მაგრამ სახელმწიფოს როლი ამ მიმართულებით ნულის ტოლია და ჯერ-ჯერობით არაფერი გაკეთებულა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საწყის ეტაპზე სახელმწიფომ უზრუნველყოს რაიონების დონეზე მაინც შესაბამისი სამსახურების ორგანიზება, რომელთა დაკომპლექტება უნდა მოხდეს საკონკურსო წესით შერჩეული მაღალკვალიფიციური აგრარული განათლების მქონე კადრებით. მათი ძირითადი ფუნქცია უნდა იყოს სეზონებისა და სამუშაო პროცესების მიხედვით ცალკეულ სოფლებში მონიტორინგის მოწყობა, სწავლება-სემინარების ჩატარება, შესაბამისი მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოფა და სხვა ისეთი საკითხები, რომელიც წარმოიშობა კონკრეტულ სიტუაციაში და რომელთა გადაწყვეტაც შესაბამისი რჩევების გარეშე სოფლად მცხოვრებთათვის შეუძლებელია. [15]

დასკვნები და წინადადებები

1. აჭარა ძალზე მთაგორიანი რეგიონია. მისი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მცირე ფერდობიან ნაკვეთებზეა წარმოდგენილი, ამიტომ მექანიზაციის გამოყენების თვალსაზრისით არახელსაყრელია, რადგან ასეთ ნაკვეთებზე მობილური ტექნიკით სარგებლობა თითქმის შეუძლებელი და არაეკონომიურია, რის გამოც სამუშაოთა დიდი ნაწილი ძირითადად ხელით სრულდება. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში წარმოებულ სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხვედრითი წილი 11,5%-ს შეადგენს და ეს იმ პირობებში, როცა ამ რეგიონზე მოდის ქვეყნის ტერიტორიის მხოლოდ 3,9%, წარმოებაში დასაქმებული შრომითი რესურსების 6,7% და ძირითადი საწარმოო ფონდების 10,6%.

2. მიუხედავად ამისა, გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ როგორც ქვეყნის, ასევე ავტონომიური რესპუბლიკის სასურსათო სექტორში ჩამოყალიბებულმა საბაზრო ურთიერთობათა მოდელმა სრულად ვერ შეასრულა თავისი დანიშნულება და ვერ უზრუნველყო ეფექტიან ეკონომიკურ ურთიერთობათა ფორმირება, რამაც მიგვიყვანა წარმოების მნიშვნელოვან შემცირებამდე და მოსახლეობისათვის საჭირო სასურსათო პროდუქტების უკმარისობამდე. ამის მიზეზად მიგვაჩნია:

პირველი – აგრარულ და განსაკუთრებით სასურსათო ბაზრის რეგულირებაში სახელმწიფოს არასაკმარისი მონაწილეობა, მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების (სახელმწიფო მეურნეობები, კოლმეურნეობები, სამეურნეობათაშორისო საწარმოები) ფუნქციონირების მოშლა

და მათ სარგებლობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების განიავება;

მეორე – სოფლის მეურნეობის არსებული დარგობრივი და საწარმოო სტრუქტურა ვერ აკმაყოფილებდა საგანგებო სიტუაციაში მათ დამოუკიდებლად ფუნქციონირებას, რის გამოც რეგიონში სათანადოდ ვერ ვითარდებოდა მოსახლეობისათვის აუცილებელი კვების პროდუქტების (მარცვლეული, ბოსტნეული, ხორცი, რძე, კვერცხი და სხვა) წარმოება, შესაბამისად ვერ ხორციელდებოდა ადგილობრივი წარმოების კვების პროდუქტებით მათი უზრუნველყოფა და სასურსათო უსაფრთხოების დაცვა;

მესამე – მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ცენტრალიზებული წესით განაწილების მოშლა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (განსაკუთრებით ციტრუსი, ჩაი, თამბაქო) რეალიზაციის ტრადიციული ბაზრის დაკარგვა, სასუქების, შხამქიმიკატების, საწვავ-საცხები მასალების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და მათი სათადარიგო ნაწილების დეფიციტი და მათი საბაზრო ფასების არნახული ზრდა.

3. ავტონომიური რესპუბლიკა მცირემიწიანობითა და მოსახლეობის ზრდის ტენდენციით გამოირჩევა. 2003 წლის მონაცემებით, ერთ სულ მოსახლეზე 0,18 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული (საქართველოში 0,69 ჰა) და 0,02 ჰა სახნავი (საქართველოში 0,19 ჰა) მოდიოდა. მიუხედავად ამისა, ავტონომიურ რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო სავარგულები უფრო ეფექტიანად გამოიყენება, ვიდრე საშუალოდ მთელ ქვეყანაში. აღნიშნულ პერიოდში ერთ ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე აჭარაში წარმოებულია 990,3 ლარის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, მთლიანად საქართველოში კი – 731,6 ლარის.

4. ნათესი ფართობების სტრუქტურაში 68,4-69,9%-ით წარმოდგენილია მარცვლეულ-პარკოსანი კულტურები. ტექნიკური კულტურების (ძირითადში თამბაქოს) ფართობი კი საანალიზო პერიოდში თითქმის 2-ჯერ შემცირდა, რაც გაუმართლებლად მიგვაჩნია, რადგან სწორედ თამბაქო წარმოადგენდა მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობის ფულადი საშუალებების მიღების ძირითად წყაროს. შემცირებულია აგრეთვე ბოსტნეულისა და ბაღჩეულის ფართობი 8,6%-ით, ხოლო გაზრდილია კარტოფილის ფართობი 287 ჰა-ით, ანუ 19,6%-ით. აღნიშნული გვიჩვენებს, რომ რეფორმის შემდგომ პერიოდში მოსახლეობა ძირითადად აწარმოებს საარსებოდ აუცილებელ პროდუქტებს (მარცვლეულს, კარტოფილს), რასაც გარკვეული ზომით შესაძლებელია გამართლება მოეძებნოს.

5. გარდამავალ პერიოდში ავტონომიური რესპუბლიკის ხუთივე რაიონში გამოიკვეთა მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების (ასევე პირუტყვის სულადობის) ზრდის ტენდენცია კერძო სექტორში, რასაც აქვს გასაღების გარანტირებული შიდა ბაზარი და მოსახლეობის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდაც იქცა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სულადობის ზრდასთან შედარებით დაბალი ტემპით იზრდება პროდუქტიულობა. მეცხოველეობის განვითარების შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოყენების მიზნით, აუცილებლად მიგვაჩნია მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის საფუძველზე შემუშავდეს დ განხორციელდეს ფერმერულ, გლეხურ (ოჯახურ) მეურნეობებში მეცხოველეობის (შერეული მიმართულების) განვითარების ღონისძიებანი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ჯოგის სტრუქტურის სრულყოფას და პროდუქტიულობის ამაღლებას, მაღალმთიან ზონაში (ქედა, შუახევი, ხულო) მცირე სიმძლავრის

გადამამუშავებელი საწარმოების ამოქმედებას, პროდუქციის გადამუშავების, შენახვის და შეფუთვის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას და სხვა.

6. ქვეყანაში და ავტონომიურ რესპუბლიკაში განხორციელებული აგრარული რეფორმის ანალიზმა გვიჩვენა, რომ იგი მნიშვნელოვანი დარღვევებით განხორციელდა. მიზანმიმართულად ვერ ჩატარდა მიწისა და სხვა ძირითადი საწარმოო საშუალებების პრივატიზაცია, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რეორგანიზაცია და რესტრუქტურიზაცია, მათი ინსტიტუციონალური მოწყობის ორგანიზაცია, რის გამოც ვერ ჩამოყალიბდა საბაზრო ურთიერთობათა ხელშემწყობი გარემო პირობები და სრულყოფილად ვერ ამოქმედდა ეკონომიკის ზრდის ბერკეტები – მიწა, კაპიტალი, შრომა, სამეწარმეო უნარი და სახელმწიფოებრივი მართვის ქმედითუნარიანობა. ამიტომაცაა, რომ დარგში არსებული საწარმოო პოტენციალი ერთი მესამედითაც ვერ გამოიყენება.

7. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო სავალგულების 26,4%, სახნავის 71,0% და მრავალწლიანი ნარგავების 42,2% კერძო საკუთრებაშია. მიუხედავად ამისა, ძირითადი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 99-100% კერძო სექტორში (გლეხურ, ოჯახურ მეურნეობებში) იწარმოება. თუმცა, მიგვაჩნია, რომ გადაჭარბებულად არ უნდა შეფასდეს გლეხური (ოჯახური) მეურნეობების ადგილი და როლი ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფაში, რადგან მათში წარმოების პროცესი ძირითადად ხელით შრომაზეა დამყარებული და, მაღალი დანახარჯების გამო, კონკურენტულ გარემოში მონაწილეობის შანსი ნაკლები გააჩნიათ. ამიტომ თანდათანობით უნდა მოხდეს მათი კომერციულ ფერმერულ მეურნეობებად გარდაქმნა.

8. იმისათვის, რომ გლეხური (ოჯახური) მეურნეობები გარდაიქმნან ფერმერულ მეურნეობებად საჭიროა პარალელურად განვითარდეს შესაბამისი საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა, სერვისის და სხვა სამსახურები, რომელთა გარეშეც შეუძლებელია სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება. როგორც საერთაშორისო გამოცდილება და გამოკვლევები გვიჩვენებს, იმისათვის, რომ გლეხური მეურნეობა გახდეს კომერციული საქონელმწარმოებელი (განსაკუთრებით სამთო მიწათმოქმედების პირობებში), მემცენარეობის პროდუქციის საწარმოებლად მას საკუთრებაში ან იჯარით აღებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ 5 ჰექტარი სავარგული, ხოლო თუ აწარმოებს მეცხოველეობის პროდუქციასაც, მაშინ – 10 ჰექტარი, რათა პროდუქციის რეალიზაციით მიღებულმა შემოსავალმა მას საშუალება მისცეს დააკმაყოფილოს ოჯახის სურსათზე მოთხოვნილება, უზრუნველყოს წარმოების უწყვეტი ციკლი, განახორციელოს გაფართოებული კვლავწარმოება და კაპიტალის დაგროვება.

9. გლეხური (ოჯახური) მეურნეობების განმტკიცებისა და განვითარებისათვის აუცილებლად და მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი გაერთიანება სხვადასხვა ასოციაციებსა და კოოპერატივებში (განსაკუთრებით სამთო ქვეზონაში), რომლებიც შეძლებენ გადაწყვიტონ მნიშვნელოვანი საკითხები (მომარაგება-გასაღების, საკრედიტო, სოციალური და სხვა). მსგავსი სახის ასოციაციების შექმნის პრაქტიკა უკვე არსებობს შუახევის რაიონში. საჭიროდ მიგვაჩნია ამ გამოცდილების განზოგადოება დანარჩენი რაიონებისა და სოფლების მასშტაბითაც.

10. ბარის ზონაში გლეხური (ოჯახური) მეურნეობების კონკურენტუნარიანობის ამაღლების კარგ გზად მიგვაჩნია მათი, როგორც

ნედლეულის მწარმოებლების ინტეგრაცია პროდუქციის გადამამუშავებელ სამრეწველო საწარმოებთან, სააქციო საზოგადოებების შექმნის გზით.

11. სოფლის მეურნეობის დარგში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი პირობაა წარმოებითი ურთიერთობების ძირეული გარდაქმნა და მეურნეობრიობის ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების დამკვიდრება, მაგრამ ავტონომიური რესპუბლიკის ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებისა და არსებული ტრადიციების გათვალისწინებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მეურნეობრიობის კოოპერაციული ფორმების დაფუძნებას, რამდენადაც იგი ქმნის საუკეთესო პირობებს გლეხური (ოჯახური) მეურნეობების ნებაყოფლობითი პრინციპით გამსხვილებისა და გაერთიანებისათვის. წარმოების კონცენტრაციისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისათვის.

12. სოფლად მეწარმეობის განვითარებისა და სურსათის წარმოების გადიდების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სახელმწიფოს მიერ აგროდაკრედიტების საკითხის მოგვარება. ამ მიზნით, ამჟამად მოქმედი საკრედიტო კავშირების გარდა, უნდა მოწესრიგდეს მიწის გირავნობის საკითხი, რომელიც თავის მხრივ, მიწის რეგისტრაციის და მიწის თავისუფალი ბაზრის ფორმირების პრობლემებს უკავშირდება.

13. საკვლევ რეგიონში აგრარული მეწარმეობის განვითარებისა და სრულყოფის, ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდების ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად გვესახება მაღალპროფესიული საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ჩამოყალიბება, რომელიც უნდა მოხდეს მოწინავე ქვეყნების

გამოცდილებისა და ავტონომიური რესპუბლიკის ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით.

14. საერთაშორისო გამოცდილებისა და ავტონომიური რესპუბლიკის სოფლებში დღეს არსებული სოციალურ-ეკონომიკური პირობების გათვალიწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ფორმირება და ფუნქციონირება რაიონების დონეზე მაინც მოხდეს სახელმწიფოს ხარჯზე, რადგანაც გლეხური (ოჯახური) მეურნეობების შემოსავლები ჯერ-ჯერობით არ იძლევა იმის საშუალებას, რომ რაიმე სახის მომსახურეობა (თუნდაც ძალზედ საჭირო და აუცილებელი) ანაზღაურებული იქნეს მათი სახსრებით. ამ სამსახურებში კადრების შერჩევა უნდა მოხდეს საკონკურსო წესით და მათი ძირითადი ფუნქცია უნდა იყოს სეზონებისა და სამუშაო პროცესების მიხედვით ცალკეულ სოფლებში მონიტორინგის მოწყობა, სწავლა-სემინარების ჩატარება, სპეციალური მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოფა და სხვა საკითხები, რომელიც წარმოიშობა კონკრეტულ სიტუაციაში და რომელთა გადაწყვეტაც შეუძლებელია შესაბამისი რჩევებისა და კონსულტირების გარეშე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგრარული პოლიტიკის კონცეფცია. აჭარის ს/მ-ის სამინისტრო, რეგიონალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ბათუმი, 1997, გვ. 31.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 2000 წელს, აარ-ის სტატისტიკის დეპარტამენტი. ბათუმი, 2001, გვ. 87.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატისტიკური წელიწდეული 2004 წ., სტატისტიკის დეპარტამენტი. ბათუმი, 2005, გვ. 52.

4. ასათიანი რ. აგრარული რეფორმის მართვა და სახელმწიფოებრივი რეგულირება. სამეცნ. კონფ. "აგრარული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი და მათი განხორციელების გზები საქართველოში". თბილისი, 21.11.1997, გვ. 16-19

5. ანდღულაძე რ., კუნჭულია თ., კვირიკაძე ლ. აგრარული პოლიტიკის ამოცანები ეკონომიკური რეფორმის გაღრმავების პირობებში. საქართველოს ს/მ-ის მეცნიერებათა აკადემია. "მოამბე" №4, 1997, გვ. 11-14

6. ბახია მ., გაბაიძე გ. სასურსათო პრობლემა საბაზრო ურთიერთობათა პირობებში და აგრარული რეფორმების მიმდინარეობა საქართველოში. ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული, მე-3 ტომი. თბილისი, 1997, გვ. 356-366

7. ბახია გ., გაბაიძე გ. მიწისა და წყლის რესურსების გამოყენების სახელმწიფო რეგულირების საკითხისათვის. ჟ. "ეკონომიკა" №1-3, 1999, გვ. 69-74

8. ბახია მ., ბაიდაური დ., თანდიაშვილი ვ. აგრარული რეფორმის მეცნიერულად დასაბუთებული კონცეფცია. აგრარული მეცნიერების პრობლემები. სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ. 14. თბილისი, 2001, გვ. 251-253

9. ბენია შ., ქავთარაძე თ. და სხვ. საქართველოში აგრარული რეფორმის ანალიზი (თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები). აგრარული მეცნიერების პრობლემები. სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ. 14. თბილისი, 2001, გვ. 200-209

10. ბურკაძე ვ. მეურნეობრიობის საკუთრებითი მრავალფეროვნების ეკონომიკური შინაარსი. ჟ. "ეკონომიკა" №3, 1991

11. ბურკაძე ვ. საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის აღორძინება ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცების გარანტიაა. ჟ. "ეკონომიკა" №1-3, 1999, გვ. 75-81

12. ბურკაძე ვ. საქართველოს აგრარულ სექტორში საბაზრო ურთიერთობების არსებული მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები. "სიახლე", თბილისი, 2000, გვ. 177

13. ბურკაძე ვ. საბაზრო ურთიერთობების პირობებში მეწარმეობის ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხისათვის. "სმესკი" შრომების კრებული, ტ.2, თბილისი, 2000, გვ. 145

14. გაბაიძე გ. გადამამუშავებელ მრეწველობასთან ინტეგრირებული ერთობლივი საწარმოების შექმნის შესაძლებლობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ჟურნალი ,,ეკონომიკა" №5, 2006, გვ. 114_118.

15. გაბაიძე გ. ფერმერთა სწავლება-კონსულტირების პრობლემები და განვითარების პერსპექტივები აჭარის არ-ში. საქართველოს ს/მ მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი "მოამბე" №14, 2005, გვ. 31-34

16. გაბაიძე გ., ბოსტოღანაშვილი მ. აგრარული პოლიტიკა გარდამავალ პერიოდში და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ახალი ორგანიზაციული ფორმები. აგრარული მეცნიერების პრობლემები. სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ. 16, თბილისი, 2002, გვ. 260-265

17. გაბაიძე გ. საწარმოო პერსონალის მართვისა და ხელმძღვანელობის სტილის აქტუალური საკითხები თანამედროვე პირობებში. აგრარული მეცნიერების პრობლემები. სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ. 31, თბილისი, 2005, გვ. 232-236.

18. გაბაიძე გ., ფუტკარაძე ე., დევაძე ნ. საბაზრო ეკონომიკა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების მდგომარეობა აჭარაში. ჟ. "ეკონომიკა" №5, 2002, გვ. 92-95

19. გაბაიძე გ. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე მდგომარეობა და მისი ადგილი მსოფლიო ეკონომიკურ-ინტეგრაციულ პროცესში. აგრარული მეცნიერების პრობლემები. სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ. 27, თბილისი, 2004, გვ. 188-192

20. გოგიტიძე ი., გაბაიძე გ., ფუტკარაძე ე. აჭარის აგროსამრეწველო კომპლექსის მდგომარეობა გარდამავალ პერიოდში და მისი განვითარების აუცილებლობა. ჟ. "ეკონომიკა" №9-12, 2000, გვ. 72-76

21. გოგოხია რ. განსახელმწიფოებრიობის და პრივატიზაციის არსის გაგებისათვის. თბილისი, 1995, გვ. 34

22. გოგოხია რ., კილასონია გ. ფერმერული მეურნეობის ჰორიზონტები. თბილისი, 1999

23. დათუკიშვილი ვ. საბაზრო ეკონომიკის არსისა და მისი ჩამოყალიბების კანონზომიერებების გახსნისათვის. პ. გუგუშვილის სახ.

ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნ. შრომათა კრებული, ტ. 1. თბილისი, “მეცნიერება”, 2000, გვ. 46-50

24. დუდაური თ. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაცია ფერმერულ მეურნეობებში (სასწავლო-მეთოდური მასალა). თბილისი, სსაუ, 1996, გვ. 63.

25. ელიზბარაშვილი ზ. აგრარული რეფორმა და საბაზრო ეკონომიკა. ჟ. “ეკონომიკა” №5, 1991, გვ. 15-22

26. ელიზბარაშვილი ზ. გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობათა მოდელირების შესახებ. ჟ. “ეკონომიკა” №9-12, 1993

27. ვაშაკიძე ო. საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსში მიმდინარე ცვლილებები და მისი სრულყოფის მიმართულებები. “სიახლე”, თბილისი, 1999, 310 გვ.

28. ვაშაკიძე ო. აგრარული რეფორმის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები და სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებები საქართველოში. საქ. ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის შრომათა კრებული, ტ.1, თბილისი, 2000, “სიახლე”, 322 გვ.

29. ვაშაკიძე ო., გარუჩავა ლ. აგრარული პოლიტიკა და აგროსერვისის ფორმირების ორგანიზაციის საკითხებისათვის. ჟ. “ეკონომიკა” №1-3, 1999, გვ. 39-45

30. ვაშაკიძე ო., ყუფუნია გ. აგრარული რეფორმის კორექტირების აუცილებლობა. ჟ. “ეკონომიკა” №1-3, 1999, გვ. 25-38

31. ზიბზიბაძე გ. აგრარული სექტორის განვითარების სახელმწიფო რეგულირება. ჟ. “კვალი” №1-2, 1999, 9 გვ.

32. თოდუა ხ. აგრარული რეფორმის არსის, მიზნისა და ამოცანების შესახებ. ჟ. “ეკონომიკა” №5, 2002, გვ. 10-17

33. თოფურია დ. კვების მრეწველობაში ეკონომიკური რეფორმის პროგრამის საკითხისათვის. ჟ. “ეკონომიკა” №4-5, 1993, გვ. 19-20

34. თურმანიძე ს., ჭკადუა გ., ვაშაკიძე გ. საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის ორგანიზაცია (ტესტები და ნორმატიული მასალები). თბილისი, 2005, 140 გვ.

35. თურმანიძე ს., ჭკადუა გ., ვაშაკიძე გ., ძირკვაძე ი. ბიზნეს მენეჯმენტი სოფლის მეურნეობაში. თბილისი, 2006. 273 გვ.

36. კიკნაველიძე ა. მიწათმოქმედება: მდგომარეობა, განვითარების გზები. ჟ. ,,ეკონომიკა”, №6-7, გვ. 19-21.

37. კოღუაშვილი პ. აგრარულ სექტორში ჩრდილოვანი ეკონომოკის ლეგალიზაციისა და წარმოების დაჩქარებული განვითარების შესახებ. თსუ სამეცნიერო შრომების სერია ,,ეკონომიკა” №3-4, 2002, გვ. 153.

38. კოღუაშვილი პ. საქართველოს სასურსათო უშიშროება: რეალობა და პროგნოზები. გამომც. “კოლორი”, თბილისი, 2004, 272 გვ.

39. კოღუაშვილი პ., გიორგაძე ჰ., რამიშვილი ბ. სასურსათო პრობლემებიდან – სასურსათო უსაფრთხოებამდე. თბ., 1999, 138 გვ.

40. კოღუაშვილი პ., გიორგაძე ჰ. საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების ძირითადი პრიორიტეტები. ჟ. “საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე”, 2003, №1-2,4

41. კოღუაშვილი პ. საქართველოში აგრობიზნესის განვითარების ზოგიერთი საკითხი. ჟ. “სოციალური ეკონომიკა”,№4, 2002, გვ. 126-133

42. კოღუაშვილი პ. მეურნეობრიობის ფორმების რესტრუქტურიზაციის საკითხისათვის სოფლის მეურნეობაში (რეტროსპექტივის რაკურსით). ჟ. “სოციალური ეკონომიკა”, 2002, №5, გვ. 107-114

43. კოღუაშვილი პ., ბენია შ. სპეციალური აგრარული საკრედიტო სისტემის შექმნისა და სახელმწიფო რეგულირების საკითხისათვის. ჟ. “ეკონომიკა”, 2002, №1-2, გვ. 37-42

44. კოღუაშვილი პ., ბენია შ. აგრარული ბაზრის სახელმწიფო რეგულირების ასპექტები საქართველოში. ჟ. “ეკონომიკა”, 2002, №5, გვ. 140-146

45. კოღუაშვილი პ., ბენია შ. დედამიწის მატერიალური რესურსები და სასურსათო მდგომარეობა. ჟ. “ეკონომიკა”, 2002, №6-7, გვ. 69-76

46. კოღუაშვილი პ., ბენია შ. მეწარმეობისა და აგრობიზნესის განვითარების ზოგიერთი ასპექტები. ჟ. “ეკონომიკა”, 2003, №1-2, 10 გვ.

47. კოღუაშვილი პ., გიორგაძე ჰ., ბენია შ., ჩიხლაძე ნ. აგროსასურსათო ბაზრის რეგულირების აუცილებლობის შესახებ. აგრარული მეცნიერების პრობლემები, სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ. 14, 2001, გვ. 216-221

48. კოღუაშვილი პ., ბენია შ. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი ასპექტები. აგრარული მეცნიერების პრობლემები, სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ. 19, 2002, გვ. 171-175

59. კუნჭულია თ. საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრობლემები და მისი გადაწყვეტის გზები. თბ., 1997

50. კუნჭულია თ. აგროსამრეწველო კომპლექსის კრიზისიდან გამოყვანის პირველი რიგის ღონისძიებების შესახებ. თბილისი, “რეფორმა”, 1999

51. კუნჭულია თ. სახელმწიფოს როლის შესახებ ასკ-ს საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის გარდამავალ პერიოდში. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. თბ., 1995, გვ. 11-13

52. ლაჭყეპიანი თ. გლეხური მეურნეობიდან ფერმერულისაკენ. ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული, ტ.3, თბ., 1997, გვ. 401-409

53. მანველიძე რ. აჭარის სოფლის მეურნეობის საწარმოო პოტენციალის კვლავწარმოება საბაზრო ეკონომიკის პირობებში. "აჭარა", ბათუმი, 1996, 310 გვ.

54. მანველიძე რ. სოფლის მეურნეობის საწარმოო პოტენციალის კვლავწარმოების პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები საბაზრო ურთიერთობების პირობებში. თბ., 1997

55. მანველიძე რ. აჭარის აგროსამრეწველო რეალობა და პერსპექტივა. "აჭარა", ბათუმი, 1997, 36 გვ.

56. მანველიძე რ. რეგიონალური ეკონომიკის მართვისა და სახელმწიფო რეგულირების ზოგიერთი საკითხი. "აჭარა", ბათუმი-თბილისი, 2001

57. მანჯავიძე ა., გაბაიძე გ., ფუტკარაძე ე., გაბაიძე თ. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რეორგანიზაცია – აგრარული რეფორმის ერთ-ერთი მიმართულება. აგრარული მეცნიერების პრობლემები. სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ.12. თბილისი, 2001, გვ. 228-232

58. მაღლაკელიძე თ. ეკონომიკური უსაფრთხოება. თბ., "სიახლე", 2002, 302 გვ.

59. მესხია ი. ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. თბ., 1996, გვ. 45.

60. მესხია ი., მურჯიკნელი მ. ეკონომიკური რეფორმა საქართველოში (ანალიზი, მიმართულებები, პრობლემები), თსუ-ს გამომცემლობა. თბ., 1996, 223 გვ.

61. მექვაბიშვილი ე. ეკონომიკური რეფორმის მეორე ეტაპის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის საკითხისათვის. თბ., 1997, 125 გვ.

62. პაპავა გ. საბაზრო ეკონომიკაზე საქართველოს გადასვლის საფუძვლები. თბ., 1991, 210 გვ.

63. რეფორმები კვების მრეწველობის და სოფლის მეურნეობის დარგში, საქართველო, მსოფლიო ბანკის ანალიზი. 1995, გვ. 171.

64. რეფორმები სოფლის მეურნეობაში. მსოფლიო ბანკის ანალიზი. ვაშინგტონი, 2000, გვ 53.

65. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. სტატ. კრებ. თბ., 2000, 2002, 2004. გვ 216.

66. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ. ,,სამართალი" თბ., 2006, გვ. 166.

67. საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ. თბ., 1992. 11.08. №289

68. ქავთარაძე თ. აგრარული რეფორმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში და საქართველო. "მეცნიერება", თბ., 2003, 216 გვ.

69. ქარქაშაძე ნ. მსოფლიო სოფლის მეურნეობა. თბ., 1995, გვ. 795

70. ქეშელაშვილი ო. სოფლის მეურნეობა აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში. თბ., 1996, გვ. 27.

71. ყამარაული ს. წარმოების ორგანიზაცია და მართვა ფერმერულ მეურნეობებში. “მეცნიერება”, თბ., 2000, გვ. 644.

72. ჭანტურია ლ., ნინიძე თ. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. “სამართალი”, თბ., 1998, გვ. 440

73. ჭითანავა ნ. საბაზრო ეკონომიკა და აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პრობლემები. ”საქართველო”, თბ., 1993, გვ. 216.

74. ჭითანავა ნ. გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს აგრარული პოლიტიკის ჩამოყალიბების პრინციპები და ძირითადი მიმართულებები. ჟ. ,,ეკონომიკა”, 1-3, 1999, გვ. 6-7.

75. ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები (I-II-III ნაწილი). თბ., 1997, 1999, 2001, გვ. 421.

76. ხარაიშვილი ე. ეკონომიკურ-ორგანიზაციულ ურთიერთობათა სისტემა საქართველოს ასკ-ში. თბ., 1999, გვ. 19.

77. ხოზრევანიძე ნ. მთიანი რეგიონების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა ევროპის ქვეყნებში. თბილისი, 2000, გვ. 216.

78. ხოზრევანიძე ნ., ძირკვაძე ე. მეთოდური რეკომენდაციები ფერმერის სახლის ფუნქციონირების შესახებ. გამომც. “ნობათი”. თბ., 2004, გვ. 23.

79. ჯინჭარაძე თ. რეკომენდაციები საქართველოში ფერმერთა საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურეობის განვითარებისათვის. ჟ. “კვალი”, №3, 2002, გვ. 27-34.

80. ჯინჭარაძე თ. საქართველოში ფერმერთა სწავლება-კონსულტირების განვითარების პრობლემები და პერსპექტივები. თბ., 2005, გვ. 210.

81. Андреев П.А., Папцов А.Г. Основные тенденции в реформировании аграрного сектора в странах Восточной Европы. М., ВНИИТЭИ Агропром, 1996, с. 201.

82. Амоев А.И. Итоги и перспективы реформ. Аграрная наука, 1999, №3, с. 13-15

83. Башмачников В.Ф. Фермерское движение за десять лет (материалы доклада). М., 1999, с. 16-19.

84. Борисенко Е.Н., Попцов А.Г. Агропродовольственный сектор в условиях переходного периода: реформы и перспективы (Россия, СНГ, Центральная и Восточная Европа). М., 2000, с. 326

85. Горгонов С.А., Назаренко Н.Т., Попов Ю.Ю. Основы рыночных отношений в сельском хозяйстве. Воронеж, 1996, с. 271.

86. Дадалко В.А. Реформирование агропромышленного комплекса: теория и практика. Минск: Армита Маркетинг, 1997, с. 304

87. Завогдинов Н.Д. Основы предпринимательской деятельности в АПК. М., 1994, с. 387.

88. Касо Э., Бекер М., Нелсон А. Эффективное фермерское хозяйствование. М., Агропромиздат, 1991, с. 196.

89.Киселев С.В. Государственное регулирование сельского хозяйства в условиях переходной экономики. М., Институт экономики РАН, 1994, с. 270

90. Королев Ю. Б. Менеджмент в АПК. М. Колос, 2000, с. 302.

91. Кошелов В.М. Основы организации и функционирования информационно-консультационной службы в АПК. М., 1999, с. 349

92. Кошелов В.М., Мековецкий В.В. Информационно-консультационная служба в АПК. М., 2001, с. 358

93. Назаренко В.И., Папцов А.Г. Государственное регулирование сельского хозяйства в странах с развитой рыночной экономикой ВНИИТЭЭЦ Агропром. М., 1995, с. 83

94. Организациа сельскохоэяйственного производства (Под. ред. Ф. К. Шакирова). ,,Колос,, М., 2001, с. 97.

95. Шмелев Г. Индивидуальные формы ведения с/х –го производства. Ж. ,,Вопросы економики,, №7, М. 1996, С. 128.

96. Харитонов Н.С. Организационные основы фермерских хозяйств. М., Информагротех, 1996, С. 309.

97.Barnard G.S. & Nix J.S. 1994, Farm planing and Control. Cambridge University Press. UK, P. 389.

98.Economic analysis of agricultural policies. 1991. FAO. Rome. Italy, P. 253.

99.Gail L. Cramer, Clarence W. Jensen. 1997. Agricultural Economics and Agribusiness. USA, P. 409.

100.Godden D. 1997. Agrocultural and Resource Policy. Oxford University Press. UK, P. 193.

101.Nicholson W. 1998. Microeconomic theory. The Drydon Press. USA, P. 287.

102.Nixs John. 1999. Farm Management Pocketbook 29th. University of London, P. 214.